



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებს და პროგრამებს, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 08 ივნისის №385 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე ქალაქ ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)
- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (03 00)
- განათლება (04 00)
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00)
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)
- ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება (07 00)
- მუნიციპალური სერვისების განვითარება (08 00)
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01 00)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი სრულად იზიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წლის 25 სექტემბერს მიღებული A/RES/70/1 რეზოლუციის - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ სულისკვეთებას.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ქალაქი ბათუმი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ცენტრს და მდებარეობს დედაქალაქიდან 390 კმ. დაშორებით. 2006 წლიდან თვითმმართველი ქალაქია. ფართობი შეადგენს 82,3 კვ/კმ და სიდიდით საქართველოს მესამე ქალაქია, რომელიც შედგება 14 ადმინისტრაციული ერთეულისგან. ქალაქის ძირითადი ნაწილი სამხრეთიდან ეკვრის ბათუმის ყურეს და კახაბრის ვაკის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მდებარეობს, დანარჩენი ნაწილი ყურის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარეების ბარცხანისა და ყოროლისწყლის გასწვრივაა გაშენებული.



მოსახლეობა

საქსტატის 2025 წლის 01 იანვრის მგდომარეობით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 186,900 ათასი კაცია. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ/კმ-ზე 2025 წლის 01 იანვრის მგდომარეობით 2271 კაცია. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ქ. ბათუმის მოსახლეობის 47,6 პროცენტს მამაკაცები შეადგენენ, ხოლო 52,4 პროცენტს ქალები. ქ. ბათუმში შობადობის კოეფიციენტი 2024 წლის მონაცემებით შეადგენს 14,9-ს,, ხოლო მოკვდაობის კოეფიციენტი შეადგენს 8,9-ს. ქ. ბათუმის მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი - 32% მოდის 20-39 წლის ასაკის მოსახლეობაზე, 19 წლამდე

26%, 40-59 ასაკის 28%, 60-80 ასაკის 12,5% და 80 წელზე ზევით მოსახლეობაზე 1,5%. მოსახლეობის დაახლოებით 8% არის სკოლამდელი ასაკის, 12% - სასკოლო ასაკის, 21% - სტუდენტი, 14% - საპენსიო და ა.შ.

2025 წლის მაისის მონაცემების მიხედვით საარსებო შემწეობის მიმღები პირების რაოდენობა (120 000 ქულამდე) შეადგენს 5829 ოჯახს, 21775 ბენეფიციარს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირისა და შრომის უუნარო პირის სტატუსის საფუძველით სახელმწიფო გასაცემლის, კერძოდ „სოციალური პაკეტის“ მიმღებ პირთა რაოდენობა შეადგენს 9192-ს.

ეკონომიკა

ეკონომიკის ძირითად საზომს მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლა ხდება ქვეყნის, რეგიონისა და თბილისის მიხედვით, მონაცემები უშუალოდ თვითმმართველ ქალაქზე არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ანალიზის გაკეთება შესაძლებელია რეგიონის ჭრილში, თუმცა გამომდინარე ბათუმის პოზიციონირებიდან სავარაუდოა, რომ ქალაქზე მოდის უმეტესი წილი. 2022 წლის მონაცემებით (საბოლოო რაც ამ ეტაპზეა დათვლილი) აჭარაში მშპ შეადგენს 6 884,9 მლნ ლარს, რომელიც თბილისის შემდგომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. სექტორების მიხედვით ყველაზე დიდი წილი მშენებლობაზე მოდის, შემდგომია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები და საცალო და საბითუმო ვაჭრობა. ბოლო მონაცემებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 59561 ბიზნეს სუბიექტი, რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობიდან 17380 აქტიურია, რაც მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 29%-ია.

ქ. ბათუმის მოსახლეობის 46,3% ეკონომიკურად აქტიურია, რომელთა 74,4% დასაქმებულია. ეკონომიკურად აქტიურია მამაკაცების 52%, ხოლო ქალების 41,2% (აღნიშნული ძირითადად განპირობებულია საპენსიო ასაკით). რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებლებს, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში მამაკაცების დასაქმების მაჩვენებელი 78,8%-ია, ხოლო ქალების 69,3%-ია. დასაქმებულთა 78,5% დაქირავებით მომუშავეა (აღნიშნულ კომპონენტში ქალების წილი გაცილებით მაღალია და 84,3%-ს შეადგენს) ხოლო 9,1% ინდივიდუალურად მომუშავე. უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 25,6%-ია, მამაკაცებში უმუშევრობის მაჩვენებელი 21,2%, ხოლო ქალებში 30,7%.

აღწერის მონაცემების მიხედვით, ქ. ბათუმში 41 500 კერძო შინამეურნეობაა, ხოლო კერძო შინამეურნეობებში წევრთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 4 კაცს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

სტრატეგიული ობიექტები

ბათუმი ცნობილია თავისი უძველესი პორტით, არქიტექტურით, ევროპული მოედნებით, ბულვარით, ღირსშესანიშნავი ადგილებით. ბათუმი, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე თავისი ღრმა საზღვაო პორტით და სარკინიგზო კვანძით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეზობელ სახელმწიფოებთან და შუა აზიის ქვეყნებთან როგორც ეკონომიკური ასევე ზოგადად რეგიონული თანამშრომლობის განვითარებაში.

ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მსხვილი საერთაშორისო ნავსადგურია, რომელიც მდებარეობს ბუნებრივ ღრმაწყლიან უბეში, რაც იძლევა დიდტონაჟიანი გემების მიღების საშუალებას. ნავსადგურის ფართობია 182726 მ.კვ. და გააჩნია 4 ტერმინალი: ნავთობტერმინალი, მშრალი ტვირთის ტერმინალი, საკონტეინერო ტერმინალი

და სამგზავრო ტერმინალი. აღნიშნული ტერმინალები აღჭურვილია სათანადო ტექნიკით, რაც ხელს უწყობს ტვირთების დროულ და ხარისხიან გადამუშავებასა. ნავსადგური გამოიყენება როგორც მთავარი სატრანზიტო ნავსადგური ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ნავთობის გადასამუშავებლად. ბათუმის პორტიდან სარკინიგზო გზის საშუალებით ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება აზერბაიჯანის, ცენტრალურ აზიისა და ჩინეთის მიმართულებით.

საავტომობილო გზატკეცილებით ბათუმი დაკავშირებულია აჭარის შიგა რაიონებთან, საქართველოს ცენტრებთან და თურქეთთან. ქალაქიდან 20 კმ-ში მდებარეობს თურქეთთან დამაკავშირებელი სარფის გამშვები საბაჟო ტერმინალი, რომელსაც წლის განმავლობაში დაახლოებით მილიონამდე სატრანსპორტო საშუალება კვეთს.

ქალაქს, ისევე როგორც მთელ რეგიონს, 2007 წლიდან ემსახურება საერთაშორისო აეროპორტი, სადაც ოპერირებს 12 ავიაკომპანია და რეგულარულად ხორციელდება ფრენები თბილისის, ერევნის, ბაქოს, სტამბულის, დუბაის, თელ-ავივის და სხვა დიდი ქალაქების მიმართულებით. მგზავრთა გადაყვანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბათუმის რკინიგზის სადგურიც, საიდანაც ხდება მგზავრთა გადაყვანა თბილისის, ქუთაისი, და სეზონურად ოზურგეთის, ზუგდიდისა და ერევნის მიმართულებით.

ბათუმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ მიმართულებას წარმოადგენს ტურიზმის სექტორი. ვიზიტორთა რაოდენობის დათვლა თვითმმართველი ქალაქის მიხედვით ვერ ხორციელდება მაგრამ სავარაუდოა, რიგიონის ვიზიტორების უმრავლესობა ბათუმშიც განახორციელებდა ვიზიტს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ დათვლილი მონაცემებით აჭარაში ვიზიტორთა რაოდენობა 2024 წლის I და II კვარტლის მონაცემების მიხედვით შეადგენს 6 450 000, აქედან 48% უცხოელი ვიზიტორია. საზღვრის კვეთის მიხედვით (სარფის საბაჟო გამშვები პუნქტი, ბათუმის აეროპორტი, ბათუმის პორტი) ყველაზე დიდი შემოსულობის მაჩვენებელი 2023 წელს არის თურქეთიდან, რუსეთიდან და ისრაელიდან. ქალაქში ვიზიტორების განსათავსებელი 418 ობიექტია და 361 კვების ობიექტი. ყველაზე მოთხოვნადი ადგილი ვიზიტების რაოდენობს მიხედვით - აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული საინფორმაციო ცენტრებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვიზიტორების მიერ ხშირად მოთხოვნადი ადგილებია ბათუმის საბაგირო, დელფინარიუმი, ბათუმის ბულვარი, ბოტანიკური ბაღი, გონიო-აფსაროსის ციხე.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024-2029 წლების ბიუჯეტის მაჩვენებლები

ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
შემოსავლები	438 882,9	448 093,7	230 674,3	242 815,2	259 099,6	269 678,6
გადასახადები	114 232,4	121 066,8	130 058,3	139 699,2	149 983,6	158 562,6
გრანტები	185 980,6	232 423,9	936,0	936,0	936,0	936,0
სხვა შემოსავლები	138 670,0	94 603,0	99 680,0	102 180,0	108 180,0	110 180,0
ხარჯები	231 633,7	275 447,4	324 936,2	333 266,2	342 874,7	348 670,4
შრომის ანაზღაურება	43 183,6	55 977,3	61 575,0	62 806,5	64 062,7	65 343,9
საქონელი და მომსახურება	71 743,3	94 304,6	103 735,1	108 921,8	111 431,4	115 182,1
პროცენტი	4 768,3	6 082,5	8 636,3	7 830,0	7 835,5	3 865,0
სუბსიდიები	22 090,3	31 175,4	34 292,9	36 007,6	37 808,0	39 320,3
გრანტები	2,6	15,0	15,0	15,0	15,0	15,0
სოციალური უზრუნველყოფა	20 033,3	20 627,4	27 690,1	28 243,9	28 808,8	29 385,0
სხვა ხარჯები	69 812,2	67 265,2	88 991,7	89 441,3	92 913,4	95 559,0
საოპერაციო სალდო	207 249,3	172 646,3	-94 261,9	-90 451,0	-83 775,1	-78 991,8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	136 530,5	224 702,0	278 250,5	282 705,0	285 213,2	293 723,9
ზრდა	144 589,1	237 702,0	283 250,5	287 705,0	290 213,2	298 723,9
კლება	8 058,7	13 000,0	5 000,0	5 000,0	5 000,0	5 000,0
მთლიანი სალდო	70 718,8	-52 055,7	-372 512,4	-373 156,0	-368 988,3	-372 715,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	34 343,6	-92 906,3				
ზრდა	34 343,6					
ვალუტა, დეპოზიტები	34 343,6					
კლება		92 906,3				
ვალუტა, დეპოზიტები		92 906,3				
ვალდებულებების ცვლილება	-36 375,2	-40 850,6	-37 581,3	-32 796,4	-38 253,3	-33 969,3
კლება	36 375,2	40 850,6	37 581,3	32 796,4	38 253,3	33 969,3
საშინაო	36 375,2	40 850,6	37 581,3	32 796,4	38 253,3	33 969,3
ბალანსი	0,0	0,0	-410 093,7	-405 952,4	-407 241,6	-406 684,9

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
შემოსულობები	446 941,6	461 093,7	235 674,3	247 815,2	264 099,6	274 678,6
შემოსავლები	438 882,9	448 093,7	230 674,3	242 815,2	259 099,6	269 678,6
არაფინანსური აქტივების კლება	8 058,7	13 000,0	5 000,0	5 000,0	5 000,0	5 000,0
გადასახდელები	412 598,0	554 000,0	645 768,0	653 767,6	671 341,2	681 363,5
ხარჯები	231 633,7	275 447,4	324 936,2	333 266,2	342 874,7	348 670,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	144 589,1	237 702,0	283 250,5	287 705,0	290 213,2	298 723,9
ვალდებულებების კლება	36 375,2	40 850,6	37 581,3	32 796,4	38 253,3	33 969,3
ნაშთის ცვლილება	34 343,6	-92 906,3	-410 093,7	-405 952,4	-407 241,6	-406 684,9

შენიშვნა: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტით მოთხოვნილი გადასახდელების დაფინანსებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი მოძიებულ უნდა იქნას სახელმწიფო და რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

2.2 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის საბოლოო შედეგების ანალიზი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 31/05/2024 №24, 12/07/2024 №38, 09/08/2024 №39 და 25/11/2024 №56 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 401 724,7 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 446 941,6 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 460 224,7 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 412 598,0 ათასი ლარი.

2024 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

✓ **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება:**

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 85 268,0 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 31 663,5 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 28 511,6 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 48 059,7 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 990,8 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 16 948,4 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 3 500,5 ათასი ლარი.

✓ **ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება:**

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 18 310,4 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 23 401,9 ათასი ლარი;

✓ **განათლება:**

- სკოლამდელი განათლება - 39 894,9 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 175,0 ათასი ლარი;

✓ **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:**

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 7 205,1 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 7 179,1 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 4 024,2 ათასი ლარი;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 3 742,6 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 800,8 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 267,5 ათასი ლარი.

✓ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:**

- ჯანმრთელობის დაცვა - 8 492,4 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 19 560,7 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 1 014,1 ათასი ლარი.

✓ **ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება:**

- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 401,9 ათასი ლარი;

✓ **მუნიციპალური სერვისების განვითარება:**

- მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 11 043,4 ათასი ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (10 277,7 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (41 143,5 ათასი ლარი), საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება (10,0 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (75,2 ათასი ლარი).

ქ. ბათუმის 2024 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსავლები	393 724,7	438 882,9	111%
გადასახადები	106 217,2	114 232,4	108%
გრანტები	202 616,0	185 980,6	92%
სხვა შემოსავლები	84 891,5	138 670,0	163%
ხარჯები	253 006,4	231 633,7	92%
შრომის ანაზღაურება	44 648,4	43 183,6	97%
საქონელი და მომსახურება	77 802,3	71 743,3	92%
პროცენტი	4 892,8	4 768,3	97%
სუბსიდიები	24 280,6	22 090,3	91%
გრანტები	15,0	2,6	18%
სოციალური უზრუნველყოფა	22 156,2	20 033,3	90%
სხვა ხარჯები	79 211,0	69 812,2	88%
საოპერაციო სალდო	140 718,4	207 249,3	147%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	162 261,3	136 530,5	84%
ზრდა	170 261,3	144 589,1	85%
კლება	8 000,0	8 058,7	101%
მთლიანი სალდო	-21 542,9	70 718,8	-328%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-58 500,0	34 343,6	-
ზრდა	0,0	34 343,6	-
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	34 343,6	-
კლება	58 500,0	0,0	-
ვალუტა და დეპოზიტები	58 500,0	0,0	-
ვალდებულებების ცვლილება	-36 957,1	-36 375,2	98%
კლება	36 957,1	36 375,2	98%
საშინაო	36 957,1	36 375,2	98%
ბალანსი	0,0	0,0	

ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	401 724,7	446 941,6	111,3%
შემოსავლები	393 724,7	438 882,9	111,5%
არაფინანსური აქტივების კლება	8 000,0	8 058,7	100,7%
გადასახდელები	460 224,7	412 598,0	89,7%
ხარჯები	253 006,4	231 633,7	91,6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	170 261,3	144 589,1	84,9%
ვალდებულებების კლება	36 957,1	36 375,2	98,4%
ნაშთის ცვლილება	-58 500,0	34 343,6	

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის
ბიუჯეტის შემოსულობები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 446 941,6 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2024 წლის გეგმიური მაჩვენებლის 111,3%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 114 232,4 ათასი ლარი (შემოსულობების 25,6%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 185 980,6 ათასი ლარი (შემოსულობების 41,6%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 138 670,0 ათასი ლარი (შემოსულობების 31,0%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 8 058,7 ათასი ლარი (შემოსულობების 1,8%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები


(ათასი ლარი)

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	438 882,9	98,2%
1,1	გადასახადები	114 232,4	25,6%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	185 980,6	41,6%
1,3	სხვა შემოსავლები	138 670,0	31,0%
2	არაფინანსური აქტივების კლება	8 058,7	1,8%
ჯამი		446 941,6	100%

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება
გეგმასთან მიმართებაში



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
შემოსულობების დინამიკა (ცხრილი/გრაფიკები)

(ათასი ლარი)

#	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	117 242,4	115 022,2	119 877,0	155 497,8	162 247,9	168 419,0	140 757,1	180 451,5	254 575,9	333 364,7	438 882,9
1,1	გადასახადები	13 937,5	18 819,4	35 081,9	30 914,9	32 055,0	80 404,6	62 478,6	77 736,0	98 039,5	102 991,5	114 232,4
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	76 387,1	63 170,7	51 564,0	82 154,5	81 242,1	38 463,2	60 777,6	59 638,5	87 327,7	134 000,4	185 980,6
1,3	სხვა შემოსავლები	26 917,8	33 032,1	33 231,1	42 428,4	48 950,8	49 551,2	17 500,9	43 077,0	69 208,6	96 372,8	138 670,0
2	არაფინანსური აქტივების კლება	362,6	1 626,2	5 064,7	13 139,7	4 779,7	8 824,4	1 410,4	16 770,7	11 558,3	10 092,1	8 058,7
3	ფინანსური აქტივების კლება				0,1				4,2			
	სულ ჯამი	117 605,0	116 648,5	124 941,7	168 637,5	167 027,5	177 243,5	142 167,5	197 226,5	266 134,2	343 456,8	446 941,6

შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 393 724,7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 438 882,9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 111,5%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 114 232,4 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის _ 106 217,2 ათასი ლარის 107,5%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 31,0%-ს.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
საგადასახადო შემოსავლების დინამიკა**

(ათასი ლარი)

№	შემოსავლის სახე	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	შესრულება			
														2024 წ. გეგმასთან		2023 წ. ფაქტთან	
														გადახრა	%	გადახრა	%
1	საშემოსავლო გადასახადი			10 742,6	5 599,5	5 005,9									-		-
2	დამატებული ღირებულების გადასახადები						50 467,5	43 114,3	48 224,3	52 676,9	57 209,4	62 217,2	63 652,5	1 435,3	102,3%	6 443,2	111,3%
3	ქონების გადასახადი	13 936,5	18 820,2	24 339,2	25 315,4	27 049,1	29 937,2	19 364,3	29 511,7	45 362,7	45 782,1	44 000,0	50 579,8	6 579,8	115,0%	4 797,8	110,5%
3.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	861,8	1 117,8	1 199,1	1 528,1	1 754,2	2 129,7	2 152,8	2 510,7	2 988,2	4 074,9	2 700,0	5 685,9	2 985,9	210,6%	1 611,1	139,5%
3.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	11 376,5	16 322,4	21 448,6	22 064,9	23 459,0	25 868,1	15 291,5	24 988,4	40 220,0	39 362,0	39 000,0	42 709,2	3 709,2	109,5%	3 347,2	108,5%
3.3	მიწის გადასახადი	1 698,2	1 380,1	1 691,5	1 722,4	1 835,9	1 939,3	1 920,0	2 012,6	2 154,5	2 345,3	2 300,0	2 184,7	-115,3	95,0%	-160,6	93,2%
4	სხვა გადასახადები	1,0	-0,8												-		#DIV/0!
სულ		13 937,5	18 819,4	35 081,9	30 914,9	32 055,0	80 404,6	62 478,6	77 736,0	98 039,5	102 991,5	106 217,2	114 232,4	8 015,2	107,5%	11 240,9	110,9%

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2024 წლის გეგმიური მაჩვენებელი 44 000,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 50 579,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 115,0%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	44 000,0	50 579,8	6 579,8	115,0%
1,1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	39 000,0	42 709,2	3 709,2	109,5%
1,2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	2 700,0	5 685,9	2 985,9	210,6%
1,3	მიწაზე ქონების გადასახადი	2 300,0	2 184,7	-115,3	95,0%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 39 000,0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 42 709,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 109,5%-ია.


ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 2 700,0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 5 685,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 210,6%-ია.

მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 2 184,7 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (2 300,0 ათასი ლარი) 95,0%-ია.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	18 820,2	24 339,2	25 315,4	27 049,1	29 937,2	19 364,3	29 511,7	45 362,7	45 782,1	50 579,8
1,1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	16 322,4	21 448,6	22 064,9	23 459,0	25 868,1	15 291,5	24 988,4	40 220,0	39 362,0	42 709,2
1,2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1 117,8	1 199,1	1 528,1	1 754,2	2 129,7	2 152,8	2 510,7	2 988,2	4 074,9	5 685,9
1,3	მიწაზე ქონების გადასახადი	1 380,1	1 691,5	1 722,4	1 835,9	1 939,3	1 920,0	2 012,6	2 154,5	2 345,3	2 184,7


ქონების გადასახადის 2024 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2023 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 4 797,8 ათასი ლარით (10,5%-ით) გაზრდილია.



დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 20% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2024 წლის გეგმიური მაჩვენებელი 62 217,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 63 652,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 102,3%-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადის 2024 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2023 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 6 443,2 ათასი ლარით (11,3%-ით) გაზრდილია.

დამატებული ღირებულების გადასახადის დინამიკა 2019-2024 წწ.



ფინანსური დახმარება და გრანტები

2024 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების (გრანტები) სახით მიღებული იქნა 185 980,6 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 202 616,0 ათას ლარს, რაც გეგმის - 91,8% შეადგენს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან 2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება - 185 518,0 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმის 202 223,9 ათასი ლარის 91,7%-ია. ასევე ფინანსური დახმარება მიღებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიმდინარე დანიშნულების გრანტის სახით - 334,0 ათასი ლარი, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით მიმდინარე ევროკავშირის რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში - „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში გრანტების (ფინანსური დახმარების) წილი 41,6%-ია.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	202 352,5	185 646,5	-16 706,0
1,1	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	128,6	128,6	0,0
	სხვა ტრანსფერი	128,6	128,6	0,0
1,2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	202 223,9	185 518,0	-16 706,0
	კაპიტალური ტრანსფერი	89 008,1	83 323,6	-5 684,5
	სპეციალური ტრანსფერი	112 991,9	101 970,4	-11 021,5
	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	223,9	223,9	0,0
2	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	263,5	334,0	70,5
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	263,5	334,0	70,5
3	უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები		0,04	0,0
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები		0,04	0,0
ჯამი		202 352,5	185 646,5	-16 706,0

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან
მიღებული სახსრები**

2024 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 185 518,0 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 83 323,6 ათასი ლარი;
- სპეციალური ტრანსფერი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 101 970,4 ათასი ლარი;
- რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (სპეციალური ტრანსფერი) - 223,9 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 16 იანვრის №29 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 21 824 ლარი, ქ. ბათუმში ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (ორი ოჯახი) დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21 824 ლარი (100%).

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 13 თებერვლის №293 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 32 078 ლარი, ქ. ბათუმში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (სამი ოჯახი) დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 32 078 ლარი (100%).

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 4 აპრილის №873 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 70 255 ლარი, ქ. ბათუმში ხანძრისა და მისი ლიკვიდაციის დროს გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (ექვსი ოჯახი) მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 70 255 ლარი (100%).

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 05 ივნისის №1409 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 77 380 (სამოცდაჩვიდმეტი ათას სამას ოთხმოცი) ლარი, ქ. ბათუმში ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (შვიდი ოჯახი) მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 77 380 ლარი (100%).

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 08 აგვისტოს №2176 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 22 403 (ოცდაორი ათას ოთხას სამი) ლარი, ქ. ბათუმში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22 403 ლარი (100%).

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები
(მიმდინარე დანიშნულების გრანტები)

2024 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია (UNDP) მიღებულ იქნა მიმდინარე დანიშნულების გრანტები - 334,0 ათასი ლარი, ხოლო 2023 წელს - 175,6 ათასი ლარი. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2022 წლის დასაწყისში გაიმარჯვა გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით მიმდინარე ევროკავშირის რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“. კონკურსში გამარჯვებული მუნიციპალიტეტისთვის პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელის შექმნასა და მათ დანერგვას.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2024 წლის საპროგნოზო მოცულობა 84 891,5 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 138 670,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 163,3%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 31,0%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 13 628,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 934,3 ათასი ლარი) 196,5%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 11 193,6 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე (დეპოზიტი) წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **რენტის** სახით მიღებულია 3 090,0 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 101,9 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 2 332,8 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 79 698,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (65 972,2 ათასი ლარი) 120,8%-ია. აქედან:

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით _ 78 953,4 ათასი ლარი, მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) _ 2 971,4 ათასი ლარი.**

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი - 1,3 ათასი ლარი;**

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი _ 70 141,5 ათასი ლარი, მათ შორის:**

- სათამაშო აპარატებიდან _ 33 022, 6 ათასი ლარი;**


- წამახალისებელი გათამაშებიდან _ 548,2 ათასი ლარი;**

- მოსაკრებელი სამორინის მოწყობის ნებართვის საფუძველზე გაცემული სათანადო ნებართვის შესაბამისად სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული სამორინის თამაშობებიდან, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის საფუძველზე გაცემული სათანადო ნებართვის შესაბამისად სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული**

სათამაშო აპარატების თამაშობებიდან და ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის საფუძველზე გაცემული სათანადო ნებართვის შესაბამისად სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული ტოტალიზატორის თამაშობებიდან - 300,0 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 36 270, 7 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი



- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 4 806,6 ათასი ლარის ოდენობით, (გეგმა - 5 300,0 ათასი ლარი) დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ღონისძიებებს ახორციელებს შპს „სანდასუფთავება“. 2024 წლის გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია რიგი ფაქტორებით, კერძოდ: ქალაქ ბათუმის საკრებულოს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 29 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმომქმნელი პირი, ვალდებულია დარეგისტრირდეს დასუფთავების აბონენტად. მიუხედავად ვალდებულებისა, მომართვიანობა აბონენტად რეგისტრაციის მიზნით ძალიან მცირეა. აღნიშნული პრობლემა ძირითადად დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელ პირებთან. რომელთა დაზუსტების მიზნით ხდება სახელმწიფო სერვისების სააგენტოდან ინფორმაციის გამოთხოვა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში კონკრეტულ მისამართებზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ) და შემდგომ ხდება თანხვედრა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აბონენტთა რეესტრთან. არსებული დავალიანებების ამოღების მიზნით (ძირითადად იურიდიული პირები) ხორციელდება საჩივრის შეტანა სასამართლოში.

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის _ 189,9 ათასი ლარი;

- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი _ 842,7 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება _ 745,5 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 13 709,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 900,0 ათასი ლარის) 173,5%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 77,7 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელმოყფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 3,0 ათასი ლარი;

სხვა შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 51,7 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 10,1 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 8 856,1 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 172,0 ათასი ლარი;

საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 6,5 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 50,3 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობასა და კავშირგაბმულობის დარგში - 1 852,6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობასა და ფინანსების დარგში - 29,7 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმოყფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 69,5 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმოყფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 515,4 ათასი ლარი;

დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 1,5 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოყფობის წესების დარღვევის გამო - 11,7 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 5,6 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოყფობის დარგში - 20,7 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო -121,3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 1 854,3 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) -0,02 ათასი ლარი;

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული სახით მიღებულია 31 633,2 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 4 085,0 ათას ლარს შეადგენდა, ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 774,4% შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 29 837,9 ათასი ლარი;

შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 79,9 ათასი ლარი;

სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 0,4 თასი ლარი;


შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგა-სამტეხლოდან - 891,0 ათასი ლარი;

შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 2,9 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 295,1 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 526,1 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	84 891,5	138 670,0	53 778,5
შემოსავლები საკუთრებიდან	6 934,3	13 628,3	6 694,0
პროცენტები	4 683,0	11 193,6	6 510,6
რენტა	2 251,3	2 434,7	183,4
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	216,3	101,9	-114,4
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2 035,0	2 332,8	297,8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	65 972,2	79 698,9	13 726,7
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	65 972,2	78 953,4	12 981,2
სანებართვო მოსაკრებელი	1 000,0	2 971,4	1 971,4
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	1,3	1,3
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	59 672,2	70 141,5	10 469,3
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	5 300,0	4 806,6	-493,4
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის		189,9	189,9
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		842,7	842,7
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,0	745,5	745,5
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	0,0	745,5	745,5
ჯარიმები, სანქციები და საურავები	7 900,0	13 709,6	5 809,6
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4 085,0	31 633,2	27 548,2

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლების დინამიკა (2014-2024 წწ.)



საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლების დინამიკა პანდემიის შემდგომ მზარდია და 2019 წელთან შედარებით იგი გაზრდილია - 95 593,0 ათასი ლარით, ხოლო 2022 წელთან მიმართებით - 69 461,4 ათასი ლარით, ხოლო 2023 წელთან შედარებით გაზრდილია - 42 297,2 ათასი ლარით. ძირითადი ზრდა შეეხება - პროცენტებიდან, სანებართვო მოსაკრებლიდან, ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან, ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მიღებული შემოსავლებიდან და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებულ შემოსავლებს.

არაფინანსური აქტივების კლება

2024 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა - 8 058,7 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (8 000,0 ათასი ლარის) 100,7%-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 1,3%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან, ძირითადი აქტივებიდან და მატერიალური მარაგებიდან მიღებულ შემოსავალს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 33 238,7 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 52 650,0 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა (დაგროვება) შეადგინა 5 815,6

ათასი ლარი, შესაბამისად 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი - 58,631.5 ათას ლარს შეადგენდა.

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2024		58 631,7
ნაშთის ცვლილება	-58 500,0	34 343,6
ზრდა	0,0	34 343,6
ვალუტა და დეპოზიტები		34 343,6
კლება	58 500,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	58 500,0	
ნაშთი 01.01.2025		92 975,3

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის
ბიუჯეტის გადასახდელები**

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):

(ათასი ლარი)

#	გადასახდელების დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	30 900,3	26 174,5	84,7%	7,0%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	11 717,1	10 352,9	88,4%	2,8%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	14 250,4	11 053,3	77,6%	2,9%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	4 892,8	4 768,3	97,5%	1,3%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	39,9	0,0	0,0%	0,0%
2	თავდაცვა	0,0	0,0	#DIV/0!	0,00%
3	ეკონომიკური საქმიანობა	116 453,6	111 379,4	95,6%	29,6%
3.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	114 991,0	109 986,8	95,6%	29,2%
3.2	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 462,6	1 392,6	95,2%	0,4%
4	გარემოს დაცვა	44 340,8	39 615,2	89,3%	10,5%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	18 638,7	18 310,4	98,2%	4,9%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	25 702,1	21 304,8	82,9%	5,7%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	103 064,1	83 583,4	81,1%	22,2%
5.1	ბინათმშენებლობა	38 578,4	33 053,6	85,7%	8,8%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	38 696,0	29 438,1	76,1%	7,8%
5.3	წყალმომარაგება	10 306,5	7 206,8	69,9%	1,9%
5.4	გარე განათება	7 707,4	6 944,8	90,1%	1,8%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	7 775,8	6 940,1	89,3%	1,8%
6	ჯანმრთელობის დაცვა	9 386,7	8 583,2	91,4%	2,3%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	51 700,2	47 256,4	91,4%	12,6%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	41 108,3	37 786,0	91,9%	10,0%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	10 259,9	9 203,0	89,7%	2,4%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	332,0	267,5	80,6%	0,1%
8	განათლება	45 470,4	40 069,9	88,1%	10,7%
9	სოციალური დაცვა	21 951,6	19 560,7	89,1%	5,2%
გადასახდელების ჯამი		423 267,6	376 222,8	88,9%	100,0%

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2024 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 30 900,3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 26 174,5 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 84,7%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), მუნიციპალური საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების, ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის, საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების (ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო, ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, მუნიციპალური სერვისის გაუმჯობესება, მონაწილეობითი ბიუჯეტით შერჩეული პროექტების დაფინანსება) წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 7,0%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 116 453,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 111 379,4 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 95,6%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 29,6%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და კაპიტალური მშენებლობის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების, მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირების და მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 44 340,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 39 615,2 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 89,3%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის, კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10,5%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, მუნიციპალური კვლევების მომზადების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ექსპერტიზის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების, დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებების და ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ხარჯები შეადგენდა 103 064,1 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 83 583,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 81,1%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 22,2%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 9 386,7 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 8 583,2 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 91,4%-ია. ხვედრითი წილი

საერთო ხარჯებში შეადგენს 2,3%-ს, მასში გაერთიანებულია მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის, მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების, ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობის, შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაციის, ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენციისა და რეაბილიტაციის, ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარების, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 51 700,2 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 47 256,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 91,4%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12,6%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის, ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"-ს, ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბის, კულტურული ღონისძიებების მართვის, ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის, საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის, კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის, ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის, ფოლკლორის ხელშეწყობის, თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობის, ხელოვანთა ხელშეწყობის, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის, ახალგაზრდული ცენტრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ხარჯები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 45 470,4 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 40 069,9 ათას ლარს, ანუ გეგმის 88,1%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის ხარჯები, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10,7%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 21 951,6 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 19 560,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 89,1%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 5,2%-ს. იგი მოიცავს კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების, მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის, მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფის, მუნიციპალური უფასო სასადილოს, მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობისა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირების, დროებითი ღამის თავშესაფარის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის, შეზღუდული

შესაძლებლობების მეორე პირების ასისტენტით მომსახურების და ერთჯერადი მატერიალური დახმარების ხარჯებს.


ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

(ათასი ლარი)

#	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	253 006,4	231 633,7	91,6%	56,1%
1	შრომის ანაზღაურება	44 648,4	43 183,6	96,7%	10,5%
2	საქონელი და მომსახურება	77 802,3	71 743,3	92,2%	17,4%
3	პროცენტი	4 892,8	4 768,3	97,5%	1,2%
4	სუბსიდიები	24 280,6	22 090,3	91,0%	5,4%
5	გრანტები	15,0	2,6	17,6%	0,0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	22 156,2	20 033,3	90,4%	4,9%
7	სხვა ხარჯები	79 211,0	69 812,2	88,1%	16,9%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	170 261,3	144 589,1	84,9%	35,0%
III	ვალდებულებების კლება	36 957,1	36 375,2	98,4%	8,8%
გადასახდელების ჯამი		460 224,7	412 598,0	89,7%	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯები
(საკასო შესრულება - 412,598,0 ათასი ლარი)



ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 231 633,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 253 006,4 ათასი ლარის 91,6%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში 56,1%-ია.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 43 183,6 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 10,5%-ია.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 71 743,3 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 17,4%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 4 768,3 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 1,2%-ია.

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 22 090,3 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში 5,4%-ია.

გრანტებზე მიიმართა 2,6 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 20 033,3 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის - 4,9%.

სხვა ხარჯებზე მიიმართა 69 812,2 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 16,9%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 144 589,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 170 261,3 ათასი ლარის 84,9%-ია, მთლიანი გადასახდელების - 35,0%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 36 375,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 36 957,1 ათასი ლარის 98,4%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში - 8,8%-ია.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ კრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	53 642,0	51 506,4	2 135,6	96,0%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	3 072,3	2 795,2	277,1	91,0%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	8 522,2	7 482,5	1 039,7	87,8%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	41 849,9	41 143,5	706,4	98,3%
01 04	სარეზერვო ფონდი	45,6	0,0	45,6	0,0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	39,9	0,0	39,9	0,0%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	0,0	0,0	0,0	#DIV/0!
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	35,0	10,0	25,1	28,4%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	77,0	75,2	1,8	97,6%
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	243 813,8	214 942,4	28 871,3	88,2%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	88 882,8	85 268,0	3 614,8	95,9%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	33 815,6	31 663,5	2 152,1	93,6%
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	36 008,6	28 511,6	7 497,0	79,2%
მახინჯაურის დასახლებაში (თამარ მეფის გამზირის III შესახვევის №32-დან №50-მდე; თამარ მეფის გამზირის I შესახვევის №15-დან №37-მდე; მარკოზ აჭარელის III შესახვევის №38- დან №46-მდე) სასმელი წყლის სისტემის მოწყობა - სრულად დასრულებულია 3816 გრძ/მ წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელის სამშენებლო სამუშაოები, ასევე დასრულებულია 707 გრძ.მ საწნეო ხაზის მშენებლობა. აშენებულია 100 მ³ სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა.

ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა - მიმდინარეობს მწვანე კონცხზე წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა 2 114 გრძ/მ (მოსაწყობია სულ 37 137გრძ/მ).

ქ. ბათუმში მდინარე ყოროლისწყლის დამბისა და წყალმიმღები კონსტრუქციის მშენებლობა - მიმდინარეობს ყოროლისთავზე წყალარინების და სანიაღვრე ქსელის მშენებლობა, მათ შორის, მოწყობილია 209 გრძ/მ, მოსაწყობია 20 გრძ/მ, მიმდინარეობს ამწე ტალის 10,0 ტ. კონსტრუქციის

მოწყობა. დასრულებულია გადამღობი კედლის ზემოთ სავალი ბილიკი და გადამღობი კედელი-1 (დამბის) მშენებლობა.

ბათუმში, ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ 2000 კვ.მ. წყლის რეზერუარის მშენებლობა და ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა - ანაზღაურებულია პროექტის ღირებულება, გეგმით გათვალისწინებული თანხა ვერ შესრულდა, რადგან ფასების და გამოცდილების კვლევას დასჭირდა დამატებითი დრო, ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 25 ნოემბერს, ხოლო 2024 წლის 23 დეკემბერს დასრულდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, შესაბამისად ვერ მოესწრო დაგეგმილი სამუშაოების მოცულობების შესრულება.

წყალმომარაგების ახალ ქსელზე დაერთების საფასურის დაფარვა (საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით -20 მმ დიამეტრის მილი - შესრულებულია 86 აბონენტის დაერთება, კვლავ მიმდინარეობს დაერთებები განხადებების საფუძველზე.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურება

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახური

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 6 881,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6 813,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავეტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობა - 1. ადლია ახალსოფელი - საწნეო მილი (საჰაერო და დამცლელი ჭებით) DN 400 –3367 მ. მოეწყო ახალსოფლის ახალი სატუმბო სადგური სამი ტუმბოთი (თითოს წარმადობა 217,65 კვ/სთ ყოფილი 145 კვ/სთ- ნაცვლად). 2. გონიოს მიმართულებით: გონიო ლტდ-ში დამონტაჟდა ახალი ურდული და სამი ტუმბო (თითოს წარმადობა 139,8 კვ/სთ ყოფილი 93,16 კვ/სთ- ნაცვლად). გონიო 1-ში დამონტაჟდა ახალი ურდული და 2 ტუმბო (თითოს წარმადობა 54 კვ/სთ ყოფილი 12,6 კვ/სთ- ნაცვლად). გონიო ცენტრალში დამონტაჟდა 2 ახალი ურდული და სამი ტუმბო (თითოს წარმადობა 136.43 კვ/სთ ყოფილი 90,5 კვ/სთ- ნაცვლად). ყველა სატუმბ სადგურზე მოეწყო ახალი ღობე და წყლის ჰიდრანტები. გონიო 1 და გონიო 2 -დან გამომავალი საწნეო DN 80-იანი მილის ნაცვლად მოეწყო DN 200-იანი მილი 445 მეტრო. 3. კვარიათის სატუმბ სადგურში დამონტაჟდა სამი ტუმბო (თითოს წარმადობა 86.94 კვ/სთ ყოფილი 52 კვ/სთ- ნაცვლად). სარფის სატუმბ სადგურში დამონტაჟდა ასევე სამი ტუმბო (თითოს წარმადობა 86.06 კვ/სთ ყოფილი 57 კვ/სთ- ნაცვლად). ორივე სატუმბ სადგურზე მოეწყო ახალი ღობე

და წყლის ჰიდრანტები. კვარიათის სატუმბ სადგურთან მოეწყო 300 მეტრამდე, არმირებული ბეტონის მისასვლელი გზა. დამონტაჟდა DN 250 საწნეო მილი (არსებული DN 150-ია მაგივრათ) 3080 გრძ/მ.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელი ფუნქციონირებს შუფერხებლად.

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 761,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 438,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 24,9%. დოკუმენტების შეთანხმების პროცესს დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა (მიწის გამოყოფის პროცესი, გზშ-ს თანხმობა, KfW- ბანკის თანხმობები და ა.შ), რამაც გამოიწვია დაბალი შესრულება

➤ **პროგრამის აღწერა:**

V ფაზის პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

1) ადგილის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის წარმადობის გაზრდა და აზოტისა და ფოსფორის დენიტრიფიკაცია; 2) A და B სატუმბი სადგურების მშენებლობა; 3) აეროპორტის, ინდუსტრიული და კახაბრის დასახლებების წყალარინება; 4) ინჯალოს წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა; 5) მეჯინისწყლის ჭაბურღილების წარმადობის გაზრდა; 6) ჩაქვის წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია; 7) ჩაქვის გადამცემი მაგისტრალური წყალსადენის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; 8) ხელვაჩაურის 2000 კუბ.მ-იანი რეზერვუარის და ბუსტერული სატუმბი სადგურის მშენებლობა. ამ ეტაპისთვის, განმახორციელებელი საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: მომზადებულია და შეთანხმებულია საწყისი და საბოლოო ანგარიში; დასრულებულია სკოუპინგის ანგარიში; გზშ-ზე მუშაობა დასრულებულია ადგილის წყალარინების გამწმენდი ნაგებობისთვის და წყალარინების სატუმბი სადგურებისთვის კახაბრის, ინდუსტრიული ზონის და აეროპორტის დასახლებებისთვის, აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოეწყო გზშ-ს დოკუმენტის საჯარო განხილვა; დასრულებულია გეოდეზიური და გეოლოგიური კვლევების 90%; წყალარინების გამწმენდი ახალი A სატუმბი სადგურის და ინჯალოს 5000-კუბ.მ-იანი წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობის მიზნით გაფორმებულია ხელშკრულება ტენდერში გამარჯვებულ თურქულ კომპანია „ეჯეთაშთან“ (12.078 მლნ ევრო დღგ-ს გარეშე). მეჯინისწყლის წყალარინების B სატუმბი სადგურის, 2000 კუბ.მ-იანი ხელვაჩაურის რეზერვუარის და ბუსტერ სატუმბი სადგურის ერთეულებიანი სატენდერო დოკუმენტაცია მოლოდინის რეჟიმშია KfW-ს ბანკის მხრიდან.

მოლოდინის რეჟიმშია ჩაქვის სათავე ნაგებობის ტენდერის შედეგების შეფასების თანხმობა KfW-ს ბანკის მხრიდან; კომპანიას წარმოდგენილი აქვს თვითური და კვარტალური ანგარიშები. წყალარინების ადგილის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის ერთეულებიანი სატენდერო

დოკუმენტაცია KfW- ბანკის მხრიდან მოლოდინის რეჟიმშია. გაფორმებულია განმახორციელებელი საკონსულტაციო კონტრაქტის ცვლილება¹ და მომზადებულია ცვლილება² (მოლოდინის რეჟიმშია). განმახორციელებელ საკონსულტაციო კომპანიას წარმოდგენილი აქვს თვითური და კვარტალური ანგარიშები და ერთი შუალედური გადახდა (491,560.77 ევრო). მიმდინარეობს წყალმომარაგება/წყალარინების ინფრასტრუქტურის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების ხუთივე კონტრაქტის დასაფინანსებლად დამატებით დაფინანსების მოძიებაზე მუშაობა, KfW- ბანკის სესხის და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების სახით.

ამავე პროგრამის ფარგლებში, გაფორმებულია თანმხლები ზომების საკონსულტაციო მომსახურება კომპანია MACS-თან, რომელიც KfW-ს განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი გრანტით ფინანსდება. კონტრაქტი ითვალისწინებს მერიის პროექტის აღმასრულებელი სააგენტოს (პას), შპს ბათუმის წყლის შესაძლებლობების გაძლიერებას, სწავლება/ტრენინგებს. ამ ეტაპისთვის განხორციელებული აქტივობებია: პროექტის აღმასრულებელ სააგენტოს (პას) და განმახორციელებელ კონსულტანტთან მჭიდრო კოორდინაციით მომზადდა შლამის მართვის კონცეფცია, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადგილის გაფართოებული და განახლებული გამწმენდი ნაგებობის ჩამდინარე წყლების შლამის სათანადო და მდგრადი მართვა; ბათუმის წყლის ბიზნესგეგმის მომზადებაზე მუშაობა- დასრულებულია; ტარიფების კორექტირების განაცხადზე მუშაობა გრძელდება; კომპანია ეწევა უწყვეტ თანამშრომლობას ბათუმის წყალთან სხვადასხვა მიმართულებებით: ცნობიერების ამაღლების კამპანია, პიარი და ა.შ. კომპანიას წარმოდგენილი აქვს თვითური და კვარტალური ანგარიშები. კომპანიას წარმოდგენილი აქვს ყველა კვარტალური ანგარიში და 3 შუალედური გადახდის მოთხოვნა (147053.39; 62442.14; 98154.64 მლნ ევრო). პროექტის მიმდინარე აქტივობების განსახილველად წლის განმავლობაში გაიმართა პას-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, ასევე, ობიექტების მონახულებისა და პას-ის სამუშაო ჯგუფთან შეხვედრის მიზნით განხორციელდა KfW- ბანკის ორი მისია აპრილსა და სექტემბრის თვეში.

➤ მიღწეული შედეგები:

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება შეუფერხებლად.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 19 180,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 15 006,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 78,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქში არსებული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია - თორმეტი ერთეული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი იქნა რეაბილიტირებული.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის ფარგლებში ქალაქში არსებული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია (შეცვლა, რემონტი, განახლება) - ხუთ მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოებით წარმოქმნილი ეკონომიის შედეგად ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების და ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება - თვრამეტ ერთეულ მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლსა და ეზოში შეიცვალა კომუნალური სისტემა. ხელშეკრულება არის გარდამავალი (23.07.2024-10.12.2025წწ.), გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა ინდიკატორის რაოდენობის სრულად ათვისება.

მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი - მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში დამონტაჟდა ორმოცდახუთი ერთეული ლიფტი. მომწოდებელ კომპანიას დარჩენილ შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნებისა და ინდიკატორის რაოდენობის სრულად ათვისება.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარისა და ელექტრო საკეტების მოწყობა - მოეწყო ასოთხმოცდასამი ერთეული სადარბაზოს კარი და ელექტრო საკეტი.

ეზოებში შესასვლელში ახალი ჭიშკრების შეძენა-მონტაჟი - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები წარმოება მომწოდებელ კომპანიას არ განუხორციელებია, გამომდინარე აქედან სამმართველოს დირექტორის (ბ90. 14243453 თარიღი:11/12/2024) ბრძანების საფუძველზე ხელშეკრულება შეწყდა. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელში პანდუსების მოწყობა - სადარბაზოს შესასვლელში მოეწყო ერთი ერთეული პანდუსი.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი და რეაბილიტაცია - მრავალსართულიან სახლების ეზოებში დამონტაჟდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოცდათვრამეტ ერთეულ საბავშვო ატრაქციონს.

საცხოვრებელ სახლებზე ლითონის პროფილური ფურცლების აკვრა - ათ საცხოვრებელ სახლზე აკრულ იქნა ლითონის პროფილური ფურცლები.

ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია - მიმდინარეობს ექვსი ერთეული საცხოვრებელი სახლის დაზიანებული ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის სკამების შეძენა (განლაგება) - მრავალსართულიანი სახლების ეზოებში განლაგდა 400 ცალი საბაღე სკამი.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ფანჩატურების შეძენა (განლაგება) - მრავალსართულიანი სახლების ეზოებში განლაგდა 200 ცალი ფანჩატური.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოში არსებული ამორტიზირებული ვიტრაჟების შეცვლა - მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ცხრა სადარბაზოში შეიცვალა ვიტრაჟები.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოს ამორტიზირებული შესასვლელი გადახურვის ფილის (ბალდახინის) მოწყობა - მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში რეაბილიტაცია ჩატარდა და მოეწყო 14 ერთეული გადახურვის ფილა (ბალდახინი).

სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება."

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია - მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოებში დაიგო 4377 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი (13 ერთეული ეზო).

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%):

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების (ასფალტი, ფილა, ბორდიური) კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი და რეაბილიტაცია - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება."

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების და ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი და რეაბილიტაცია - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება."

ქ. ბათუმში, ქუჩებსა და მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიის შედეგად, ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების (ასფალტი, ფილა, ბორდიური) კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, გორგილადის ქ. N86ა-ში მდებარე შენობის სახლის გამაგრება-გამდიერების სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიის შედეგად, ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 38 578,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 33 053,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა - დაგეგმილია ორი იდენტური ცხრა სართულიანი, 26 946 კვ.მ. ფართის, 324 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიმდინარე ეტაპისათვის დასრულდა 8 სართულის კონსტრუქციული კარკასი; I, II, III და IV სართულზე მიმდინარეობს კედლების შებათქაშება და ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები; V, VI და VII სართულზე მიმდინარეობს ტიხრების მოწყობის სამუშაოები და ნაწილობრივ დასრულებულია საკანალიზაციო კვანძების მოწყობის სამუშაოები."

ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია:

1. ქ. ბათუმში, ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია ფარგლებში, იოსებ გრიშაშვილის ქ. N9-ში ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით საცხოვრებელი სახლების დეტალური პროექტის მომზადება და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელება - შეძენილ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. დასრულდა 4 651 კვ.მ. ფართის, ხუთ სართულიანი, 59 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

2. ქ. ბათუმში, ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია ფარგლებში, გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ.№1,3,11-ში ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით საცხოვრებელი სახლების დეტალური პროექტის მომზადება და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელება - შეძენილ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაცია. დემონტაჟი ჩაუტარდა გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ. №1-ში, №3-ში და №11-ში მდებარე შენობებს.

- ✓ დასრულდა გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ. №1-ში 1 227 კვ.მ. ფართის, ექვს სართულიანი, 15 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.
- ✓ დასრულდა გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ. №3-ში 1 909,4 კვ.მ. ფართის, ექვს სართულიანი, 25 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.
- ✓ დასრულდა გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ. №11-ში 1 382,4 კვ.მ. ფართის, ექვს სართულიანი, 24 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

3. ქ. ბათუმში, 26 მაისის 13-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობა - დემონტაჟი ჩაუტარდა 26 მაისის 13-ში მდებარე შენობას. დასრულდა 5 683,3 კვ.მ. ფართის, რვა სართულიანი, 66 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

4. ს. ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი სახლის მშენებლობა - დემონტაჟი ჩაუტარდა ს.ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ში მდებარე შენობას და აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს 9 544,5 კვ.მ. ფართის, რვა სართულიანი, 182 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიმდინარე ეტაპისათვის დასრულდა 8 სართულის კონსტრუქციული კარკასი; ყველა სართულზე მიმდინარეობს კედლების შებათქაშება, ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები და საკანალიზაციო კვანძების მოწყობის სამუშაოები.

5. ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია ფარგლებში, ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. N3ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა - დემონტაჟი ჩაუტარდა მაიაკოვსკის ქ. N3ა-ში მდებარე შენობას და აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს 4 228,7 კვ.მ. ფართის, თორმეტ სართულიანი, 61 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიმდინარე ეტაპისათვის მიმდინარეობს III სართულის რკინა/ბეტონის კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოების წარმოება.

6. ქ. ბათუმში, არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოები - დასრულდა ლეონიძის ქ. N6ბ-ში, ი. გოგებაშვილის ქ. N2-ში და მ. აბაშიძის ქ. N1-ში მდებარე სახლების გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოების წარმოება.

7. ქ. ბათუმში, არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოები - მიმდინარეობს დ. აღმაშენებლის ქ. N40-ში, ზ. გორგილაძის ქ. N80-ში და ფარნავაზ მეფის ქ. N62ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოების წარმოება.

8. ქ. ბათუმში, არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოები - მიმდინარეობს ზუბალაშვილის ქ. N18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოების წარმოება.

ქ. ბათუმში, სოციალური სახლის მშენებლობა - აღნიშნულ ღონისძიების განხორციელების მიზნით, დაწყებულ იქნა მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული შესაბამისი პარამეტრების მქონე ტერიტორიის მოძიება, რასაც დასჭირდა გარკვეული პერიოდი. მოძიებული ტერიტორია, იმის გამო, რომ მიწის გარკვეულ ლოკაციაზე გადიოდა საჰაერო მაღალი ძაბვის ელექტრო სადენები, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიჩნეულ იქნა ხელისშემშლელ გარემოებად, შესაბამისად გადაწყდა ალტერნატიული ტერიტორიის მოძიება. ზემოაღნიშნულ პროცესში, გაიზარდა ბენეფიციართა განცხადებების რაოდენობა, რომელთა დიდი ნაწილი, სრულად აკმაყოფილებდა

სოციალურ სახლში საცხოვრისის მისაღებად მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და აღნიშნულის გათვალისწინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ბიუჯეტში გათვალისწინებული 100-ბინიანი სოციალური სახლის მშენებლობის ნაცვლად, საბიუჯეტო ცვლილების შემდგომ, 200-ბინიანი საცხოვრებელი სოციალური სახლის მშენებლობის გათვალისწინება. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გარემოებამ, გამოიწვია მთლიანი კონცეფციის ცვლილება, რაც გამოიხატა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შესაბამისი პარამეტრების ალტერნატიული ტერიტორიის მოძიებაში, შემდგომ მოძიებული ტერიტორიის კვლევის განხორციელებაში, ასევე, ჩვენს მიერ განხორციელდა ბაზრის კვლევა, კვლევის შედეგად მნიშველოვნად შეიცვალა ღონისძიების საერთო ბიუჯეტი. ასევე განხორციელდა სატენდერო პირობების შემუშავება. ზემოჩამოთვლილ ქმედებებს, შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი მიზეზების გამო დასჭირდა წლის განმავლობაში არსებული მნიშველოვანი პერიოდი, რამაც ცხადყო, რომ სატენდერო პირობების გათვალისწინებით და 2024 წლის დარჩენილ პერიოდში, დროის სიმცირის გამო, აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით, ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არ იქნა მიზანშეწონილი. შესაბამისად, ტენდერის გამოცხადება დაგეგმილია 2025 წელს.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

ურების ყოფილი ინტერნატის მზრუნველობამოკლებულ ხანდაზმულთა ცენტრად რეკონსტრუქცია-ადაპტაცია - დასრულდა ოთხ სართულიანი, 3 432 კვ.მ. ფართობის, ჩვიდმეტ ოთახიანი და 70 ბენეფიციარზე გათვალისწინებული შენობის რეკონსტრუქცია-ადაპტაცია.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%) - ქ. ბათუმში, ირაკლი აბაშიძის ქ. N6/ბარათაშვილის ქ. N26-ში საცხ. სახლის რეაბილიტაცია 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე საოჯახო ტიპის სახლისა და ეზოს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება. აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

➤ მიღწეული შედეგები:

მოქალაქეებისათვის გაუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები.

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 013,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 990,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოებს მართვაში გადმოცემული აქვს შემდეგი სასაფლაოები:

1. ქ. ბათუმის ფერიის სასაფლაო, მისამართი სერგი მესხის ქუჩა N 75. ფართობი 153080 კვ.მ.;
2. ქ. ბათუმის ბათუმგორის სასაფლაო, მისამართი ყადირ შერვაშიძის აღმართი, ფართობი 9000 კვ.მ.;
3. ქ. ბათუმი, დასახლება ურეხი, მამია ვარშანიძის წყაროსთან, ფართობი 77813 კვ.მ.;
4. ქ. ბათუმი, ზედადელის სასაფლაო, მისამართი ურეხის დასახლება N7ა;
5. ქ. ბათუმი ზედა ინჯალოს სასაფლაო მისამართი, ურეხის დასახლება, შარაშიძის N50-თან, ფართობი 11189 კვ.მ.;
6. ქ. ბათუმი, თოდოგაურის დასახლება, მისამართი მაჭახლის ქ. N30;
7. ქ. ბათუმი, კახაბერი „სტეფანოვკის სასაფლაო“, მისამართი ფრიდონ ხალვაშის N44, ფართობი 21894 კვ.მ.;
8. ქ. ბათუმი, ქვედა ინჯალოს სასაფლაო, მისამართი ურეხის დასახლება, შარაშიძის ქ. N5 ჩიხი;
9. ქალაქი ბათუმი, მახინჯაურის სასაფლაო, მისამართი ჰორტენზიის ქუჩა N3, ფართობი 2713 კვ.მ.;
10. ქ. ბათუმი, მახინჯაურის სასაფლაო (მწვანე კონცხის ცენტრალური სასაფლაო) N1, მისამართი ჰორტენზიის ქუჩა N30-31, ფართობი 22715 კვ.მ.;
11. ქ. ბათუმი, მახვილას სასაფლაო, მისამართი ხელვაჩაური ნ. მუსხელიშვიის 103 (არ დარეგისტრირდა);
12. დაბა ჩაქვის სასაფლაო, ფართობი 177073 კვ.მ.;

ქვეპროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ზემოაღნიშნული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, კერძოდ: ყოველდღიურად იწმინდებოდა საფლავზე მისასვლელი ბილიკები და საფლავები, ხდებოდა ნაგვის გატანა, იკრიჭებოდა ბალახები, ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგის ჯგუფი აწარმოებდა შემოწმებას და უზრუნველყოფდა ხარვეზის და ნაკლოვანების გამოსწორებას, განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული იმ საფლავებზე, რომლებზეც ხორციელდება კეთილმოწყობის სამუშაოები.

მუშა მესაფლავეები აღჭურვილი იქნა სამუშაო იარაღებითა და სპეციალური ტანსაცმლით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოვლილი და მოწესრიგებულია სასაფლაოების ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 899,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 516,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ადმინისტრირება და მართვა - უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა, შრომის ანაზღაურების და სოციალური უზრუნველყოფის გაცემა, საოფისე ნივთების შეძენა და გეგმით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 6 202,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 438,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 8 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და სხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 234 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

პარკების, მოედნების, სკვერების, ეზოების, სპორტული მოედნების და სხვა მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 39 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით) - შესყიდულია 323 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 137 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

ხიდბოგირებისა და ხიდების მოწყობა აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 25 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

წყლის

სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 3 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების, შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა - ექსპერტიზა ჩატარდა 96 ერთეულ ავარიულ სახლსა და შენობა-ნაგებობას.

კონკურსები - 2024 წელს სამმართველოს საქმიანობის მიმართულებით კონკურსები არ ჩატარებულა, შესაბამისად ღონისძიება არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ქ. ბათუმში, დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მომსახურება - დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა განხორციელდა თორმეტ მისამართზე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების აუცილებლობა წარმოიშვა მხოლოდ თორმეტ მისამართზე, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - მომწოდებელ კომპანიებს დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

მიღწეული შედეგები:

მომზადდა ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცია.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 13 285,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 8 994,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 67,7%. უწყვეტად ხორციელდებოდა ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში

მცხოვრები იმ მოქალაქეებით ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებიც საჭიროებდნენ შესაბამის დახმარებას, ასევე მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საკონპესაციო თანხების (ქონების გამოსყიდვა) გაცემა, მაგრამ რიგ შემთხვევებში ტერიტორიის მესაკუთრეებთან (რიგი პროექტის ფარგლებში ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ქონების გადმოცემასთან დაკავშირებით) მოლაპარაკების პროცესის დროში გახანგრძლივების გამო ვერ მოხერხდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

➤ პროგრამის აღწერა:

მოქალაქეთა ბინის (ავარიული) ქირის საფასურით უზრუნველყოფა ღონისძიების ფარგლებში უსაფრთხო გარემოში ქირით გაყვანილ იქნა მოსახლეობა შემდეგი მისამართებიდან: კვინიტაძის ქუჩა №3; აკაკი შანიძის ქუჩა №12; პარმენ რურუას ქუჩა №1ა; 26 მაისის ქუჩა №13; მუსხელიშვილის ქუჩა №79; გენ. კვინიტაძის ქუჩა №1; თამარის დასახლება №40/გრიშაშვილის ქუჩა №9; სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა №94/96; შავშეთის ქუჩა №29; წმ.სევერიანე აჭარელის ქუჩა N3ა (ყოფილი მაიაკოვსკის 3ა).

ავარიული, სარემონტო ან/და დაზიანებული შენობა ნაგებობების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საკონპესაციო თანხებით უზრუნველყოფა - უწყვეტად ხორციელდება ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები იმ მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებიც საჭიროებენ შესაბამის დახმარებას. ასევე, მოქალაქეებს, რომლებსაც საბინაო ფონდიდან გადაეცათ შესაბამისი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები, რომელთა მდგომარეობა არ მოდიოდა წესთან შესაბამისობაში, აუნაზღაურდათ სარემონტო საკომპენსაციო თანხებიც.

მრავალბინიანი ოჯახებისათვის საკომპენსაციო (სარემონტო) თანხების გაცემა (ქ. ბათუმში, შერიგ ხიმშიაშვილის ქ. №1-ში არსებული ფართი) - ფარგლებში ქალაქ ბათუმში, შერიგ ხიმშიაშვილის ქ. №1-ში არსებული 107,30 კვ.მ. ფართის №3 საცხოვრებელი ბინის (ბლოკი „ბ“; მე-15 სართული; 22-42 და ა-პ ღერძები; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.23.04.051.01.5024.1011) სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურების -26 825 (ოცდაექვსი ათას რვაას ოცდახუთი) ლარის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა განხორციელდა.

მრავალბინიანი ოჯახებისათვის საკომპენსაციო (სარემონტო) თანხების გაცემა (ქ. ბათუმში, ტბ. აბუსერიძის ქუჩა №5-ში არსებული 64,27 კვ.მ. და 64,27 კვ.მ. ფართის №331 და №338 საცხოვრებელი ბინები) - ფარგლებში ტბ. აბუსერიძის ქუჩა №5-ში არსებული 64,27 კვ.მ. ფართის №331 (27-ე სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.24.08.126.01.01.331) და ქალაქ ბათუმში, ტბ. აბუსერიძის ქუჩა №5-ში არსებული 64,27 კვ.მ. ფართის №338 საცხოვრებელი ბინების (28-ე სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.24.08.126.01.01.338) სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურება -57 843 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ორმოცდასამი) ლარი ჩარიცხვა წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

მრავალბინიანი ოჯახებისათვის საკომპენსაციო (სარემონტო) თანხების გაცემა (ქ. ბათუმში, ტბ. აბუსერიძის ქუჩა №5-ში არსებული ფართი) - ფარგლებში ქ. ბათუმში, ტბ. აბუსერიძის ქუჩა №5-ში არსებული 64,27 კვ.მ. ფართის №331 საცხოვრებელი ბინის (სართული 27; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.24.08.126.01.01.331) სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურება - 28 921,50 (ოცდარვა ათას ცხრაას ოცდაერთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი ჩარიცხვა მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

ქალაქი ბათუმი, გონიოს დასახლებაში (საკადასტრო კოდი: 05.36.25.397) საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების გამოსყიდვა) - გამოსყიდვის საკითხი განხილვის და მოლაპარაკების ეტაპზეა, განხორციელდა შეხვედრები ქონების მესაკუთრესთან, მიმდინარე ეტაპზე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ქონების გამოსყიდვაზე

ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის XIII ჩიხი №2გ -ს (ბაღის მიმდებარედ საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების გამოსყიდვა) - ვინაიდან, მიმდინარე პერიოდში ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის XII ჩიხში მდებარე, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულში შემავალი №32 საბავშვო ბაღში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 8 ნოემბრის ბრძანების შესაბამისად აღსაზრდელოა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 280 აღსაზრდელით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ №05.32.09.537 საკადასტრო კოდით კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის შემთხვევაშიც კი ეზოს ფართი არ იქნება საკმარისი დადგენილი სტანდარტებით განსაზღვრული №32 ბაღის ეზოს ფართისთვის, რომელიც ერთ ბავშვთან მიმართებაში შესაბამისად უნდა იყოს არანაკლებ 3.00 კვ.მ., აქედან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეუწონლად მიაჩნია №05.32.09.537 საკადასტრო კოდით კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ღონისძიებების ამ ეტაპზე განხორციელება.

ქალაქი ბათუმი, მახვილაურის დასახლებაში (გენერალ ასლან აბაშიძის ქ. №49/4ა ს/კ 05.31.01.646) საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების გამოსყიდვა) - ქონების გამოსყიდვის საკითხი განხილვის ეტაპზეა, განხორციელდა შეხვედრები ქონების მესაკუთრესთან, შეთავაზებული იქნა ქონების ნაწილობრივ თანხითა და ნაწილობრივ ბინებით გამოსყიდვაზე. მიმდინარე ეტაპზე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ქონების გამოსყიდვაზე

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის ფარგლებში (V ფაზა), ადლიის დასახლებაში წყალარინების გამწმენდი ნაგებობების გაფართოებისა და არსებული ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროექტისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების გამოსყიდვა) - მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს საკითხის განხილვა, განსახორციელებელი პროექტის ფარგლებში №05.32.05.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონების მესაკუთრესთან. შეთავაზებული იქნა გამოსასყიდი მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა ტოლფასოვანი მიწის ნაკვეთში. განხილვის ეტაპზეა.

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საკომპენსაციო (სარემონტო) თანხების გაცემა (ქ. ბათუმში, ნიკო ფიროსმანის ქუჩა №1ა-ში არსებული ფართი) - აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, ვერ იქნა მიღწეული მხარესთან შეთანხმება, რის გამოც საანგარიშო პერიოდში არ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება და ღონისძიების განხორციელება.

ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეეთების) პროექტის ფარგლებში საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების გამოსყიდვა) - ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეული, საექსპროპრიაციო ქონების (ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №91-ში მდებარე 31.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.23.12.056) მესაკუთრეზე შპს „მირათი“-ზე (ს/კ №245630642) საკომპენსაციო თანხის 90 972 (ოთხმოცდაათი ათას ცხრაას სამოცდათორმეტი) ლარის გადახდა (ბრძანება ბ14. 14241717, 19.06.2024წ).

ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტთან დაკავშირებით - ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეული, საექსპროპრიაციო ქონების (ქ. ბათუმში, გორგასალის ქ. №160-ში მდებარე 32.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 31.96 კვმ ფართის შენობანაგებობა (ს/კ №05.23.12.023) მესაკუთრეზე საკომპენსაციო თანხის 105 266 (ას ხუთი ათას ორას სამოცდაექვსი) ლარის. (ბრძანება ბ14. 1424178001, 26.06.2024წ). ქონების გამოსყიდვის მიზნით მოქალაქეთა საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფის ფარგლებში ექსპროპრიაციის მიერ განხორციელდა, 'ადლიის ქუჩის ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტის ფარგლებში ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეული, საექსპროპრიაციო ქონების (ქ. ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქ. №17ა/19-ში მდებარე 881.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.32.18.089) და ქ. ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №34/შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №34ა/შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №34/დასახლება ადლია/დასახლება ანგისაში მდებარე 776.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.32.18.088)) მესაკუთრის შპს „ელთ ბილდინგი“-ზე (ს/№445471285) საკომპენსაციო თანხის - 2 261 342 (ორი მილიონ ორას სამოცდაერთი ათას სამას ორმოცდაორი) ლარის გადახდა განხორციელდა (ბრძანება ბ14.14242002, 18.07.2024წ).

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 07 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2 177,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 848,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება:

ქალაქ ბათუმში, საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმების სამუშაოები (2023-2024 წელს) - განხორციელდა საახალწლო მანათობელი კონსტრუქციების, ნაძვის ხისა და სხვადასხვა მოწყობილობების დემონტაჟი.

ქალაქ ბათუმში, საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმების სამუშაოები (2024-2025 წელს) - დამონტაჟდა საახალწლო მანათობელი კონსტრუქციები და სხვადასხვა მოწყობილობები კერძოდ: 112 ერთეული „ფიფქი“, 17 285 ერთეული „გირლიანდა“, 100 ერთეული „ბურთი“, 50 ერთეული „ნაძვი“, 100 ერთეული „ბაფთა“, 100 ერთეული „ანგელოზი“, 131 ერთეული „ვარსკვლავები“, 100 ერთეული „ზარები“, 3 015 ერთეული „ლედ სტრინგი“, 553 ერთეული „ლედ ჯონჯოლი“, 271 ერთეული „მეტეორი განათება“, 8 350 ერთეული „ლედ დიოდური განათება“, 4 ერთეული „ლოტუსი“, 1 407 ერთეული „ბალახი“, 46 ერთეული „ლუზა“, 29 ერთეული „ყვავილი ლოტუსი“, 4 500 ერთეული „დეკორაცია ტალღა“, 80 ერთეული „გემი“, 1 ერთეული „დელფინები“, 60 ერთეული „ვეშაპის კუდი“, 29 ერთეული „თოლია“, 48 ერთეული „ბაბუაწვერა მზე“, 123 ერთეული „შობის ვარსკვლავი“, 20 ერთეული

„ბორჯღანო“, 20 ერთეული „განათებული ბორბალიდიამეტრი“, 78 ერთეული „განათება ბადე“, 151 ერთეული „ფერერვერკი“, 117 ერთეული „ბაბუაწვერა“, 1 ერთეული „მატარებელი“, 1 ერთეული კონსტრუქცია „2024“, 12 ერთეული „ნაძვის ხე“.

ქალაქ ბათუმში, საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმებისათვის საახალწლო მანათობელი კონსტრუქციების და სხვადასხვა მოწყობილობების შესყიდვა - შესყიდულ იქნა საახალწლო მანათობელი კონსტრუქციები და სხვადასხვა მოწყობილობები კერძოდ: 40 ერთეული "ფიფქი", 3 300 ერთეული „გირლიანდა", 100 ერთეული "ბურთი", 50 ერთეული "ნაძვი", 100 ერთეული "ზაფთა", 100 ერთეული "ანგელოზი", 100 ერთეული "ვარსკვლავები", 100 ერთეული "ზარები".

2021 წლის 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში 26 მაისის ქ. N13-ში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა ან სხვა მემორიალური ობიექტის დამზადება და განთავსება - მოეწყო ტრაგიკული შემთხვევის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი.

ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N53ა-ში მდებარე სკვერში, არჩილ აბაშიძის მემორიალური დაფის (სადგამით) შეძენა/მონტაჟი - რამოდენიმეჯერ გამოცხადებული ტენდერი არ შედგა, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

მიღწეული შედეგები:

განხორციელდა ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შეიქმნა სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 07 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 769,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 652,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,4%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქ ბათუმში სხვადასხვა სახის სამხატვრო გაფორმებითი სამუშაოები ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: დამონტაჟდა 2 ცალი შრიფტული მისასალმებელი და სააგიტაციო ბანერი; დამზადდა და დამონტაჟდა 12 ცალი მემორიალური დაფა; შეიღება და წარწერებისაგან გაიწმინდა 6500 კვ.მ შენობების ფასადები და კედლები; გაიწმინდა და გასუფთავდა წარწერებისა და ლაქებისაგან 6788 კვ.მ შენობა-ნაგებობების ფასადები და კედლები.

ქალაქ ბათუმში დროშების შეძენა/მონტაჟითა და დემონტაჟით ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ქალაქში სადღესასწაულო განწყობის შექმნის მიზნით არსებული სტაციონალური ფლამტოკებისათვის შეიკერა და გამოიფინა 1*1,5 (მონტაჟი - დემონტაჟი) 280 ცალი; დროშა ზომით 2 კვმ X 1.00 კვმ - 320 ცალი; ამავე მიზნით შეიკერა და გამოიფინა არასტანდარტული ზომის 9X6 - 14 ცალი დროშა; დამზადდა და გამოიფინა აღმები (05*07) 3839 ცალი; დამზადდა და გამოიფინა დემონტაჟით არასტანდარტული დროშები 223,6კვმ. შეიღება მარტულლები 300ც; შეიღება სტაციონალური ბოძი 48ც.

ქალაქ ბათუმში საცხოვრებელი სახლების საინფორმაციო ფირნიშების შეძენა-მონტაჟი, ქუჩის მიმართულების მანიშნებელის შეძენა-მონტაჟი ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიები: დაამზადა და დაამონტაჟა 5000 ცალი საცხოვრებელი სახლებისათვის მისამართიანი აბრები; დაამზადა და დაამონტაჟა 50 ცალი ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ბანერი. რესტავრაცია ჩაუტარდა საცხოვრებელი სახლების მისამართიან აბრას 300 ცალის ოდენობით.

ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება -ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიები: თვეში ერთხელ იწმინდებოდა და სუფთავდებოდა 9 ერთეული ძეგლი შემდეგ მისამართებზე: ილია ჭავჭავაძის ძეგლი - დრამატული თეატრის მიმდებარედ; მემედ აბაშიძის ძეგლი - თავისუფლების მოედანი; გალაქტიონ ტაბიძის ძეგლი - ტაბიძის ქუჩაზე არსებულ სკვერში; ჟიული შარტავას ძეგლი - ჟიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში; რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი - ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერში; 9 აპრილის მემორიალი - ჟიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში.

ყოველთვიურად იწმინდებოდა და სუფთავდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბიუსტები: ა. წერეთლის ბიუსტი; ვ. მაიაკოვსკის ბიუსტი; შ. რუსთაველის ბიუსტი; ფ. გოგიტიძის ბიუსტი; ს. ჟღენტის ბიუსტი; დ. კლდიაშვილის ბიუსტი; ვაჟა-ფშაველას ბიუსტი; ლუკა ასათიანის ბიუსტი; ს. ხიმშიაშვილის ბიუსტი; პ. მელიქიშვილის ბიუსტი; ნიკო ფიროსმანაშვილის ბიუსტი; ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტი; ილია ჭავჭავაძის ბიუსტი; აკაკი წერეთლის ბიუსტი; შ. რუსთაველის ბიუსტი; ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტი.

გაიწმინდა და გასუფთავდა ჟიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში არსებულ სკვერში განლაგებული 8 ცალი ქანდაკება და 1 ცალი დელფინის სკულპტურა გოგებაშვილის ქუჩის 3-ს მიმდებარედ. ასევე, ყოველკვარტალურად ირეცხებოდა და სუფთავდებოდა მედეას ძეგლი.

ქალაქ ბათუმში ტურისტული ობიექტების მანიშნებლების სარესტავრაციო სამუშაოები ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიები: განხორციელდა 54 ცალი ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი ბანერების რესტავრაცია, აღდგენა და მონტაჟი. რესტავრაცია ჩაუტარდა 150 ცალ ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელ ბანერს. ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა, შეკეთება-მოწყობა ქალაქის მასშტაბით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ეზოებში შეკეთდა 127 ცალი ფანჩატური, 652 ცალი საბადე სკამი, 98 ერთეული ატრაქციონი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საცხოვრებელი კორპუსების 104 ერთეულ სახურავს, 132 ერთეულ წყალსაწრეტ მილს და 99 ერთეულ წყალშემკრებ ღარს. ქალაქის მასშტაბით სპორტულ მოედნებზე, სკვერებში და სერვისცენტრის შენობებში სულ 52 მისამართზე განხორციელდა დაზიანებული განათების სისტემის აღდგენა; ქალაქის ფარგლებში, კერძოდ 8 მისამართზე მოეწყო შადრევნების სარეაბილიტაციო და შეღებვითი სამუშაოები. კვირამი 2-ჯერ ირეცხებოდა და სუფთავდება შადრევნები 21 ლოკაციაზე. ქალაქის მასშტაბით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კორპუსების ეზოებში 51 სპორტულ მოედანს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია; ქალაქის მასშტაბით ასევე ჩატარდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 44 მისამართზე.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 18 638,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 18 310,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში, ქალაქის იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგების, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვის, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობის მიზნით საანგარიშო პერიოდში რეგულადულად მიმდინარეობდა დასუფთავების სამუშაოები, მათ შორის: ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები; ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთის ღონისძიებები; ნარჩენების გატანა და ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და საინტარგული მომსახურება.

დასუფთავდა ქალაქის ტერიტორია 5 601 050 კვმ-ზე; გატანილი იქნა 87 992 ტონა ანახვეტი და საყოფაცხოვრებო ნარჩენი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 19 580,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 17 653,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,2%.

პროგრამის აღწერა:

ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე გზაგამყოფ სივრცეში სკვერის მოწყობა (ს/კ 05.27.40.006) (ს/კ 05.27.41.004) (ს/კ 05.26.04.024) - მოეწყო 3 343,5 გრძ.მ. ბორდიური, 2 138 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 234,34 კბ.მ. ბეტონის ფილა, 445 კვ.მ. კაუჩუკის საფარი, 11 ც. საბავშვო

ატრაქციონი, 10 ც. ტრენაჟორი, 2 კომპლ. სავარჯიშო აღჭურვილობა, 8 ც. ძაღლების ატრაქციონი, 1 ტ. ფანჯატურის კონსტრუქცია, 205 ც. განათების ბოძი; გადაირგო და დაირგო არსებული 1 042 ც. მცენარე; დაიგო 4 080 კვ.მ. რულონური გაზონი.

ქ. ბათუმი, სამების 1 ჩიხი, N3-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია - მოეწყო 699,8 გრძ.მ. ბორდიური, 809 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 492 კვ.მ. კაუჩუკის საფარი, 9 ც. საბავშვო ატრაქციონი, 10 ც. ტრენაჟორი, 1 კომპლ. სავარჯიშო აღჭურვილობა, 34 ც. განათების ბოძი, 1 კომპლ. შადრევანი; დაირგო 159 ც. მცენარე; დაიგო 1 295 კვ.მ. რულონური გაზონი.

ქ. ბათუმში ხახულის მე-2 შესახვევი N67-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 504,5 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 34,5 კვ.მ. ტაქტილური ფილა, 358 გ/მ ბორდიური, 3 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 ერთეული ფანჯატური, 300 კვ.მ. მწვანე კორდი, 12 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმი, მამია გოგოლიშვილის ქუჩა N45-ის მიმდებარედ (ს/კ 05.33.22.309) სკვერის მოწყობა - მოეწყო 3,7 კვ.მ რკ/ბეტონის სანიაღვრე ჭები, 87,1 მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 434,2 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 198,6 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 23,5 კვ.მ. ტაქტილური ფილა, 226 გრძ.მ. ბორდიური, 1 ერთეული საბავშვო ატრაქციონი და ფანჯატური, 121,2 კვ.მ. მწვანე კორდი, 4 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით. "

ქ. ბათუმი, ა. აბაშიძის N22 (ს/კ 05.26.02.109)-ში სკვერის მოწყობა - მოეწყო 4,83 კვ.მ რკ/ბეტონის სანიაღვრე ჭები, 74,8 მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 535 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 465 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 309 გრძ.მ. ბორდიური, 1 ერთეული საბავშვო ატრაქციონი და ფანჯატური, 200 კვ.მ. მწვანე კორდი, 2 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმი, მელიქიშვილის III შესახვევი N21 (ს/კ 05.26.27.013)-ში სკვერის მოწყობა - მოეწყო 3,9 კვ.მ რკ/ბეტონის სანიაღვრე ჭები, 50 მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 492,1 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 460,5 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 1 ერთეული ფანჯატური, 539,9 კვ.მ. მწვანე კორდი, 11 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმი, ი. ჯავახიშვილის ქუჩა N4ა-ს (ს/კ 05.24.08.010) მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 14,46 კვ.მ რკ/ბეტონის სანიაღვრე ჭები, 186 მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 885 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 1 056 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 700 გრძ.მ. ბორდიური, 5 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 2 ერთეული ფანჯატური, 695 კვ.მ. მწვანე კორდი, 11 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 კომპლექტი სასმელი წყლის სოკო.

ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N14ა-ს მიმდებარედ (ს/კ 05.32.11.691) სკვერის მოწყობა - მოეწყო 1,81 კვ.მ რკ/ბეტონის სანიაღვრე ჭები, 26 მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 59,9 კვ.მ. მოაჯირი, 125 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 119 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 11710 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 2 ერთეული ფანჯატური, 98,5 კვ.მ. მწვანე კორდი, 4 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული მოედანი.

ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N21ა-ს მიმდებარედ (ს/კ 05.24.08.145) სკვერის მოწყობა - მოეწყო 88 კვ.მ. მოაჯირი, 188,9 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 203 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 ერთეული ფანჯატური, 116 კვ.მ. მწვანე კორდი, 2 ც. ელ. განათების ბოძი სანათით.

ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ (ს/კ 05.27.07.010) სკვერის მოწყობა - მოეწყო 64,7 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 96 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 ერთეული ფანჯატური, 68 კვ.მ. მწვანე კორდი, 2 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის N15/17-ის მიმდებარედ (ს/კ 05.25.10.044)/(ს/კ 05.25.10.037) სკვერის მოწყობა - მოეწყო 326 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 262,5 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 2 ერთეული ფანჯატური, 335,6 კვ.მ. მწვანე კორდი, 5 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით."

ქ. ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩა N49-ის მიმდებარედ (ს/კ 05.31.01.908) სკვერის მოწყობა - მოეწყო 131 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 160,6 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 155 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 92 კვ.მ. მწვანე კორდი, 1 ც. ელ. განათების ბოძი სანათით.

ქ. ბათუმი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N17-ის (სკ 05.30.29.023) მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 119 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 80,5 გრძ.მ. ბორდიური, 30 კვ.მ. მწვანე კორდი.

ქალაქი ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N28-ის მიმდებარედ (ს/კ 05.25.09.039)/(ს/კ 05.25.09.035)/(ს/კ 05.25.09.040) სკვერის მოწყობა - მოეწყო 104,4 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 128 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 175 კვ.მ. მწვანე კორდი, 1 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია - მოეწყო 1 353 გრძ.მ. ბორდიური, 1 940 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 337 კვ.მ. კაუჩუკის საფარი, 4,81 ტ. მოაჯირი, 13 ც. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სპორტული ტრენაჟორი, 1 ერთეული ფანჯატური, 1 ერთეული შადრევანი, 36 ც. განათების ბოძი; დაირგო 43 ერთეული მცენარე; დაიგო 2 195 კვ.მ. რულონური გაზონი. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულ ნაძვნარში სკვერის მოწყობა - მოეწყო 6,1 კვ.მ. ჭები, 166,9 მ. მილი, 300 კვ.მ. კოლექტორი, 1 300 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 75 კვ.მ. ტაქტილური ფილა, 1 100 გრძ.მ. ბორდიური.

ქ. ბათუმში, ძმები ნობელების ქუჩა N41-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 12,1 კვ.მ ჭები, 115,75 მ. მილები, 250 კვ.მ. შემოღობვა, 1150 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 965 გრძ.მ. ბორდიური, 4 ც. ფანჯატური, 800 კვ.მ. კორდი, 8 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

თამარ მეფის გამზირი N20-ში სკვერის მოწყობა - მოეწყო 115,08 კვ.მ. ლითონის დეკორატიული მოაჯირები, 886,9 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 51,6 კვ.მ. ტაქტილური ფილა, 106,5 გრძ.მ. ბორდიური, 3 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 3 064 კვ.მ. მწვანე კორდი, 22 ც. ელ. განათების დეკორატიული ბოძი სანათებით, 2 ერთეული შადრევანი; შეიღეს 82,2 კვ.მ. დაზიანებული კიბის მოაჯირების და კედლების ნაწილები; შეიღეს 270 კვ.მ. ძეგლები, მონუმენტი, პერიმეტრალური კედლები, კიბის მოაჯირი და დეკორატიული კედლები; 18 955 კვ.მ. კიბის საფეხურები და გვერდითი კედლები მოპირკეთდა ბუნებრივი გრანიტის ფილით.

დაბა ჩაქვი, თამარ მეფის გამზირზე ს/კ20.48.02.068 სკვერის მოწყობა - მოეწყო 4,6 კვ.მ. ჭები, 67 მ. მილები, 10,24 კვ.მ. კიბე და დამცავი კედლები, 108,4 კვ.მ. შემოღობვა, 411 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 24 კვ.მ. ტაქტილური ფილა, 455,3 გრძ.მ. ბორდიური, 105 კვ.მ. ველობილიკის გზა ც/ბეტონის საფარით, 4 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 3 ც. ფანჯატური, 13 ც. სკამი, 14 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული სტადიონი.

ქ. ბათუმში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N88 მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 2,117 კვ.მ. ჭები, 20,4 მ. მილები, 84,5 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 470 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 216 გრძ.მ.

ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 81 კვ.მ. შემოღობვა, 1 ც. ფანჩატური, 12 ც. სკამი, 45 კვ.მ. კორდი, 11 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული სტადიონი. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, ნ. ფიროსმანის ქუჩა N18-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 4 800 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 3 ც. სკამი, 18 კვ.მ. კორდი, 3 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N22-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 53,55 კვ.მ. შემოღობვა, 152 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 427 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 215 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 8 ც. სკამი, 2 ერთეული ფანჩატური, 135 კვ.მ. კორდი, 11 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული სტადიონი.

სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიის შედეგად, ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ. N71-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 10,3 კვ.მ. ჭები, 129,7 მ. მილები, 109 კვ.მ. კიბე, 273,1 კვ.მ. დამცავი კედლები, 95 გ/მ. სადრენაჟე სისტემები, 207,7 კვ.მ. შემოღობვა, 1 371 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 379 გრძ.მ. ბორდიური, 7 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორი, 2 ც. ფანჩატური, 20 ც. სკამი, 951 კვ.მ. კორდი, 34 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული სტადიონი; დაირგო 233 ც. მცენარე.

"ქ. ბათუმში, თბილისის ქ. N66-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 79,5 კვ.მ. შემოღობვა, 4132,5 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 125 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 120 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 3 ც. სკამი, 1 ც. ფანჩატური, 4 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N10-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 126 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 410 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 299 გრძ.მ. ბორდიური, 13 ც. სკამი, 3 ც. ფანჩატური, 207 კვ.მ. კორდი, 6 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 1 ერთეული სპორტული სტადიონი.

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N320-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 3 100 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 1 202 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 1 010 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. ტრენაჟორი, 26 ც. სკამი, 5 ერთეული ფანჩატური, 380 კვ.მ. კორდი, 10 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით.

ფრიდონ ხალვაშის გამზირის მიმდებარედ, შანიძის ქუჩის კვეთიდან, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის კვეთამდე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია - დემონტაჟი ჩაუტარდა 14,6 კვ.მ. ა/ბეტონის საფარს, 2661 კვ.მ. დეკორატიულ ფილებს, 2429 მ. ბორდიურებს, 419 კვ.მ. შემოღობვას, 672 კვ.მ. მავთულბადეს.

ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლის აღდგენის სამუშაოები - მოეწყო 467,46 კვ.მ. ბეტონის ბლოკები, 10 357 კვ.მ. სავალი ბილიკი, 404 მ. ბორდიური, 208 კვ.მ. ბეტონის საფარი, 87 კვ.მ. რკ/ბეტონის არხი, 29,64 კვ.მ. რკ/ბეტონის ფილა, 2 396 გ/მ ელ. სადენი, 352,27 კვ.მ. კიბე, 1,25 ტ. მოაჯირი, 158,4 კვ.მ. კედელი, 100 მ. სადრენაჟე არხი, 52 მ. სადრენაჟე მილი; 1 602 კვ.მ. ბლოკები მოპირკეთდა ფილებით.

ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში სტიქიის შედეგად დაზიანებული საფეხმავლო ბილიკის აღდგენა და ზღვაში გამსვლელი სანიაღვრე კოლექტორების შტორმისგან დამცავი სარეგულაციო კედლების მშენებლობა - მოეწყო 113,57 ტ. ლითონის შპუნტები, 195,2 კვ.მ. რკ/ბეტონის სარეგულაციო კედლები. მომწოდებელ კომპანიას დარჩენილ შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად სამმართველოში

შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

შენი იდეა ბათუმის ფარგლებში - „საქანელა ყველას“-თვის შერჩეული პროექტების დაფინანსება (მ. ლერმონტოვის ქ. N96-ის მიმდებარედ სკვერში, ინასარიძის ქ. N3-ის მიმდებარედ სკვერში, ბაქოს ქუჩა N74-ის მიმდებარედ სკვერში, თამარ მეფის გამზირზე არსებულ სკვერში, შინდისის სკვერში) - მოეწყო 5 ერთეული საქანელა.

ადაპტირებული ბათუმი, ((ქ. ბათუმის ტერიტორიაზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული სკამების განთავსება) მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება) - მოეწყო 50 ც. ადაპტირებული სკამი.

ცენტრალური პარკის დაცვა - ცენტრალური პარკის დაცვისათვის დაიფარა ხარჯები.

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

ანგარიშსწორება მომწოდებელ კომპანიასთან ხდება კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების შემსრულებელი მომწოდებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად შესაბამისი პროცენტის ოდენობით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღე-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მომწოდებელმა კომპანიამ არ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტაცია სამმართველოში, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა კვარტალური გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%) - ქ.ბათუმში დასასვენებელი სკვერების მოწყობა. მის: ქ. ბათუმში, აბუსერიძის ქ. N23-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, დ. აღამაშენებლის ქ. N8-10-12-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ბაგრატიონის ქ. N214-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

მიღწეული შედეგები:

ქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეში განხორციელებულია სამუშაოები.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 6 136,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 748,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში სანგარისო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ 5 665 321 კვ.მ. გაიცელა მწვანე საფარი, შესაბამისად განხორციელდა მწვანე ბალახის შეგროვება და გატანა;
- ✓ დაირგო 8 329 ახალი ხე-მცენარე;
- ✓ განხორციელდა 3 250 ძირი ხემცენარეს დეკორატიული გასხვლა გაფორმება, 227 ძირი ხე-მცენარის გადაბეღვა, 636 ძირი დაზიანებული ხე-მცენარის ამოძირკვა, დაირგო 588 598 სეზონურად მოყვავილე ერთწლოვანი ყვავილები.
- ✓ ჩატარდა სეზონური სამუშაოები სანერგეში არსებულ ხე-მცენარეების ნერგებს;
- ✓ 27 ძირი ზამთრისათვის შეხვეული იქნა ხე-მცენარე;
- ✓ 28 199 ძირი ხე-მცენარეების ირგვლივ განხორციელდა შემობარვა-გათოხნა-გამარგვლა;
- ✓ შეტანილი იქნა საჭიროებისამებრ მიწა;
- ✓ განხორციელდა მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით;
- ✓ - ბორდიულზე გადმოსული კორდის ჩამოჭრა 9130 გრძ.მ., დაიგო 7 730 კვ.მ. კორდი.

მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, ფუნქციონირებს სანერგე-სასათბურე მეურნეობა.

პრიორიტეტი: განათლება

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 33 500,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 30 948,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მართვა-აღმინისტრირება - 2024 წლის გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება 7902 აღსაზრდელზე. ა(ა)იპ "ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" დაქვემდებარებაში არსებული ოცდათვრამეტი საბავშვო ბაღიდან ფუნქციონირებს ოცდარვა საბავშვო ბაღი, ხოლო ათ საბავშვო ბაღში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რის გამოც დროებით შეჩერებული იყო სააღმზრდელო პროცესი.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - 2024 წლის განმავლობაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალურ დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების, ბავშვების

ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ჯანსაღი კვებისა და სწორი ფიზიკური განვითარების მიზნით მუნიციპალური საბავშვო ბაღების აღსაზრდელების ინტერესების დაცვისა და მათი სრულფასოვანი კვების მიზნით საბავშვო ბაღებს შეფერხების გარეშე მიეწოდებათ აღნიშნული მომსახურება და რაიმე სახის დაბრკოლებას ადგილი არ ჰქონია. კვებითი უზრუნველყოფის მუხლში I, II, III და IV კვარტალებში დაგეგმილ რესურსზე ნაკლები ხარჯი გამოწვეულია ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტების მიერ ფასების კლების და შემდგომ აღსაზრდელთა დაბალი დასწრებით.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება 2024 წლის გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება. დაგეგმილ რესურსზე ნაკლები ხარჯი გამოწვეულია ჩატარებულ ტენდერებში მიმწოდებელთა მიერ ფასთა კლებით, ასევე:

1. ვიდეოსათვალითვალო სისტემის მონტაჟისთვის დაგეგმილი იყო 30000 ლარი. საბავშვო ბაღებში ახალი გარემოებების გამოკვეთის გამო აღარ დარჩა საჭირო აღნიშნული ღონისძიების განხორციელება;

2. ცენტრალურ გათბობასთან დაკავშირებული დანადგარების შესყიდვისთვის საჭიროების შემთხვევაში დაგეგმილი იყო 50 000 ლარი ხარჯის გაწევა, რაც განხორციელდებოდა დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში. 2024 წლის განმავლობაში გათბობის დანადგარები შეუფერხებლად მუშაობდა და აღარ დარჩა საჭირო ხარჯების გაწევა, რის გამოც აუთვისებელი დარჩა დაგეგმილი თანხები;

3. რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯებში 130373 ლარის ოდენობის ნაშთის დარჩენა გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02-04 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 11 795,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 8 946,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 75,8%. ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KFW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება - გამომდინარე იქედან, რომ პირველი კლასტერის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2022 წელს გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა და შემდგომ დონორთან შეთანხმებით მოხდა სატენდერო პირობების გადახედვა და ცვლილება, წინასაკვალიფიკაციო ეტაპის თავიდან გამოცხადების, შემდგომ ეტაპზე გადასული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასებისა და საბოლოოდ გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ, მე-6, მე-10 და მე-16 საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ კონტრაქტი გაფორმდა 2024 წლის ივლისში, ხოლო უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო 2024 წლის 16 სექტემბერს, სამუშაოების დასრულება

მოსალოდნელია 2025 წლის მესამე კვარტლის დასაწყისში, შესაბამისად, ვერ მოხდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება. ასევე ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობის ღონისძიებაზე - მომწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, რაზედაც დაეკისრა პირგასამტეხლო, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა დაგეგმილი მაჩვენებლის სრულად ათვისება.

პროგრამის აღწერა:

საბავშვო ბაღების შენობების კეთილმოწყობა (დემონტაჟი-მშენებლობა-გამაგრება-რეაბილიტაცია) - ქ. ბათუმის მელიქიშვილის ქ. N8ა-ში მდებარე მე-4 საბავშვო ბაღის შენობის გამაგრება-რეაბილიტაცია - დასრულდა სამ სართულიანი მანსარდით, 1 200 კვ.მ. ფართის, 21 ოთახიანი, ექვს ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები.

ქ. ბათუმში მ. ვარშანიძის I-ჩიხი, N33 საბავშვო ბაღის გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოები - დასრულდა სამ სართულიანი, 2 422,1 კვ.მ. ფართის, 52 ოთახიანი, ექვს ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები.

ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - მიმდინარეობს ორ სართულიანი, 3 150 კვ.მ. ფართის, 18 ოთახიანი, ოთხ ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები. მიმდინარე ეტაპისათვის დასრულებულია კონსტრუქციული ნაწილის მშენებლობის სამუშაოების წარმოება და მიმდინარეობს შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოება. მომწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, გამომდინარე აქედან დაეკისრა პირგასამტეხლო. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N83-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა - დასრულდა ორ სართულიანი, 3 150 კვ.მ. ფართის, 18 ოთახიანი, ოთხ ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები.

ქ. ბათუმი, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - დასრულდა ორ სართულიანი, 3 150 კვ.მ. ფართის, 18 ოთახიანი, ოთხ ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები.

ქ. ბათუმში, ივანე მესხის I ჩიხი N7-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - მიმდინარეობს ორ სართულიანი, 1 503 კვ.მ. ფართის, 16 ოთახიანი, შვიდ ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები.

მიმდინარე ეტაპისათვის დასრულდა ქვაბულის, საძირკვლის და ნულოვან ნიშნულზე გადახურვის ფილის მოწყობის სამუშაოების წარმოება.

ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქ. N33 „დ“-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - მიმდინარეობს ორსართულიანი, 1 512 კვ.მ. ფართის, 16 ოთახიანი, შვიდ ჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები. მიმდინარე ეტაპისათვის დასრულდა ქვაბულის, საძირკვლის და ნულოვან ნიშნულზე გადახურვის ფილის მოწყობის სამუშაოების წარმოება.

ელ. ენერგიის ქსელზე მიერთების საფასური - მომწოდებელმა კომპანიამ საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა ელ. ენერგიის ქსელზე მიერთების სამუშაოები.

ბუნებრივი აირის (გაზის) ქსელზე მიერთების საფასური - მომწოდებელმა კომპანიამ საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა ბუნებრივი აირის (გაზის) ქსელზე მიერთების სამუშაოები.

წყლის ქსელზე მიერთების საფასური - მომწოდებელმა კომპანიამ საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა წყლის ქსელზე მიერთების სამუშაოები.

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

ანგარიშსწორება მომწოდებელ კომპანიასთან ხდება კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების შემსრულებელი მომწოდებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად შესაბამისი პროცენტის ოდენობით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მომწოდებელმა კომპანიამ შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტაცია სამმართველოში არ წარმოადგინა, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KfW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება - პროექტი ხორციელდება KfW ბანკის საგრანტო მხარდაჭერით. განხორციელების პროცესში ბათუმის მუნიციპალიტეტს დახმარებას უწევს აღმასრულებელი კონსულტანტი - საერთაშორისო კომპანია Fichtner GmbH & Co.KG.

კონსულტანტის დახმარებით პირველ კლასტერში შემავალი ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2022 წელს გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერის პირველი ეტაპი - წინასაკვალიფიკაციო შერჩევა, თუმცა ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ვინაიდან მასში მონაწილე ორი პრეტენდენტიდან ვერც ერთმა ვერ გაიარა წინასწარი კვალიფიკაცია, რის შემდგომაც ჩატარდა მოკვლევა, შედეგებზე დაყრდნობით შეტანილ იქნა ცვლილებები სატენდერო დოკუმენტაციაში, ბაღები (სია საბოლოოდ 12 ბაღზე შეჯერდა) ხელახლა გადანაწილდა 4 კლასტერში და გადაწყდა, რომ ტენდერის წინასაკვალიფიკაციო ეტაპი ყველა კლასტერისათვის გამოცხადებულიყო ერთდროულად, ხოლო მეორე ეტაპი - ერთი ლოტისთვის ან რამდენიმე ლოტისთვის ერთდროულად. ხელახალი წინასაკვალიფიკაციო ეტაპი პირველი ლოტისთვის (ბაღები No: 6, 10, 16) გამოცხადდა 2022 წლის დეკემბერში, რომელიც დასრულდა 2023 წლის ივნისში, წინასწარი

კვალიფიკაცია გაიარა ორმა კომპანიამ, რომლებიც წინადადებების (ტექნიკური, ფინანსური) წარმოსადგენად მოწვეულ იქნენ 2023 წლის 26 ივლისს. გამარჯვებული გამოვლინდა 2024 წლის მარტში და მასთან კონტრაქტი გაფორმდა 2024 წლის ივლისში, უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო სექტემბერში. სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობისას მე-6 ბაღში კედლებზე ზზარები გაჩნდა, რის გამოც სარეკონსტრუქციო პროექტში ცვლილების შეტანა გახდა საჭირო. კორექტირებული პროექტი შესათანხმებლად გაგზავნილია მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან. მომზადდა მეორე ლოტის (ბაღები No: 7, 9, 15) სატენდერო დოკუმენტაცია, ტენდერი 2025 წლის I კვარტალში გამოცხადდება. წინადადებების წარმოსადგენად მოწვეული იქნება ის ორი კომპანია, რომელთაც გადალახული აქვთ საკვალიფიკაციო ეტაპი. იმის გათვალისწინებით, რომ პირველ ლოტზე მოსალოდნელზე სამჯერ მაღალი ფასი იქნა შემოთავაზებული, დარჩენილი საგრანტო ფონდის ფარგლებში მოსალოდნელია კიდევ ორი მცირე ზომის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. თუ ტენდერი წარმატებით დასრულდება, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება მოსალოდნელია 2025 წლის მეოთხე კვარტალში, ხოლო დასრულება - 2026 წელს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის შესახებ სატენდერო (საკონტრაქტო) პირობების თანახმად, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისთვის განსაზღვრულია 9 თვე სამუშაოების დაწყებიდან, გამომდინარე იქედან, რომ პირველი კლასტერის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2022 წელს გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა და შემდგომ დონორთან შეთანხმებით მოხდა სატენდერო პირობების გადახედვა და ცვლილება, წინასააკვალიფიკაციო ეტაპის თავიდან გამოცხადების, შემდგომ ეტაპზე გადასული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასებისა და საბოლოოდ გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ, მე-6, მე-10 და მე-16 საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ კონტრაქტი გაფორმდა 2024 წლის ივლისში, ხოლო უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო 2024 წლის 16 სექტემბერს, სამუშაოების დასრულება მოსალოდნელია 2025 წლის მესამე კვარტალის დასაწყისში, შესაბამისად, ვერ მოხდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

მიღწეული შედეგები:

გაიზარდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 45,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 45,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და დამტკიცდა ღონისძიების „ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა" დებულება. თებერვლის თვეში შემოვიდა

ორი განაცხადი, კერძოდ: კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით განცხადებები შემოიტანეს შემდეგმა ფიზიკურმა პირებმა: ბესო შალამბერიძემ და დათო მგელაძემ. კომისია გაიმართა მ.წ. 14 მარტს და ორივე კონკურსსანტი გამოვლინდა გამარჯვებულად. კონკურსსანტები 2-11 მაისის ჩათვლით, გაემგზავრნენ ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში საგანმანათლებლო პროექტში მონაწილეობის მისაღებად. პროექტი მიზნად ისახავდა ჩეხეთში დანერგილი მოხალისეობრივი ინსტიტუტის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები მოხალისეობის შესახებ, მონაწილეები გაეცნენ ჩეხეთის რესპუბლიკის ახალგაზრდულ პოლიტიკას, შედგა პროექტის მონაწილეთა შორის წერიტი და ზეპირი კომუნიკაცია, როლური თამაშები, ახალგაზრდები ესტუმრნენ პრაღის მერიის ახალგაზრდულ დეპარტამენტს. პროგრამას გაუძღვა ინგლისურენოვანი ტრენერი. (ბესო შალამბერიძე და დათო მგელაძე დაბრუნდნენ უცხოეთიდან და წარმოადგინეს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები).

აპრილში, კონკურსში მონაწილეობის მიზნით განაცხადები შემოიტანეს: ლუკა აზაკიშმა და ლუკა მალაყმაძემ. 2024 წლის 23 მაისს გამართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N2, 23.05.2024წ.) ისინი გამარჯვებულად გამოვლინდნენ."

2024 წლის 27 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის პერიოდში, ლუკა აზაკიში და ლუკა მალაყმაძე გაემგზავრნენ ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში დაგეგმილ საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგი მოიცავდა მოხალისეობას, ბიზნესის მართვის უნარების, წერიტი და კომუნიკაციის უნარების შესწავლას, როლურ თამაშებს, საგანმანათლებლო თამაშებს, ასევე ბარსელონაში მუზეუმების ვიზიტს.

მაისში, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, განცხადებები შემოიტანეს: ანრი მახარაძემ, ნიკა ფარტენაძემ, სალომე გურგენიძემ და მარიამ ბერიძემ. 2024 წლის 12 ივნისს გამართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N3, 12.06.2024წ.) ისინი გამარჯვებულად გამოვლინდნენ და 2024 წლის 27 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის პერიოდში, ანრი მახარაძე და ნიკა ფარტენაძე გაემგზავრნენ ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში დაგეგმილ საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგი მოიცავდა მოხალისეობას, ბიზნესის მართვის უნარების, წერიტი და კომუნიკაციის უნარების შესწავლას, როლურ თამაშებს, საგანმანათლებლო თამაშებს, ასევე ბარსელონაში მუზეუმების ვიზიტს."

კონკურსში გამარჯვებული სალომე გურგენიძე - 26 აგვისტოდან 13 დეკემბრის პერიოდში იმყოფებოდა სამხრეთ კორეაში ყოველწლიური ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ღონისძიების მიზანი იყო, ასობით საერთაშორისო და კორეელი სტუდენტის გაერთიანება იმისთვის, რომ სტუდენტებმა შეისწავლონ ერთმანეთის კულტურა და ღირებულებები, განავითარონ უცხო ენის, ინტერპერსონალური და კარიერული უნარ - ჩვევები სხვადასხვა ტიპის ივენთისა თუ აქტივობის გზით.

მარიამ ბერიძე - 2024 წლის 12 აგვისტოდან 19 დეკემბრის პერიოდში, გაემგზავრა ნორვეგიაში გაცვლითი სწავლების ფარგლებში. ის ჩაირიცხა კომპიუტერული მეცნიერების, ინჟინერიისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე.

ივნისში, კონკურსში მონაწილეობის მიზნით განაცხადები შემოიტანეს: ლიკა დიასამიძემ და ალექო ვერძაძემ.

4 ივლისის კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით (კომისიის სხდომის ოქმი N4) გამარჯვებულად გამოვლინდნენ კონკურსანტები - ლიკა დიასამიძე და ალექო ვერძაძე, რომლებიც 2024 წლის 27 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის პერიოდში, გაემგზავრნენ ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში დაგეგმილ საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგი მოიცავდა მოხალისეობას, ბიზნესის მართვის უნარების, წერითი და კომუნიკაციის უნარების შესწავლას, როლურ თამაშებს, საგანმანათლებლო თამაშებს, ასევე ბარსელონაში მუზეუმების ვიზიტს.

ივლისში, კონკურსში მონაწილეობის მიზნით განაცხადები შემოიტანეს: ელენე ბერიძემ, არჩილ ბერიძემ, ელიზა ევაძემ და ვაჟა საგინაძემ. 13 აგვისტოს, კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით (კომისიის სხდომის ოქმი N5 13.08.2024), გამარჯვებულად გამოვლინდა ოთხივე კონკურსანტი.

ელენე ბერიძე - გაემგზავრა ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში დაგეგმილ საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგი მოიცავდა მოხალისეობას, ბიზნესის მართვის უნარების, წერითი და კომუნიკაციის უნარების შესწავლას, როლურ თამაშებს, საგანმანათლებლო თამაშებს, ასევე ბარსელონაში მუზეუმების ვიზიტს (27.10.2024-05.11.2024).

არჩილ ბერიძემ - სტაჟირება გაიარა გერმანიაში, ხემნიცის საუნივერსიტეტო კლინიკაში (02.09.2024-01.10.2024),

ელიზა ევაძემ - ესპანეთში ევროდისეას პროგრამაში მიიღო მონაწილეობა (01.09.2024-30.11.2024),

ვაჟა საგინაძე - საფრანგეთში, ქალაქ ლილიში, ერასმუს პლიუსის გაცვლითი პროგრამა - JUNIA ISEN - ის ინჟინერიის სკოლაში ჩაერთო (26.08. 2024 - 20.12.2024). "

სექტემბრის თვეში დაკმაყოფილდა შემოსული სამივე კონკურსანტის განაცხადი, რომელთაგან ივეტა ბერიძე და დიანა ბიბინიძე ნოემბრის თვეში გაემგზავრნენ ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში. პროექტი მოიცავდა ტრენინგებს მოხალისეობის, წერისა და კომუნიკაციის უნარებში, როლურ თამაშებს, საგანმანათლებლო თამაშებს, ბარსელონას მუზეუმების დათვალიერებას (3.11.2024 - 10.11.2024), ხოლო, მადინა ტრიფტანიდი - გადის 7 თვიან სტაჟირებას, გერმანიაში, იდარ - ობერშტაინის კლინიკაში (01.11.2024 - 30.06.2025).

მიღწეული შედეგები:

წახალისებულია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბათუმელი სტუდენტები.

სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 130.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 130.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში:

ა) ღონისძიების ფარგლებში სულ შემოვიდა 230 (ორას ოცდაათი) განაცხადი, რომელთაგან 198 აკმაყოფილებდა დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. პრიორიტეტული მიმართულებით განაცხადი

შემოიტანა 88 სტუდენტმა, ხოლო არაპრიორიტეტული მიმართულებებიდან განაცხადი შემოიტანა - 110 სტუდენტმა. ამათგან დაფინანსდა 50 სტუდენტი.

საგაზაფხულო სემესტრის შედეგების მიხედვით, განცხადებების მიღება მიმდინარეობდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 124 სტუდენტის განაცხადი, რომელთაგან 16 არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს.

პრიორიტეტული მიმართულებებით განაცხადი შემოიტანა 54 სტუდენტმა. არაპრიორიტეტული მიმართულებებით, ასევე 54 სტუდენტმა. მათგან 50 სტუდენტზე გაიცა სტიპენდია (40 - პრიორიტეტული და 10 - არაპრიორიტეტული მიმართულებით)."

ბ) ღონისძიების ფარგლებში სულ შემოვიდა 14 (თოთხმეტი) განცხადება, რომელთაგან კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა 10 (ათი) სტუდენტი.

ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 12 სტუდენტის განაცხადი. საუკეთესო აკადემიური შედეგის მქონე 10 სტუდენტზე გაიცა ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია.

მიღწეული შედეგები:

წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 784,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 744,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,9%;

➤ პროგრამის აღწერა:

ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი - ბათუმის 12 ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია ბიჭების 24 ასაკობრივი გუნდი. პროექტში ჩართულია 300 მოზარდი. საპლაჟო და ფუტსალის მიმართულებით შექმნილია გუნდი, რომელიც შედგება 25 მოზარდისგან, დაფინანსებულია მივლინების ხარჯები.

ეზოს ფეხბურთის ღონისძიება - ივლისის თვეში გაიმართა პროექტ „ეზოს ფეხბურთის“ ფესტივალი, სადაც მონაწილეობდა ბათუმის 12 ადმინისტრაციის 24 გუნდი ორ ასაკობრივ კატეგორიაში, სადაც მონაწილეობა მიიღო 500-მდე მოყვარულმა სპორტსმენმა. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები. ასევე გამარჯვებული გუნდები გაემგზავრენ ბაკურიანში ექსკურსიაზე ორი ღამით.

ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე ჩატარდა ქვიშის ფეხბურთის საერთაშორისო ფესტივალი სადაც მონაწილეობას იღებდა 8 გუნდი, აქედან ერთი უცხოური გუნდი. საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 90-ზე მეტმა სპორტმენმა. 2024 წლის განმავლობაში ეტაპობრივად ბათუმის სპორტული ცენტრის ფუტსალის გუნდი მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატში ფუტსალის ლიგა 3-ში.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია - საანგარიშო პერიოდში „სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექციაში ვარჯიშობდა 70-მდე მოზრდი, ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში 2 დღე. 17 ივნისს ჩატარდა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული ფესტივალი. ფესტივალის მსვლელობაში გაიმართა შემეცნებითი და გასართობი თემატიკის აქტივობები: ძერწვა, სახის მოხატვა, მოზაიკის აწყობა. მონაწილეებს გადაეცათ სხვადასხვა წამახალისებელი პრიზები.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - ჩატარდა ბათუმის სპორტული ცენტრის ორგანიზებით 8 სხვადასხვა სპორტის სახეობაში, საერთო ჯამში მონაწილეობდა 40 სკოლის 3000 მდე მოზარდი. ღონისძიება ჩატარდა 1 ოქტომბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.

ქვიშის სახეობების ფესტივალი - ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე ჩატარდა ქვიშის სახეობების ფესტივალი 5 სხვადასხვა სპორტის სახეობაში, ესენია: ფუტვოლეი, ქვიშის რაგბი, ქვიშის ტექნოლოი, ქვიშის ჭიდაობა და ქვიშის ფრენბურთი. საერთო ჯამში ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 150-მდე სპორტსმენმა.

სპორტული ბანაკი „ბაკურიანი2024“ - 5 დღის განმავლობაში ბათუმელმა მოზარდებმა მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში. სპორტულ ბანაკში ჩართული იყო 70-მდე მონაწილე, რომლებსაც დასკვნით ეტაპზე გადაეცათ წამახალისებელი სიგელები ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობისათვის.

„ველო მარათონი“ - 23 ივლისს გაიმართა ღონისძიება „ველო მარათონი“, სადაც მონაწილეობა მიიღო 50-მდე მოყვარულმა სპორტსმენმა. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერები სპორტული მაღაზიიდან.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - გაიმართა ვეტერანებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში - ნარდი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ბადმინტონი და დარტსი. ღონისძიებაში მონაწილეობდა 100-მდე სპორტსმენი. გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცა მედლები, სიგელები და ასევე ფასიანი ვაუჩერები.

ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება - ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სპორტული ღონისძიებები: ქართული ჭიდაობა, ბადმინტონი, ტექნოლოი. ღონისძიებაში მონაწილეობდა 150 მოყვარული სპორტსმენი. გამოვლინდა გამარჯვებულები, რომლებსაც გადაეცათ სიგელები მედლები და ფასიანი ვაუჩერები სპორტული მაღაზიიდან.

ელექტრო სკუტერების ჩემპიონატი - 13 სექტემბერს გაიმართა, სადაც მონაწილეობდა 50-მდე მონაწილე, გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები.

„ქვიშის ჭიდაობა“ - საანგარიშო პერიოდში, ქვიშის ჭიდაობის სექციაში გაწევრიანებული იყო 25 აღსაზრდელი, რომლებიც სისტემატიურად ვარჯიშობდნენ კვირაში სამი დღე 2 საათით.

15 სექტემბერს ჩატარდა ქვიშის ჭიდაობის ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა სპორტსმენმა. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერები სპორტული მაღაზიიდან.

მინდვრის ჰოკეის სექციის განვითარება - მინდვრის ჰოკეი არის ერთ-ერთი პოპულარული სპორტის სახეობა, რომელიც ოლიმპიური სახეობაა. ფიზიკური აღზრდის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მინდვრის ჰოკეის. სექციაში ფუნქციონირებს ორი ჯგუფი - გოგონების და ვაჟების, სულ 50 აღსაზრდელი. ვარჯიშები ტარდება კვირაში 3 დღე, აღნიშნული მიმართულებით შეძენილია სპორტული ინვენტარი და ეკიპირება., ასევე განხორციელდა შიდა სატურნირო მივლინება.

სასკოლო ლიგა - ღონისძიება მოიცავდა 5 სხვადასხვა სპორტის სახეობას (მინი ფეხბურთი, ქვიშის ფრენბურთი, სამი-სამზე კალათბურთი გოგონებს შორის, ტექნოლი) საერთო ჯამში ღონისძიებაში მონაწილეობდა 600-მდე მონაწილე. გამოვლინდა გამარჯვებული სკოლები, რომლებსაც გადაეცათ მედლები, სიგელები და სპეციალური პრიზები.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება. მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 80,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 20,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 25,0%. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ, ღონისძიებების მნიშვნელობის, მასშტაბურობის, ფორმისა და შინაარსის გთვალისწინებით, ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზების პროცესში, განხორციელდა კომუნიკაცია მონაწილე პირებთან დაჯილდოების ცერემონიაზე დასწრების მიზნით, რადგან ხსენებულ ღონისძიებაში მოწვეულ პირთა მონაწილეობა მნიშვნელოვანია ღონისძიების მაღალორგანიზებულად, ნაყოფიერად ჩატარების თვალსაზრისით, რა მიზანსაც ემსახურება საზეიმო ცერემონიალის გამართვა. სამწუხაროდ, სხვადასხვა სუბიექტური მიზეზების გამო, ბევრი მათგანი ვერ ახერხებდა ღონისძიებაზე დასწრებას. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია - შეწყვეტილიყო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება N148 (მხარეთა შეთანხმებით), ხოლო ღონისძიების გამართვა დაიგეგმა 2025 წელს (2024 წლის შედეგების მიხედვით).

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში მოქადრავს კესარია მგელაძე დაფინანსდა და გაემგზავრა გერმანიაში, ქალაქ კარლსრუეში „GRENKE Chess Open in Karlsruhe“- ჩემპიონატში მონაწილეობის მიზნით, რომელიც გაიმართა 28

მარტი - 02 აპრილის ჩათვლით პერიოდში, ასევე სერბეთში, ქალაქ ბელგრადში, „Serbia open 2024 - ტურნირში მონაწილეობის მიზნით, რომელიც გაიმართა 12-21 ივლისს.

გარდა ამისა, სპორტსმენები მარიამ კომახიძე, ნოდარ ხაჯიშვილი, დავით მამულაძე გაემგზავრენ Yerevan Open კარატე-დოს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართა 2-6 ოქტომბერს, სომხეთში, ქალაქ ერევანში. ხოლო, მარიამ ცეცხლაძე 3-11 აგვისტოს იმყოფებოდა ლატვიაში ქალაქ რიგაში ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალზე. გიორგი ვერულიძემ 9-13 ოქტომბერს მიიღო მონაწილეობა პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში „14 wukf european karate championships 2024“-ში.

ლონისძიების „წლის სპორტსმენი“ გამართვა დაიგეგმა 2025 წელს (2024 წლის შედეგების მიხედვით).

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარება.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 5 943,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 835,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში ხელშეწყობილი იქნა სპორტული საკლუბო გუნდები: სარაგბო კლუბი „ბათუმი“; ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“; საკალათბურთო კლუბი „ბათუმი 2010“ და ხელბურთის კლუბი „ბათუმი“.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბების განვითარება.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა".

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 419,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 364,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საანგარიშო პერიოდში საჭადრაკო კლუბმა ნონამ მოიპოვა:

- დაფასთან: საერთაშორისო - 101 მედალი (39 ოქრო, 29 ვერცხლი, 33 ბრინჯაო);
 - საქართველოს ჩემპიონატები - 8 მედალი (3 ოქრო, 4 ვერცხლი, 1 ბრინჯაო);
 - აჭარის ჩემპიონატები - 26 მედალი (13 ოქრო, 6 ვერცხლი, 7 ბრინჯაო);
 - ონლაინ: საერთაშორისო - 49 მედალი (23 ოქრო, 14 ვერცხლი, 12 ბრინჯაო);
 - სხვადასხვა ქვეყნის უცხოელი მოჭადრაკეების მონაწილეობით - 15 მედალი (8 ოქრო, 4 ვერცხლი, 3 ბრინჯაო);
 - საქართველოს მასშტაბით - 10 მედალი (3 ოქრო, 2 ვერცხლი, 5 ბრინჯაო)"
- კლუბი ნონას ორგანიზებით გაიმართა:
- 85 საჭადრაკო აქტივობა/ღონისძიება (57 საერთაშორისო);
 - დაფასთან თამაშის ფორმატით - 50 ღონისძიება (მათ შორის - 38 საერთაშორისო);
 - ტურნირები ონლაინ რეჟიმში - 30 (მათ შორის - 19 საერთაშორისო +7 უცხოელების მონაწილეობით +4 საქართველოს მასშტაბით).

მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ა(ა)იპ „საჭადრაკო კლუბი ნონას“ განვითარება;

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 229,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 195,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული იქნა საოფისე-სამეურნეო ხარჯი, კლუბი მოემსახურა, როგორც ადგილობრივ ვიზიტორებს, ასევე ჩამოსულ სტუმრებს.

მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია საცხენოსნო სპორტის განვითარება და უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ ტურნირებში.

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02)

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 3 334,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 105,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,1%;

➤ პროგრამის აღწერა:

სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის სექციის განვითარება - საანგარიშო პერიოდში სპორტული ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობდა ჰოკეის ჯგუფების მუშაობა, ბაზაზე ფუნქციონირებდა ყინულის ჰოკეის ორი ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყვნენ 7-დან 18 წლამდე მოზარდები (სულ 40 აღსაზრდელი). მიმდინარე წლის 8-9-10 მარტს გაიმართა სპორტული ღონისძიება „ყინულის ჰოკეის ღია ჩემპიონატი“. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო ბათუმის, ქუთაისის და ერევნის გუნდებმა. ფესტივალი ჩატარდა 2 ასაკობრივ კატეგორიაში. გამოვლინდა გამარჯვებული ბათუმის გუნდი, მონაწილეებს გადაეცათ თასები, მედლები, სიგელები და სპეციალური პრიზები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე სპორტსმენმა. ყინულის ჰოკეის ახალგაზრდული ფესტივალი ჩატარდა უფროს და უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში. ღონისძიებაში მონაწილეობდა სამი გუნდი, ორ-ორი ასაკობრივი კატეგორიით. გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები, რომლებსაც გადაეცათ თასები, მედლები, სიგელები და სპეციალური პრიზები. 02.06.2024 წ-დან მოხდა ყინულის მოედნის დემონტაჟი, რის გამოც შეწყდა აღნიშნული სექციის ფუნქციონირება.

სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის სექციის განვითარება - 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში სპორტული ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობდა ფიგურული ციგურაობის ჯგუფების მუშაობა. შექმნილია 19 ჯგუფი, სადაც ვარჯიშობენ 4-დან 15 წლამდე მოზარდები, ხოლო სექციური ვარჯიშები ტარდება კვირაში 3 დღე, ხანგრძლივობა 45 წუთი, შექმნილია სინქრონის 1 ჯგუფი, რომელიც შედგება 15 მოზარდისგან და ასევე მოსამზადებელი საკონცერტო ჯგუფები (15 მოზარდი). სულ ფიგურული ციგურაობის სექციაში 400-მდე მოზარდია ჩართული.

02.06.2024 წ-დან მოხდა ყინულის მოედნის დემონტაჟი, რის გამოც აღნიშნული სექციის ფუნქციონირება გაგრძელდა თბილისის ყინულის მოედანზე, შეძენილია უნიფორმა (საცეკვაო ფორმები) სინქრონისთვის და ასევე ციგურები.

სანიჩბოსნო სპორტის სექციის განვითარების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში ნიჩბოსნობის ბაზაზე ფუნქციონირებდა 2 ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებულია 7-15 წლამდე ასაკის 35 აღსაზრდელი, ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში 5 დღე. ვარჯიშის ხანგრძლივობა - 1 საათი და 30 წუთი. 23-26 სექტემბერს გაიმართა ნიჩბოსნობის ბათუმის ღია ფესტივალი (საერთაშორისო), სადაც მონაწილეობდა 20 ქვეყნის 100 -ზე მეტი სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები. შეძენილია გასაბერი ნავი ჩამოსაკიდი ძრავით. გაცემულია ხელფასები ტრენერებზე.

ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა - საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ბათუმის სპორტული ცენტრის მასობრივი სპორტის განვითარების ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა. გუნდში გაწევრიანებულია 12 სპორტსმენი, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობენ კვირაში ორი დღე. ვარჯიშები მიმდინარეობდა უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. შეძენილია სპორტსმენებისთვის ყავარჯნები, გაცემულია ხელფასები მწვრთნელებზე. ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე ჩატარდა „ამპუტანტ ფეხბურთელთა ღია ფესტივალი“, სადაც მონაწილეობდა 6 სხვადასხვა ქალაქის გუნდი, ღონისძიება მიმდინარეობდა 2 დღის განმავლობაში. საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 80-მდე ამპუტანტმა ფეხბურთელმა.

ქართული ჭიდაობის სექციის განვითარების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ვარჯიშები კვირაში 3 დღე, სადაც ჩართული იყო 25 აღსაზრდელი, გადახდილია იჯარის საფასური ვარჯიშების ჩასატარებლად. ტრენერებზე გაცემულია ხელფასები.

ღია ფესტივალი ქართულ ჭიდაობაში: ღონისძიება გაიმართა 4 ასაკობრივ კატეგორიაში 60,70,80,+80. ფესტივალში მონაწილეობდა 70-მდე სპორტსმენი სხვადასხვა რეგიონიდან (ხულო, შუახევი, ქედა, ქობულეთი და ბათუმის სპორტსკოლის და სპორტული ცენტრის აღსაზრდელები), გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები, რომლებსაც გადაეცათ თასები, მედლები, სიგელები და სპეციალური პრიზები. აღნიშნული სექციისთვის შეძენილია სპორტული ინვენტარი/ეკიპირება.

წყალბურთის განვითარების ხელშეწყობის სექცია - წყალბურთის სექციაში გაწევრიანებულია 30 აღსაზრდელი. გაყოფილია 2 ჯგუფად. იანვრის თვიდან ვარჯიშები მიმდინარეობდა კვირაში 5 დღე 2 საათით. გადახდილია აუზის იჯარის ყოველთვიური საფასური. ასევე, ტენდერის ფარგლებში დაფინანსდა წყალბურთის სექციის შიდა სატურნირო ღონისძიების ორგანიზება. პერსონალზე გაცემულია ხელფასები. 2024 წლის 26-29 სექტემბერს გაიმართა წყალბურთის საერთაშორისო ჩემპიონატი „ბრეუსის თასი 2024“, სადაც მონაწილეობდა 3 ქვეყნის 80-ზე მეტი სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები და სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები. აღნიშნული სექციისთვის შეძენილია სპორტული ინვენტარი/ეკიპირება.

ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა - ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, სადაც გაწევრიანებულია 18 ქალი სპორტსმენი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში. დაფინანსდა მივლინებები საქართველოს ქალთა ეროვნული ლიგის ტურის ოფიციალურ თამაშებზე. საქართველოს ქალთა ეროვნული ლიგის კალენდარული მატიჩის ჩატარებასთან დაკავშირებით მოწვეული მსაჯების სტუმრობასთან დაკავშირებით გაწეული იქნა წარმომადგენლობითი ხარჯები. დაფინანსდა გუნდის სასწავლო საწვრთნო შეკრება, გაწეული იქნა სამედიცინო ხარჯები და გადახდილია ქალთა ლიგის ერთწლიანი ლიცენზიის საფასური. აღნიშნული სექციისთვის შეძენილია სპორტული ინვენტარი/ეკიპირება.

ქვიშის საერთაშორისო ტურნირის (ფეხბურთში) თანამონაწილეობა - 17 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში, ღონისძიების ორგანიზატორი იყო აჭარის ფეხბურთის ფედერაცია, ხოლო სპორტული ცენტრის მიერ მოხდა სუბსიდირება თანამონაწილეობის სახით.

ქვიშის მოედნის რეაბილიტაცია - განხორციელდა ძველი ქვიშის მოედნის რეაბილიტაცია (სკამების განახლება, მოაჯირების განახლება და კეთილმოწყობა).

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება. მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 4 574,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4 073,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქ. N15-ში მიწის ნაკვეთზე არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 4,42 კბ.მ. სანიაღვრე ჭები, 64 მ. სანიაღვრე მილები, 191 კვ.მ. გრანიტის ფილა, 604 ა/ბეტონის საფარი, 270,5 გ/მ ბორდიური, 764 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 169 კვ.მ. მწვანე კორდი, 1 ც. ელ. განათების ბოძი სანათით, 52 კვ.მ. მაყურებელთა ტრიბუნა, 1 141 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი. (დასრულდა).

ზღვისპირა ზოლში ქვიშის საფარიანი არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 353,1 კბ.მ. საძირკვლის ფილა, 69,1 კბ.მ. საყრდენი კედლები, 197,87 კბ.მ. კედლები, 27,2 კბ.მ. რკ/ბეტონის სვეტები, 258,4 კბ.მ. გადახურვის ფილა, 17,42 კბ.მ. კიბე, 1 065 კვ.მ. ღობე, 263,9 გ/მ მოაჯირი, 32,524 ტ. ტრიბუნის ლითონის კონსტრუქცია, 2 192,25 კვ.მ. შელესვა, 310,92 კვ.მ. კერამიკული ფილები, 638,1 კვ.მ. იატაკი, 409,8 კვ.მ. ხელოვნური გამწვანების საფარი, 107,5 კვ.მ. კარ-ფანჯრები, 1 102 ც. სკამი, 146 გ/მ ბორდიური, 1 525 გ/მ მილები, 1 კომპლ. უწყვეტი კვების წყარო, 1 კომპლ. გენერატორი, 4 ც. განათების ანძა სანათებით, 90 ც. სანათი, 1 ც. ტაბლო; შეიღება 465 კვ.მ. ჭერი და 618,4 კვ.მ. ფასადი (დასრულდა).

ქ. ბათუმში, რაგბის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და 2 ახალი სტადიონის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა) - აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით განვიმარტავთ, რომ ღონისძიების განხორციელების მიზნით, რამდენჯერმე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი, კომპანიების მიერ ტენდერში მონაწილეობის სურვილის არ ქონის გამო, რაც გამოიხატა მათი შეფასებით, სამუშაოების დაბალ ღირებულებაში და გვეცნობა წერილობით, არ შედგა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ღონისძიების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაფასების შესახებ და დაევალა საპროექტო ორგანიზაციას აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელება, რასაც დასჭირდა გარკვეული პერიოდი.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სანტედერო პირობების გათვალისწინებით, 2024 წლის დარჩენილ პერიოდში, დროის სიმცირის გამო, აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით, ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არ იქნა მიზანშეწონილი, შესაბამისად, ტენდერის გამოცხადება დაგეგმილია 2025 წელს.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასგნების ათვისება."

ქ. ბათუმში, კოტე აფხაზის ქ. N4ა-ში ქართული ჭიდაობის ნახევრად ღია ტიპის მოედნის მშენებლობა, (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება) - მოეწყო 44,6 კბ.მ. ლენტური საძირკველი, 5,298 ტნ. ლითონის კოლონები და ვერტიკალური კავშირები, 11,457 ტნ. გადახურვის ფერმების ლითონის ელემენტები, 5,232 ტნ. ტრიბუნების აივნის დგარებისა და მოაჯირის ლითონის ელემენტები.

მომწოდებელ კომპანიას დარჩენილ შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმში, ნ. ფიროსმანის ქუჩა N5-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა - მოეწყო 152,3 კვ.მ. მოედნის ბეტონის ზედაპირი, 15,8 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 130 გ/მ ბორდიური, 5 ც. სკამი.

მომწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, გამომდინარე აქედან დაეკისრა პირგასამტეხლო.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმში, შ. ინასარიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა - მოეწყო 152,3 კვ.მ. მოედნის ბეტონის ზედაპირი, 178 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 35 გ/მ ბორდიური, 6 ც. სკამი, 4 ც. ელ. განათების ბოძი სანათით, 249,6 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა, 2 ც. საფეხბურთო კარი, 2 ც. საკალაბურთო ფარი, 160 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი.

მომწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, გამომდინარე აქედან დაეკისრა პირგასამტეხლო.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქ. N82-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა - მოეწყო 1 კომპლ. ტრენაჟორი, 2 ც. ელ. განათების ბოძი სანათით, 211,2 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა, 2 ც. შესასვლელი კარი, 2 ც. საფეხბურთო კარი, 2 ც. საკალაბურთო ფარი, 105,5 კვ.მ. ბეტონის მჭიმბი, 112 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი.

ქ. ბათუმში, სპორტული ტრენაჟორების შეძენა (დემონტაჟი-მონტაჟი) - მოეწყო 12 კომპლექტი სპორტული ტრენაჟორი.

მიღწეული შედეგები:

მიმდინარეობს ქალაქის სასპორტო ინფრასტრუქტურის განახლება.

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები (პროგრამული კოდი 05 03)

კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 720,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 696,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,6%.

პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იქნა კულტურის ცენტრის გამართულად მუშაობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა ოფისის ხარჯების დაფარვა, კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება და სხვა ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების ხელშეწყობა, მისი კონტროლი.

ქალთა აკადემიური კამერული გუნდისთვის შეძენილი იქნა ელექტრო პიანინო;

ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის შესყიდული იქნა ფერადი პრინტერი და ლაზერული პრინტერი;

ქორეოგრაფიული ანსამბლის მსახიობებისთვის შეძენილი იქნა სასცენო ფეხსაცმელები და აქსესუარები.

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის ფუნქციონირება.

ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 320,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 225,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,9%.

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართა ვოკალური ანსამბლის კონცერტი დედის დღესთან დაკავშირებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმში; საახალწლო ღონისძიებები „ევროპის“ მოედანზე, რომელიც 2023 წლის 25 დეკემბრიდან დაიწყო და 2024 წლის 7 იანვრის ჩათვლით გაგრძელდა; 3-8 მარტი - დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 7 მარტი - საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა. ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე შეიკრიბა საზოგადოება. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით; 9 აპრილი - - ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის გამოსვლა 9 აპრილს დაღუპულთა გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალურ ღონისძიებაზე; 29 აპრილი - სახალხო დღესასწაული „ბათუმობა“ ღონისძიებები გაიმართა ბათუმის ბულვარში, საზაფხულო თეატრისა და ბულვარის კოლონადების მიმდებარედ. საზეიმო ვითარებაში მოხდა ბათუმის თვითმმართველობის მიერ დაწესებული საპატიო წოდებების მინიჭება იმ პირებზე, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ბათუმის ისტორიაში, განავითარეს და თავიანთ შემოქმედებით სფეროში შექმნეს ბათუმელი თაობების ეპოქა. მაყურებლის წინაშე წარდგნენ ბათუმის კულტურის ცენტრისა და ბათუმში მოღვაწე საქვეყნოდ ცნობილი სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები, ბათუმელი და მოწვეული სოლო

შემსრულებლები. მოეწყო სხვადასხვა ლიტერატურული და თეატრალური პერფომანსები, ფოტო გამოფენები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-ბაზრობა; 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით. ვეტერანებს გადაეცათ სასურსათე პროდუქტების ნობათი; 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, ანბანის კოშკთან დღის განმავლობაში მიმდინარეობდა გასართობი შოუ პროგრამები პოპულარული ბენდებისა და დიჯეების მონაწილეობით. მოეწყო თემატური გამოფენები, საბავშვო აქტივობები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა; 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მოირთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. პარკში დამონტაჟდა სცენა, ჩატარდა საბავშვო კონცერტები ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლების მონაწილეობით, დღის განმავლობაში ბავშვების განწყობაზე ზრუნავდნენ ანიმატორები და ზღაპრის გმირები.

8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალთან გამართულ ღონისძიებას შეუერთდა ბათუმის კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, სადაც შეასრულეს ქართული ტრადიციული საგალობლები.

11 აგვისტოს, 2008 წლის აგვისტოს ომში შინდისის გმირების სახელობის სკვერში, შინდისთან დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად გამართულ ღონისძიებას შეუერთდა ბათუმის კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, სადაც შეასრულეს ქართული ტრადიციული საგალობლები.

30 აგვისტო - უგზოუკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე. ღონისძიება უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა მემორიალთან გაიმართა.

27 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ეროვნული გმირის - ჟიული შარტავას მემორიალთან გამართული ღონისძიების ფარგლებში ბათუმის კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის მიერ შესრულდა ქართული ტრადიციული საგალობლები.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ქალაქისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა .

კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 27,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 26,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში: უკრაინული ეთნიკური ჯგუფის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მოეწყო ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.
- საბავშვო კონკურსი ხატვაში „ტარას შევჩენკოს შემოქმედება ბავშვთა ნახატებში“;
- აღინიშნა ქალთა დღე;

-რუსული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო სამეცნიერო-შემეცნებითი ტური ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ბავშვები დაესწრნენ თოჯინების თეატრის წარმოდგენას.

- ბერძნული ეთნიკური ჯგუფის მიერ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით განხორციელდა საექსკურსიო ტური მტირალას პარკში და პეტრას ციხეზე.

-ებრაული ეთნიკური ჯგუფის მიერ საექსკურსიო ტური შეკვეთილში;

- აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე;

- გერმანული ეთნიკური ჯგუფი, ისტორიული ძეგლების მონახულების მიზნით იმყოფებოდა სვანეთში;

- ბერძნული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები „ოხის“ დღესასწაულთან დაკავშირებით იმყოფებოდა თეოსკეპასტოსის მონასტერი, ბოზტეპე;

- ბერძნული ეთნიკური ჯგუფის (19 კაცი) წარმომადგენლებისთვის მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით მოეწყო საექსკურსიო ტური ბათუმიდან: ახალშენი, დაგვა, აჭყვა, კვირიკე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები.

საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 950,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 941,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 17 ღონისძიება:

1. „ბიძინა კვერნაძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი" - ფესტივალის ფარგლებში პირველად საქართველოში დაიდგა ლუიჯი ქერუბინის ოპერა „მედეა", რომელსაც ხელმძღვანელობდა ნორვეგიიდან მოწვეული დირიჟორი ენ რენდინ ოვერბი. მედეას როლს ასრულებდა უცხოეთში მოღვაწე ქართველი სოპრანო იანო ალიბეგაშვილი, მას პარტნიორობა გაუწიეს იტალიიდან მოწვეულმა ტენორმა იოსეფ ჯიპალიმ, სოპრანო არდიტა მენიმ და მსოფლიო საოპერო ვარსკვლავმა რამაზ ჩიკვილაძემ.

მეორე საფესტივალო დღეს გაიმართა დიდი ქართველი კომპოზიტორის ვაჟა აზარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ცნობილი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით.

ფესტივალში მონაწილეობდა ორკესტრი მასეტრო ნიკა ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით და ბათუმის სახელმწიფო კაპელა.

2. შპს „ისტერნ პრომოუშენსის“ ორგანიზებით 2024 წლის 26-28 ივლისს ბათუმის საჩოგბურთო კორტების სივრცეში მეთოთხმეტედ ჩატარდა „შავი ზღვის ჯაზ - ფესტივალი“. მასში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში ცნობილმა ისეთმა ანსამბლებმა, როგორებიცაა-„Philip Lassiter and Band“, „Jojo Mayer and Nerve“, „The Jacksons“, ასევე ქართველი მუსიკოსების პოპულარულმა ბენდებმა. სულ ფესტივალის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 50- მდე უცხოელმა და 6- მა ქართველმა მუსიკოსმა.

3. შპს „ნეი ივენოს ენდ შოუს“ ორგანიზებით 10-11 აგვისტოს ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა პროექტი - „სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება“ - ცნობილი ქართველი მომღერლის აჩიკო ბერიძის კონცერტები, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს ქალთა კამერული ორკესტრი, მუსიკალური ბენდი, ვოკალურმა ანსამბლი „ალილო“, მომღერლები - გიორგი და ნიკო ბერიძეები, აჩიკო გოგიტიძე, თამთა ხუხუნიშვილი, ანი კეკუა, ბათუმის მუსიკალური ცენტრის კაპელა. კონცერტებს უძღვებოდა ცნობილი მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილი. ასევე, ფესტივალის ფარგლებში სასტუმრო „რუმსის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მასტერკლასი, რომელსაც უძღვებოდნენ დავით მაზანაშვილი და აჩიკო ბერიძე. პროექტს მუსიკალური ხელმძღვანელობა გაუწია მასეტრო დავით მაზანაშვილმა.

4. შპს „ტემპო-არტის“ ორგანიზებით 24 აგვისტოს ბათუმის ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ჩატარდა ლეგენდარული ქართველი კომპოზიტორის, „გიორგი ცაბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალი“, რომელშიც მასეტრო დავით მაზანაშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს ქალთა კამერულმა ორკესტრმა, ანსამბლებმა „ალილო“, „თეატრალური კვარტეტი“, „ფორტე“, „მურო გაგომიძის ცეკვის აკადემიამ“, ცნობილმა მომღერლებმა - მერაბ სეფაშვილმა, სოფიკო ხალვაშმა, თემურ თათარაშვილმა, აჩიკო გოგიტიძემ, თამთა ხუხუნიშვილმა, მარიტა ცეცხლაძემ, სულხან დევაძემ, მსახიობმა ნანული სარაჯიშვილმა. საღამოს წამყვანი იყო თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასი, რომელსაც უძღვებოდნენ იუბილარის შვილი, კომპოზიტორი კახა ცაბაძე, სცენარის ავტორი ნიკოლოზ წულუკიძე, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით მაზანაშვილი.

5. ა(ა)იპ „თბილისის მურალ ფესტის“ ორგანიზებით ჩატარდა „ ბათუმის მურალ-ფესტი“. ბათუმში პირველად ჩატარდა აღნიშნული ფესტივალი, რომლის ფარგლებში მოიხატა ორი მრავალსართულიანი კორპუსის კედელი (ტურგენევისა და ლერმონტოვის ქუჩები) მათ შესრულებაზე მუშაობდნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მხატვრები, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით კედლის მხატვრობის ათეულში შედიან. ნამუშევრებმა დადებითი გავლენა მოახდინა ქალაქის არქიტექტურასა და ინფრასტრუქტურაზე, ისინი წლების მანძილზე რჩება კედლებზე და ამ ხნის მანძილზე მის ნახვას შეძლებს უამრავი ადამიანი.

6. „ზოული“ - 16,17 და 18 აგვისტოს ევროპის მოედანზე „ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი - ზოული“-ს ფარგლებში. გაიმართა: „შავი ზღვის ლუდის ფესტივალი“ და „ხელნაკეთი ნივთების ფესტივალი“. ლუდის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 30-მდე ლუდისა და კვების კომპანიამ, ხოლო ხელნაკეთების ფესტივალში 43 მეწარმე მონაწილეობდა: ფესტივალზე წარმოდგენილი იყვნენ ლუდისა

და კვების კომპანიები. ასევე გაიმართა სარეკლამო აქტივობები; სახალისო შეჯიბრებები (მაგ.: ყანწით ლუდის დაღევაში); ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა;

16 აგვისტო - გაიმართა გახსნის ცერემონიალი; ცნობილი ბენდი „რეზო და ბავშვები“ (პროგრამის ხანგძლივობა: 90 წუთი) წარდგენ და ასევე ისრაელი მუსიკოს-შემსრულებელი „Ran Mor“ (DJ) (პროგრამის ხანგძლივობა: 120 წუთი).

17 აგვისტო - ცნობილი ბენდი „Goofy Land“ (მუსიკალური პროგრამის ხანგძლივობა: 90 წუთი) და უკრაინელი ელექტრონული მუსიკის შემსრულებელი „Histar“ (DJ) (მუსიკალური პროგრამის ხანგძლივობა: 120 წუთი), რომელიც ამსტერდამში მოღვაწეობს, ასევე უკვე ნახსენები ისრაელი მუსიკოს-შემსრულებელი „Ran Mor“ (DJ) (მუსიკალური პროგრამის ხანგძლივობა: 120 წუთი).

18 აგვისტო - ადგილობრივი ელექტრონული მუსიკის შემსრულებელი „Qarcii“ (DJ) (მუსიკალური პროგრამის ხანგძლივობა: 120 წუთი), უკრაინელი ელექტრონული მუსიკოს-შემსრულებელი „Emily. Sai“ (DJ) (მუსიკალური პროგრამის ხანგძლივობა: 120 წუთი) და დახურვის ცერემონიალი."

7. XVI საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები" გაიმართა 23,25 აგვისტოს ბათუმის დრამატულ თეატრში. ფესტივალში მონაწილეობდნენ: მარიო სტეფანო პიეტროდარკი (Mario Stefano Pietrodarchi) იტალია, ელვინ ხოჯა განიევი (Elvin Hoxha Ganiyev) ვიოლინო, თურქეთი / აზერბაიჯანი - მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, რომის პაპის ჯილდოს მფლობელი. ელვინი უკრავდა 1715 წელს დამზადებულ გვარნერის უნიკალურ ვიოლინოზე „filius Andree“, სანდრო ნებიერიძე - ქართველი პიანისტი, არაერთი საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსების გამარჯვებული. ფესტივალის საბაზო ორკესტრი - „საქართველოს ვირტუოზები“. პირველი ვიოლინო - ლელა მჭედლიძე. შესრულებული იქნა ვივალდის, მოცარტის, პაგანინის, პიაცოლას, აზარაშვილის, მორიკონეს ნაწარმოებები, თეატრის ფოიეში მოეწყო ბათუმელი მხატვრის ირინე ტორონჯაძის ნამუშევრების გამოფენა. ფესტივალზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამას მოსწავლეთ-ახალგაზრდობისათვის, რაც გულისხმობს მასტერ-კლასებს.

8. „ზღვა და ქართველები" - ფესტივალი წელს პირველად ჩატარდა ბათუმში 07-11 სექტემბერს. გალაკტიონის სურვილი იყო ბათუმში ჩატარებულიყო ხელოვნების დღეები და ფესტივალის ორგანიზატორებმა ათეულობით წლების შემდეგ ხორცი შეასხეს გალაკტიონის სურვილს. ფესტივალმა წარმოაჩინა ზღვის თემატიკა, როგორც ერთგვარი ხიდი ევროპასა და აზიას შორის, ევროპული და აზიური ცივილიზაციების, ევროპული და აზიური კულტურების გაერთიანების სივრცე; მოხდა ქალაქ ბათუმის, როგორც მიმოზიდველი და სანახაობითი, კულტურული ღონისძიებების მასპინძელი - საფესტივალო ქალაქის ცნობადობის ამაღლება, პოპულარიზაცია და რეკლამირება; ფესტივალში ინგლისელი სტუმრების მონაწილეობა ასევე ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას დიდ ბრიტანეთში.

9. „შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი" - ელისო ბოლოქვაძის საქველმოქმედო ფონდი „ლირა" უკვე მეთერთმეტედ გაიმართა აღნიშნული ფესტივალი, რომლის ფარგლებში ბათუმს სტუმრობდნენ მუსიკოსები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ჩინეთიდან და ყაზახეთიდან. პროფესორმა ანტონ სოროკოვმა ფესტივალის ფარგლებში ჩაატარა მასტერკლასები მევიოლინეებისათვის, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალგაზრდა ტალანტების პროფესიულ ზრდა-განვითარებას. ასევე, ფესტივალის ფარგლებში წელს, პირველად

ჩატარდა საფორტეპიანო კონურსი, სადაც დაწესებული იყო ფულადი პრემიები. „ბათუმის შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალი“ საქართველოში ერთადერთი საერთაშორისო ფესტივალია, რომელმაც მეშვიდედ მოიპოვა იუნესკოს მაღალი პატრონაჟი. ფესტივალმა უმასპინძლა 4500- მდე მსმენელს.

10. „ოქროს თვალი“ - კინო და ტელე-ოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“ 2009 წლიდან ტარდება საქართველოში. მწელს ფესტივალის დახურვის ცერემონია გაიმართა გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში. საზეიმო დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდა 300- მდე ადამიანი. ფესტივალმა წარმოაჩინა უამრავი ოპერატორის შემოქმედება. „ოქროს თვალის“ მონაწილეები დღეს უკვე მრავალი წარმატებული ჯილდოს მფობელები არიან. დაარსებიდან დღემდე თერთმეტი ღონისძიება/დაჯილდოება გაიმართა. წლების განმავლობაში მასში მონაწილეობა 5000-ზე მეტმა ოპერატორმა მიიღო. მათ შორის ისეთი ქვეყნებიდან როგორიცაა: საქართველო, ჰოლანდია, შვედეთი, გერმანია, უკრაინა, ბელორუსია, ესტონეთი, ხორვატია, ბრაზილია, აშშ, სომხეთი, აზერბაიჯანი, ლიტვა, არგენტინა, ავსტრია, კოლუმბია, დანია, ინდოეთი, ისრაელი, პოლონეთი და სხვა. ფესტივალის ფარგლებში განხორციელდა ცნობილი ბრიტანელი რეჟისორის და ოპერატორის როჯერ სიმონსის მასტერკლასი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში. საგანმანათლებლო დანიშნულების გარდა ფესტივალი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის განვითარებას და მისი ცნობადობის ამაღლებას. ფესტივალის პარტნიორები იყვნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, გაზეთი „აჭარა“.

11. 2024 წელს პირველად გაიმართა ბათუმში ხელოვნების ფესტივალი „ART SHOW“ (პროექტის ავტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი - ირაკლი გურგენიძე). ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა „ნეაპოლური ჰანგების“ კონცერტი, „ნეიკო ნეიძის სასცენო კოსტუმების გამოფენა/დეფილე, მასტერკლასების კვირეული - სამსახიობო ოსტატობაში (რეჟისორი - მაია გაჩეჩილაძე), სასცენო მეტყველებაში, გრიმის ხელოვნებაში (მხატვარი - ნეიკო ნეიძე), ვოკალში (ჯულიეტა (დოდო) დიასამიძე). ხელოვნების მუზეუმში გაიმართა ია ღონიძის სამოდელო სახლის კოლექციის ჩვენება საოპერო კოსტუმებით.

12. ადმინისტრაციული ერთეულის ეზოებსა და სკვერებში განხორციელდა პროექტი „წარმოდგენა შენს ეზოში“ - სპექტაკლების ჩასატარებლად შერჩეული იქნა დიდი ეზოები და სკვერები. ყველა ლოკაციაზე მოეწყო სივრცეები სასცენო იატაკითა და თეატრალური განათებით, თემატური დეკორაციებით, ცივი ნათების ნათურებით, ფერადი გირლანდებით. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა თეატრალურმა და მუსიკალურმა კოლექტივებმა. სპექტაკლებზე თეატრალურ-საკონცერტო დასებს საშუალება ჰქონდათ ინტერაქტიური კომუნიკაცია დაემყარებინათ მოზარდებთან. ასობით ბათუმურ ოჯახში გაიზარდა თეატრალური ხელოვნებით დაინტერესება. წარმოდგენების დაწყებამდე მოზარდებს მიეწოდებოდა ინფორმაცია თეატრალურ სამყაროში არსებული სიახლეების შესახებ. პროექტის შედეგად თეატრებმა, სტუდიებმა და სახელოვნებო ჯგუფებმა შეძლეს წარმოეჩინათ საკუთარი იდეები, შესაძლებლობები და ჰქონდათ უკუკავშირი უშუალოდ იმ ადამიანებისგან, რომელთა ნახვას ისინი ჩვეულებრივ ვერ ახერხებენ, ვინაიდან დღესდღეობით მანძილი თეატრალურ სცენასა და თეატრების მოყვარულ ოჯახებს შორის ჯერ კიდევ დიდია. პროექტი „წარმოდგენა შენს ეზოში“, სწორედ ამ მანძილის შემცირებას ემსახურებოდა.

13. „ბათუმის რაფსოდია“ - ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 18 ქვეყნის 80-ზე მეტმა წარმომადგენელმა, მოწვეული იყო მაღალი კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო მენტორები და ჟიური. საამაყო, რომ კონკურსში ასევე მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მცხოვრებმა ახალგაზრდა ვოკალისტებმა. ფინალში გასული 12 კონკურსანტიდან მესამე ადგილზე ქართველი ვოკალისტი შეირჩა. მსოფლიოში აღიარებული პროდუსერების, თეატრის დირექტორებისა და მენეჯერ-აგენტების მიერ ფესტივალის დასრულებისას სხვადასხვა სახის შეთავაზება მიიღო პროექტის ათამდე მონაწილემ.

ქ. ბათუმში მეორედ ჩატარდა ფესტივალის ფარგლებში დაარსებული ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი „ოპერის ოქროს ხმა“, რამაც ხელი შეუწყო განსაკუთრებული მონაცემებით და ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა ვოკალისტთა გამოვლენას, მათ სამომავლო პროფესიულ დაოსტატებას, კარიერულ ზრდასა და მსოფლიოს სხვადასხვა დიდ საოპერო თეატრსა თუ სასწავლებელში მოღვაწეობის ხელშეწყობას. ფესტივალის მონაწილეები და სტუმრები გაეცნენ ჩვენი ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, ხელოვნების ნიმუშებს, რაც ასევე ბათუმის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. პროექტის ათმა მონაწილემ, ფესტივალის დასრულებისას სხვადასხვა სახის შეთავაზება მიიღო მსოფლიოში აღიარებული პროდუსერების, თეატრების დირექტორებისა და მენეჯერ-აგენტებისაგან.

14. გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-19 საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ ანსამბლები: „რიხი“ (გორი), „კოლხური ტრიო“ (სენაკი), „ათბალი“ (ხელვაჩაური), „ჰანგები“ (ბათუმი), აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის ანსამბლი „ბათუმი“, „ვარდის ქუჩა“ (უნგრეთი), „თვალთაი“ (ნიდერლანდები). სამი დღის განმავლობაში მუშაობდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 20 ქართველი და უცხოელი მეცნიერი, ასევე, ახალგაზრდა მონაწილეებისათვის გაიმართა ეთნომუსიკოლოგთა მასტერკლასები. აქვე გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება, რომელიც ასახავდა ანსამბლ „ნანინას“ შემოქმედებით ისტორიას. ფესტივალის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი, ხოლო ანსამბლებს - სამახსოვრო საჩუქრები. მ/წელს სამეცნიერო კონფერენციებში 6 ქვეყნის მეცნიერი მონაწილეობდა (აშშ, ავსტრია, მოლდავეთი, უნგრეთი, თურქეთი, საქართველო).

ფესტივალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თუ რამდენად აქტუალურია ტრადიციული კულტურის კვლევა, აქვე დაისახა ახალი ინტეგრირებული კვლევის პერსპექტივები.

15. ანიმაციური ფილმების XVI საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, რომლის ფარგლებში მიღებული იქნა 1000-მდე ნამუშევარი. აქედან საკონკურსო პროგრამისათვის შეირჩა 120 თანამედროვე (2023 იანვრის შემდეგ დამზადებული) ანიმაციური ფილმი. პროექტში მონაწილეობდა 127 სუბიექტი. მოეწყო პროფესიონალი ანიმატორების მასტერკლასები, მათ შორის 3D და VR/XR ანიმაციურ ფილმწარმოების ტექნიკებთან დაკავშირებით, სადაც პროფესიონალებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ თანამედროვე ტენდენციებს და მიღწევებს აღნიშნული მიმართულებით, ბავშვებისათვის და დამწყები ანიმატორებისათვის მოეწყო ვორქშოპები STOP-MOTION ანიმაციაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კინემატოგრაფიის ამ დარგით ახალგაზრდა თაობის დაინტერესებისათვის. ზემოთ ხსენებული ღონისძიებების პარალელურად გაიმართა VR- ჩვენებები, სადაც ყველა მსურველს შეეძლო ღონისძიების ფარგლებში ეხილა სხვადასხვა თანამედროვე ანიმაციური ნაშრომი. მიმდინარე წელს, ასევე, პირველად გაიმართა ანიმაციური ფილმების პროექტების კონკურსი, რომელმაც საერთაშორისო სტატუსი მიიღო. კონკურსში მონაწილეობდა 5 ქართული და 1 უცხოური ანიმაციური პროექტი.

გამარჯვებულ პროექტებს გადაეცათ ფულადი პრიზები 1000 და 1500 ლარის ოდენობით. აღნიშნული პროექტი კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯია ანიმაციური ინდუსტრიის და ფილმწარმოების პროექტების განვითარების მიმართულებით. ანიმაციური ფილმების XVI საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, ქალაქ ბათუმს ეწვია 20-მდე უცხოელი ავტორი.

16. 24 ნოემბრიდან - 01 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარდა საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების მე-4 ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 185-მა შემოქმედებითმა ჯგუფმა, 425-მა მოზარდმა. რამდენიმე ათეული განაცხადიდან საფესტივალო პროგრამაში წარდგენილ იქნა 18 პრემიერა.

ფესტივალის ჟიურიმ (თავჯდომარე - თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი - თამარ ბართაია, წევრები - რეჟისორი ლევან წულაძე, მსახიობი ეკა ჩავლეიშვილი) გამარჯვებულად ცნო შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროთას საჯარო სკოლა. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლის სრული შემადგენლობის 33 მოსწავლიდან 9 მოზარდი სცენაზე იდგა. საუკეთესო დასის ნომინაციაში შერჩეული იქნა საფრანგეთის წმ. თამარ მეფის სახელობის საკვირაო სკოლის დასი „თამარიონი“. სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესოებს შორის დასახელდნენ კერძო სკოლები: „ნიკე“, „ევრო-2000“, ბათუმის მე-18, მე-20, მე-2, დაბა ქედის საჯარო სკოლები."

17. „street artt fest batumi“ ფესტივალის ფარგლებში, ქართველი მხატვრების მიერ მოიხატული იქნა ორი საცხოვრებელი კორპუსის კედელი. ნამუშევრებმა დადებითი გავლენა მოახდინა ქალაქის არქიტექტურასა და ინფრასტრუქტურაზე.

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 140,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 133,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,7%

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) მხარდაჭერას თანადაფინანსების ფორმატში.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწია 17 პროექტს.

1. პროექტი - საყმაწვილო კინოფესტივალი „ცა მეტია“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბათუმის კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება-განხილვა. საუკეთესო ფილმების გამოვლენა დაჯილდოება მოხდა ფინალურ გალა კონცერტზე.

2. პროექტი - „საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ქორეოგრაფიული წარმოდგენა“. დაიდგა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ქორეოგრაფიული წარმოდგენა, რომელიც დადგა საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლმა „მთაწმინდა“. შესრულდა მაღალმხატვრული ქორეოგრაფიული ნომრები.

3. პროექტი - „ხარხარ Show“ - მუსიკალურ-იუმორისტული სპექტაკლი „ხარხარ Show“ „ანტიმოსაწყენი“ გასართობი სანახაობაა. ამ შოუში წარმოდგენილი იყო მხიარულ მუსიკალური ნომრები და სკეჩები. წარმოდგენილი იქნა იმერული, კახური, გურული, მეგრული და აჭარული იუმორის მარგალიტები მოწვეული იუმორისტების შესრულებით. მონაწილეობდნენ: ნუგზარ კვაშალი, ჯემალ ველიამე, ნუგზარ ერგემლიძე, ქუთაისის იუმორის თეატრის მსახიობები, ოზურგეთის წამყვანი იუმორისტები და სხვა მრავალი...

4. პროექტი „სიმღერით ვიმოგზაუროთ საქართველოში“ წარმოდგენილი იყო ქართული სამუსიკო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები, რომელთაგანაც შეზავებული იყო ამა თუ იმ რეგიონისთვის დამახასიათებელი იუმორი და რეალური სახალისო ისტორიები.

5. პროექტი „ბათუმი“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა ცნობილი ბათუმელი შემსრულებლის აჩიკო ბერიძის მუსიკალურ კომპოზიციაზე კლიპის გადაღება.

6. პროექტი „san&set“ - ქ. ბათუმში ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიქმნა მუსიკალური პლატფორმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბათუმში მოქმედმა დიჯეებმა.

7. პროექტი „ზღაპარი“ - პროექტი მოიცავდა ქართული ხალხური ზრახვების ეკრანიზაციას, მოზარდ ახალგაზრდების ჩართულობით, სადაც ახალგაზრდებს ჰქონდათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ, როგორც მსახიობებს და შემოქმედებითი ჯგუფის მოხალისეებად.

8. პროექტი „მშვიდობის ნოტი“ ღონისძიების მონაწილე მუსიკოს-შემსრულებლების და მხატვრის მიერ გაიმართა ერთობლივ-შემოქმედებითი სადამო. შესრულდა მუსიკალური კომპოზიციები.

9. პროექტი „კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სადამოს“ ხელოვნების სტუდია „ლიმპოპოს“ აღსაზრდელებისა და აღზრდილების, ცნობილი მომღერლებისა და მუსიკოსების მიერ გაჟღერებული იქნა იუბილარი კომპოზიტორის ნაწარმოებები.

10. პროექტი „ბათუმური გრაფიტის ვორქშოფი“ - მოეწყო ვორქშოფი, მოიხატა ქ. ბათუმში ტაბიძისა და ლეონიძის კვეთში მდებარე რაგბის სტადიონის გარე კედელი.

11. პროექტი „ნაცნობი უცნობი მუსიკა“ - პროექტი გულისხმობს ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკის კოლაბორაციას. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ სპეციალურად შეიქმნა სხვადასხვა ჟანრის პოპულარული ნაწარმოებების არანჟირებული ვერსია, რამდენიმე ინსტრუმენტის და ვოკალის სინთეზი.

12. პროექტი - ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებითი სადამო. კონცერტი წარიმართა მუსიკალურ თეატრალური სახით. დაიდგა საოპერო და კამერული მუსიკის თეატრალიზირებული სანახაობა, რომელსაც უხელმძღვანელა საოპერო რეჟისორმა მაია გაჩეჩილაძემ.

13. პროექტი სტუდია „ლა-ლეს“ საიუბილეო სადამო. ქ. ბათუმში ჩატარდა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღო სტუდია „ლა-ლეს“ აღსაზრდელებმა, ასევე ქართველმა მომღერლებმა.

14. პროექტი „უკანასკნელი ომი“ - აუდიო-ალბომის ჩაწერა, რომელშიც შევიდა 8 საავტორო, კლასიკური მუსიკალური კომპოზიცია, პრეზენტაცია გაიმართა ბათუმში. მუსიკის ავტორი გაა დიასამიძე.

15. პროექტი „მუსიკალური შოუ - პინოქიოს თავგადასავალი“ - წარმოდგენაში მონაწილეობდნენ თბილისის და ბათუმის „ბასტი-ბუბუს“ ბავშვები და მსახიობები, წარმოდგენა გათვლილი იყო 3-დან 17 წლამდე ბავშვებისათვის.

16. პროექტი „მხატვარ ირაკლი ჩიქოვანის ნახატების გამოფენა და ალბომის პრეზენტაცია“ - მხატვარ ირაკლი ჩიქოვანის პერსონალური გამოფენის ორგანიზება. სპეციალურად პროექტისთვის მხატვრის მიერ შეიქმნა 50 ფერწერული და გრაფიკული ნახატი, რომელზეც თანამედროვე ბათუმის ხედები არის გამოსახული.

17. პროექტი მიუზიკლი „პატარა უფლისწული“ - თეატრალური ინკლუზიური დასის „ცისარტყელას“ მიერ დაგეგმილი მიუზიკლის „პატარა უფლისწული“ დადგმა. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს შშმ ბავშვებმა, ასევე მოწვეულმა მსახიობებმა და სხვადასხვა სკოლის ტიპური განვითარების მოხალისეებმა.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია კულტურის სფეროში ინიცირებული პროექტები, შეირჩა და განხორციელდა 17 პროექტი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 843,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 819,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,7%.

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები: ვეტერანი მოცეკვავეების „ბათუმელი მგლების“ გამოსვლა ტელეკომპანია იმედში, გადაცემაში „ჩვენი შოუ“; ვეტერანი მოცეკვავეების „ბათუმელი მგლების“ გამოსვლა ტელეკომპანია იმედში, გადაცემაში „ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად“; ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის გამოსვლა საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით გამართულ მემორიალურ ღონისძიებაზე; ვოკალური ანსამბლის კონცერტი დედის დღესთან დაკავშირებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმში; ვეტერანი მოცეკვავეების „ბათუმელი მგლების“ გამოსვლა ტელეკომპანია იმედში, გადაცემაში „გული მღერის“; ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის გამოსვლა აჭარის განთავისუფლების დღეს თეატრის მიმდებარედ მემორიალთან." ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის გამოსვლა 9 აპრილს დაღუპულ გმირთა

ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალურ ღონისძიებაზე. ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის გამოსვლა ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე; ქართული ნაციონალური აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი ბათუმობის დღესასწაულზე; ხალხური ფოლკლორული სიმღერის ვაჟთა ანსამბლის გამოსვლა ბათუმობის სახალხო დღესასწაულზე; ვოკალური ანსამბლის კონცერტი ბათუმობის სახალხო დღესასწაულზე; ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის გამოსვლა რამინ მიქაბერიძის საღამოზე; ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლის კონცერტი უნგრეთში, უნგრეთი, ქ. კეტსჰეი; ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის კონცერტი მარინა ხანთაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალურ ღონისძიებაზე; ვოკალური ანსამბლის კონცერტი ევროპის რეგიონების ანსამბლების დელეგაციის წევრებისათვის სასტუმრო ჰილტონში; ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტი ქირურგთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის; ვაჟთა ხალხური სიმღერის ანსამბლების კონცერტი ქირურგთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის; მაისი - ზაფხულის კონცერტების სერია - ქორეოგრაფიული, ხალხური სიმღერის ვაჟთა და ვოკალური ანსამბლების კონცერტი; ივნისი - ზაფხულის კონცერტების სერია - ქორეოგრაფიული, ხალხური სიმღერის ვაჟთა და ვოკალური ანსამბლების კონცერტი.

ივლისის თვეში საფრანგეთში, ლევილის ისტორიულ მამულში „ლევილის ქართულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ბათუმი“;

ზაფხულის კონცერტების სერიის ფარგლებში გაიმართა ქორეოგრაფიული, ხალხური სიმღერის ვაჟთა და ვოკალური ანსამბლების კონცერტები;

➤ მიღწეული შედეგები:

გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 419,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 413,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,5%.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში საახალწლო ღონისძიების ფარგლებში გაიმართა როკ ჯგუფი „ჯეოპლანეტის" და „ჯაზ ბიგ ბენდის" კონცერტები.

ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი გაიმართა ასევე ბათუმობის დღესასწაულზე. ბენდი ასევე მივლინებით იმყოფებოდა საბერძნეთის რესპუბლიკის ქალაქ ასპროვალტაში, საერთაშორისო მუსიკის ფესტივალზე „ოქროს ოცნება“ მონაწილეობის მისაღებად. „ჯაზ-ბიგ ბენდს“ გადაეცა ფესტივალის უმაღლესი ჯილდო - გრან პრი.

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია თანამედროვე მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლები

კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 636,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 623,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,9%.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა გამოჩენილი კომპოზიტორის, საგუნდო მუსიკის დიდოსტატის - იოსებ კეჭაყმაძის 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, სადაც მონაწილეობა მიიღო ბათუმის კულტურის ცენტრის ქალთა აკადემიურმა კამერულმა გუნდმა.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- ქალთა კამერული გუნდის კონცერტი საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე;
- სიმებიანი კვარტეტის კონცერტი დამმობილებული ქალაქების მერებთან შეხვედრაზე;
- ქალთა კამერული აკადემიური გუნდის კონცერტი ბათუმობის სახალხო დღესასწაულზე;
- ქალთა აკადემიური კამერული გუნდის კონცერტი კათოლიკურ ეკლესიაში;
- კამერული ანსამბლის კონცერტი სასტუმრო შერატონში;
- ქალთა კამერული აკადემიური ანსამბლის კონცერტი მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;

- სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ევროპის რეგიონების ანსამბლების დელეგაციის წევრებისათვის სასტუმრო ჰილტონში;

- სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ქირურგთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის;
- ქალთა კამერული აკადემიური ანსამბლის კონცერტი „მუსიკა განწყობისათვის“.

ქალთა აკადემიური კამერული გუნდის კონცერტი საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე „ზე-კარი“ მაღალმთიან აჭარაში, ხულოში.

- სიმებიანი კვარტეტის მონაწილეობა „ზღვა და საქართველო“ ცერემონიალის გახსნაზე - თოჯინების და მოზარდ მაყურებლის თეატრი;

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია კლასიკური მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლები.

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 70,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 10,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 14,3%. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის ჩატარება გადაიდო 2025 წლისთვის.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ლონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობის“ ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში გაიმართა 3 სამუშაო ჯგუფის (კომისიის) სხდომა. კომისიის გადაწყვეტილებით ქვეპროგრამის ბენეფიციარებად შეირჩნენ: ირმა ჟღენტი - საოპერო დასის სოლისტი, ლელა ვაშაყმაძე - საოპერო დასის სოლისტი, რუსუდანი კვახაძე - კონცერტმამისტერი, ნინო ნიშნიანძე - კონცერტმამისტერი, ხათუნა მანაგაძე, მუსიკის მცოდნე, მაია ჭყონია - მხატვარი. ზურაბ დიასამიძე, ვლადიმერ შარაშიძე - მხატვარი და ზურაბ კოჩალიძე - მხატვარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამა „ხელოვანთა ხელშეწყობა“ (05 04 04) ღონისძიება „წლის ხელოვანი“ ითვალისწინებდა წლის ბოლოს საზეიმო ვითარებაში კულტურის სფეროს წარმომადგენელთა დაჯილდოებას სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის ჩატარება გადაიდო 2025 წლისთვის.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დაფასებული და სტიმულირებულია ბათუმელი ხელოვანები.

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 607,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 511,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ბიბლიოთეკის მართვა-ადმინისტრირება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის შექმნა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება

საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საბიბლიოთეკო საქმიანობას ნაწილობრივ დაბრკოლება შეუქმნა საჯარო ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსის ავარიულმა მდგომარეობამ და იქ მიმდინარე შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის საქმიანობამ. მიმდინარე ეტაპზე დასრულდა ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია (ვაჟა-ფშაველას ქ. #21). მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ინვენტარით აღჭურვის სამუშაოები, სადაც გარკვეული დროით შეწყვეტილია მკითხველთა მომსახურება. ბიბლიოთეკის ძირითად კორპუსში, საქმიანობა გრძელდება ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (პროგრამული კოდი 05 05)

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 525,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 800,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 52,5%. მომწოდებელ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე (ლუკა ასათიანის ქ. N25-ში) დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება. ღონისძიების (შოთა რუსთაველის ქ. N51-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია) განხორციელების მიზნით, გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი, კომპანიების მიერ ტენდერში მონაწილეობის სურვილის არ ქონის გამო არ შედგა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ, აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით საწყის ეტაპზე ბიუჯეტში გათვალისწინებული 500 000 ლარი, მესამე კვარტალში საბიუჯეტო ცვლილების შედეგად შემცირდა და განისაზღვრა 100 000 ლარით. იმ მოტივით, რომ 2024 წლის დარჩენილ პერიოდში, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვერ განხორციელებდა შესაბამისი მოცულობის სამუშაოების შესრულებას და თავდაპირველად გათვალისწინებული ასიგნების ათვისებას. ზემოაღნიშნულმა ხანგრძლივმა პროცესმა და სანტედერო პირობების თანახმად გამოწვეული პროცედურების გათვალისწინებამ, ცხადყო, რომ 2024 წლის დარჩენილ პერიოდში, დროის სიმცირის გამო, აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არ არის მიზანშეწონილი, შესაბამისად, ტენდერის გამოცხადება დაგეგმილია 2025 წელს.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში მდებარე თამარის ციხისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 83 კვ.მ. ბზარები ამოკერილ იქნა უჟანგავი ლითონის ღეროვნით; ციხის ზედა ნიშნულელებზე მოეწყო 26 კვ.მ. საკონსერვაციო ფენა რთული კონსისტენციის სქელ კირხსნარზე; საარქივო მასალის მიხედვით აღდგენილ იქნა 12 კვ.მ. ციხის სამხრეთ კედლის ნაწილი; ციხის ჩრდილოეთით აღდგენილ იქნა 64,22 კვ.მ. არსებული კონტრფორსები; მოეწყო 28,121 კვ.მ. რკ/ბეტონის კიბეები, 15,9 კვ.მ. რკ/ბეტონის ბურჯები, 653,73 კვ.მ. გრანიტის ფილები, 547,72 მ. ბორდიურები, 220,2 კვ.მ. კედელი, 521,28 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 429,2 კვ.მ. გრანიტის ქვაფენილი, 75 კვ.მ. საყრდენი კედელი, 70 კომპლ. გარე განათების ლამპიონი, 74 კომპ. გარე განათების საყრდენი ბოძი, 2 კომპ. გარე განათების კედლის სანათი, 14 კომპ. გარე განათების გრუნტის სანათი, 18 კომპ. პროექტორი. (დასრულდა).

აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები - მოეწყო 360 კვ.მ. მონოლითური რკ/ბეტონი, 21,5 კვ.მ. ფანჯრები და ვიტრაჟები, 14 კვ.მ. კარები, 35 კვ.მ. კედლები, 3 986,9 მ. ელექტროსადენის შიდა ქსელი, 1 290 კვ.მ. სახურავი, 985 კვ.მ. ლამინირებული იატაკი; 29 ტ. ლითონის კონსტრუქციებით დროებით გამაგრდა და გაძლიერდა დაზინებული კედლები, გადახურვის ფილები და ღიობები; შეიღება 520 კვ.მ. ფასადი; შემათქამდა და შეიღეს 6 400 კვ.მ. კედლები; დაიგო და გაიკრა 370 კვ.მ. მეტლახი და კაფელი; შეიღება 4 050 კვ.მ. კედლები და ჭერი; კედლებზე გაიკრა 800 კვ.მ. თაბაშირმუყაოს ფილები; ჭერზე გაიკრა 1 200 კვ.მ. თაბაშირმუყაოს ფილები; შეკეთდა 180 კვ.მ. ფილები. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N25-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია-გამაგრება - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს. მომწოდებელ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის ქ. N51-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია - აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ ღონისძიების განხორციელების მიზნით, გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი, კომპანიების მიერ ტენდერში მონაწილეობის სურვილის არ ქონის გამო, რაც გამოიხატა მათი შეფასებით, სამუშაოების დაბალ ღირებულებაში და გვეცნობა წერილობით, არ შედგა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ღონისძიების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაფასების შესახებ და დაევალა საპროექტო ორგანიზაციას აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელება, რასაც დასჭირდა გარკვეული პერიოდი.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სატენდერო პირობების გათვალისწინებით, 2024 წლის დარჩენილ პერიოდში, დროის სიმცირის გამო, აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით, ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არ იქნა მიზანშეწონილი, შესაბამისად, ტენდერის გამოცხადება დაგეგმილია 2025 წელს.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასგნების ათვისება."

ქ. ბათუმში, ცენტრალური პარკის შესასვლელში არსებული კოლონადების რეაბილიტაცია-რესტავრაცია - მოეწყო 665 კვ.მ. რკ/ბეტონის ფილა; აღდგენილ და რესტავრირებულ იქნა 3 936,64 დმ.კვ.მ. კოლონადების დაზიანებული ზედაპირები და არქიტექტურულ-დეკორატიული ელემენტები; შეიღება 500 კვ.მ. კოლონადების რთული რელიეფიანი ზედაპირები.

"წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%) -ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქ.#37-ში მოსწავლეთა ახალგაზრდობის სასახლის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) რეაბილიტაცია - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, ირაკლი აბაშიძის ქ. N6/ბარათაშვილის ქ. N26-ში საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია - მომწოდებელი კომპანიის მიერ სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შენარჩუნებულ და დაცულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და კულტურულ საგანმანათლებლო ობიექტები.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 308,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 243,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 79,2%.

პროგრამის აღწერა:

ღონისძიება „არაფორმალური განათლების ხელშეწყობის,, ფარგლებში, ახალგაზრდების პიროვნული, მოქალაქეობრივი და სოციალური განვითარების, გაძლიერებისა და ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, 2024 წლის განმავლობაში ჩატარდა 89 ქვეღონისძიება, ჯამში, ახალგაზრდების დასწრების საერთო მაჩვენებელმა შეადგინა - 2043.

სულ ფუნქციონირებდა 6 კლუბი, კლუბებში ჩატარდა 68 საგანმანათლებლო - შემეცნებითი შეხვედრა, ჯამში, ახალგაზრდების დასწრების საერთო მაჩვენებელმა შეადგინა: 1574.

კლუბების მუშაობის გარდა, ჩატარდა 21 საგანმანათლებლო ღონისძიება, ჯამში, ახალგაზრდების დასწრების საერთო მაჩვენებელმა შეადგინა: 469 .

ჩატარებული შეხვედრების კმაყოფილებისა და ხარისხის შეფასების მიზნით, ღონისძიების ფარგლებში ჩატარებული ყოველი შეხვედრის შემდეგ, მონაწილეები ავსებდნენ უკუკავშირის

კითხვარს. 2024 წლის მონაცემებით, უკუკავშირით მიღებულია 1065 პასუხი, მათგან: ჩატარებული შეხვედრების ხარისხს მონაწილე ახალგაზრდები (100 %) დადებითად აფასებენ, ხოლო, კმაყოფილი ახალგაზრდების მაჩვენებელიც - 100 % - ია.

უკუკავშირის მონაცემები შეგროვდა, გუგლი დრაივის ფორმით, ანონიმურად, აღსაღნიშნავია, რომ განხორციელებული ღონისძიების შედეგების ხარისხობრივი და თვისებრივი შედეგების გაზომვის ხელშესახები პრაქტიკა, კონკრეტულად, მოსარგებლეთა მიერ უკუკავშირის ონლაინ და ანონიმურობით გამოყენება 2024 წელს პირველად განხორციელდა. რაზეც შეიძლება ითქვას, რომ შედეგების დამუშავების მხრივ წარმატებით იმუშავა და გაცილებით ეფექტური და მოქნილი აღმოჩნდა. ამასთან, მოსარგებლე ახალგაზრდების მიერ გამოკვეთილი დეტალური თვისებრივი შეფასებები ღონისძიებასთან და ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით, მტკიცებულებების სახით ერთადაა თავმოყრილი. რაც ნებისმიერ დროს მიბრუნებისა და გადახედვა-გაანალიზების საშუალებას იძლევა. აღნიშნული კი, ღონისძიების დაგეგმარების დროს მნიშვნელოვანი დამხმარე საშუალება იქნება იმისთვის, რომ ყოველი შემდგომი ღონისძიება კიდევ უფრო მეტად პასუხობდეს ახალგაზრდის ინტერესებს, საჭიროებასა და მოლოდინს. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უკუკავშირებით მიღებულ ინფორმაციასა და ამა თუ იმ ქვეღონისძიებაში მონაწილეობისთვის გამოცხადებულ სარეგისტრაციო ფორმებში, დარეგისტრირებულია 2-ჯერ, 3 - ჯერ და ზოგჯერ 4 - ჯერ მეტი ახალგაზრდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ „არაფორმალური განათლების ხელშეწყობის“ ღონისძიებისადმი ინტერესი და საჭიროება ბათუმში მცხოვრებ ახალგაზრდებში ძალიან მაღალია, ხშირად კი, არსებული რესურსი (ახალგაზრდული სივრცის ტევადობა, ალტერნატიული სივრცის არარსებობა, ბიუჯეტი) არ იძლევა საშუალებას, დაკმაყოფილდეს ყველა ახალგაზრდის მოთხოვნა, ისარგებლონ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ღონისძიებით.

საერთო ჯამში, მოსარგებლე ახალგაზრდების მხრიდან მიღებული უკუკავშირებისა და განხორციელების დროს ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე, ასევე, ახალგაზრდების ჩართულობის მაღალი მაჩვენებლისა და გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსის 95.48%-ით ათვისების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ღონისძიება „არაფორმალური განათლების ხელშეწყობა“ 2024 წელს განხორციელდა წარმატებულად და მნიშვნელოვანი ხელშემშლელი დაბრკოლებების გარეშე.

ფსიქოლოგიის საათი - ჩატარდა 16 შეხვედრა, მათ შორის 2 საჯარო ლექცია და 14 ფსიქოლოგიური სესია, რომელსაც წარუძღვნენ მოწვეული კვალიფიციური ფსიქოლოგები.

კლუბის მიზნები:

- ახალგაზრდების პიროვნული განვითარების ხელშეწყობა;
- ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა;
- თვითშეფასებისა და თვითრწმენის ამაღლების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდების საგანმანათლებლო მხარდაჭერა, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და კონფლიქტების მარტივად გამკლავებაში ხელშეწყობა.

ჩატარებული ფსიქოლოგიური სესიებისა და საჯარო ლექციების თემატიკა:

1. „ადიქციური ქცევების მართვა და პრევენცია“ (კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება, სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება); პროფესორი, ფსიქოლოგი: თ. გაგომიძე;

2. „კრიზისული/გარდატეხის ასაკი და მასთან დაკავშირებული პრობლემების მართვა“, ფსიქოლოგი: დ. ქათამაძე;

3. „ბულინგი“, ფსიქოლოგი: თ. ქამადაძე

4. „ბრაზისა და ემოციის მართვა“, ფსიქოლოგი: დ. ქათამაძე

5. „სტრესი, სტრესთან გამკლავება“, ფსიქოლოგი: თ. ქამადაძე

6. „კომუნიკაცია დ ინტერპერსონალური ურთიერთობები“, ფსიქოლოგი: ქ. დევაძე

7. „თვითშეფასება, თვითგამორკვევა“, ფსიქოლოგი: დ. ქათამაძე

8. „წინასაგამოცდო სტრესი და პრევენცია“, პროფესორი: ქ. ბერიძე

9. „პოზიტიური აზროვნება“, „მიზნის დასახვა“, ფსიქოლოგი: თ. ქამადაძე

10. „აზროვნების შეცდომები“, ფსიქოლოგი: ქ. დევაძე

11. „ადიქციური ქცევების მართვა და პრევენცია“ (ფსიქოაქტიური ნივთიერებების, ალკოჰოლის, ნიკოტინის, ნარკოტიკის მოხმარება), ფსიქოლოგი: დ. ქათამაძე

12. „გარემოსთან ადაპტაცია და თავის დამკვიდრება“, ფსიქოლოგი: ქ. დევაძე

13. „დეპრესია, პრევენცია და მართვა“, ფსიქოლოგი: თ. ქამადაძე

14. „გადაწყვეტილების მიღების სირთულეები“, ფსიქოლოგი: ქ. ბერიძე

15. „პრობლემების იდენტიფიცირება და გადალახვის უნარი“, ფსიქოლოგი: ქ. ბერიძე

16. „შიში, შფოთვა და მათი მართვა“, მოწვეული ფსიქოლოგი: ნათია ფანჯიკიძე

კლუბის ფარგლებში, გაწეულია კვების, საკანცელარიო და მოწვეული სპეციალისტების მომსახურებასთან დაკავშირებული და სხვა ხარჯები.

კლუბში, საერთო ჯამში, სულ ჩაერთო 60-დე ახალგაზრდა.

კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 470."

"ლიტერატურის კლუბი - ჩატარდა 12 შეხვედრა.

კლუბის მიზნები:

- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა;
- ჰუმანური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივება;
- არგუმენტირებული მსჯელობის, აზრის ფორმირებისა და საჯაროდ გამოხატვის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ჩატარებული შეხვედრები თემატიკა:

1. „მხატვრული ლიტერატურის როლი, დანიშნულება და საჭიროება" საჯარო ლექცია (პროფესორი ლ. გიგინეიშვილი).

2. „ბუზთა ბატონი" უილიამ გოლდინგი, განხილვა (მოდერატორი: პროფესორი თ. სირაძე).

3. „თამაში ჭკავის ყანაში" ჯ. სელინჯერი, განხილვა (მოდერატორი: გამომცემელი, ლიტერატურათმცოდნე მ. კორინთელი);

4. „კვაჭი კვაჭანტირაძე" მ. ჯავახიშვილი, განხილვა (მოდერატორი: ლიტერატურული პრემია „საბას" ორგზის გამარჯვებული ნანა ტრაპაიძე)

5. „ალავერდობა" გ. რჩეულიშვილი, განხილვა (მოდერატორი: პროფესორი ინგა შამილიშვილი);

6. „ფრანით მორბენალი" ხ. ჰოსეინი, განხილვა (მოდერატორი: ლიტერატურული პრემია „საბას" ორგზის გამარჯვებული ნანა ტრაპაიძე).

7. „451 ფარენჰეიტით“ რ. ბრედბერი, განხილვა (მოდერატორი: პროფესორი თამარ სირამე);
8. „ნუ მოკლავ ჯაფარას“ ჰარპელ ლი, განხილვა (მოდერატორი: ლიტერატურული პრემია „საბას“ ორგზის გამარჯვებული ნანა ტრაპაიძე);
9. „გონების მიღმა“ შ. დრეიპერი, განხილვა (მოდერატორი: გამომცემელი, ლიტერატურათმცოდნე მ. კორინთელი);
10. „ანე ფრანკის დღიური“ ანე ფრანკი, განხილვა (მოდერატორი: პროფესორი თამარ სირამე);
11. „მარგალიტები“ მარიამ გურგენიშვილი, განხილვა (მოდერატორი: პროფესორი თამარ სირამე)
12. ლიტერატურული ვიქტორინა.
2. დოკუმენტური ფილმი: „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ რეჟ: თ. გურჩიანი; მოდერატორი: გ. მასალკინი
3. მხატვრული ფილმი: „ტბა“, რეჟ: კ. კიკაბიძე; მოდერატორი: გ. მასალკინი
4. ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროსი „გრძელი ნათელი დღეები“ , მოდერატორი: სოფიკო თოქმაჯიშვილი
5. დემიენ შაზელი „ვიფლემი“, მოდერატორი: სოფიკო თოქმაჯიშვილი
6. ალფრედ ჰიკოკი „ფსიქო“, მოდერატორი: სოფიკო თოქმაჯიშვილი
7. რიჩარდ ლაგრავსეი „თავისუფლების მწერლები“, მოდერატორი: სოფიკო თოქმაჯიშვილი
8. ნანა ჯანელიძე „ნეტავ იქ თეატრი არის?!"

კინოკლუბის ფარგლებში გამართულ კინო-ჩვენებებზე და განხილვა/დისკუსიებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდები, კლუბის დაფინანსებით, ორჯერ იმყოფებოდნენ კინოთეატრ „აპოლოში“ (ბილეთი, პოპკორნი, გამაგრებელი სასმელი). საერთო ჯამში, კინოთეატრის პაკეტით ისარგებლა 28 აქტიურად ჩართულმა ახალგაზრდამ. კლუბში, საერთო ჯამში, სულ ჩაერთო 50-მდე ახალგაზრდა.

კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 278.

დებატკლუბში - ჩატარდა 8 შეხვედრა, მათ შორის 4 შეხვედრა დაეთმო დებატების ტექნიკის სწავლებას და პარარელურად პრაქტიკას: დებატებს, ხოლო დანარჩენი 4 შეხვედრა დაეთმო დებატ ტურნირების ჩატარებას; კლუბის ფარგლებში გაიმართა ფინალური დებატ შეჯიბრი, პოლიტიკური დებატების ფორმატში, რეზოლუციაზე: „საქართველოში ბავშვთა უფლებები დაცული უნდა იყოს“. პირველ სამ საპრიზო ადგილზე გასული გუნდის წევრებს (3-3), გადაეცათ წიგნის მაღაზიის 100, 70 და 50 ლარიანი ვაუჩერები. ხოლო, კლუბის წევრებს, მონაწილეობის სერტიფიკატები გადაეცათ. კლუბში, საერთო ჯამში, - კლუბის ფარგლებში, გაწეულია ყავის შესვენების, საკანცელარიო, წიგნის მაღაზიის ვაუჩერებისა და მოწვეული სპეციალისტების მომსახურებასთან დაკავშირებული, ასევე სხვა ხარჯები. სულ ჩართული იყო 21 ახალგაზრდა. კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 160.

ეკოკლუბში - ჩატარდა 14 შეხვედრა, მათ შორის: საჯარო ლექცია - 1 („ეკოლოგია, გამოწვევები და ადამიანი“); ტრენინგი 2 - „ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვა და პრევენცია“; „შავი ზღვის ეკოლოგია და მისი გამოწვევები“; გარემოსდაცვითი კამპანია/აქცია - 2 (1. დასუფთავების აქცია); (2. გარემოსდაცვითი საინფორმაციო კამპანია); საგანმანათლებლო შეხვედრა - 3; ვიზიტები კოლხეთისა და მტირალას ეროვნულ პარკებში - 2; თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგისთვის მომზადება და ტრენინგი - 4. კლუბის ფარგლებში, გაწეულია კვების, საკანცელარიო, ტრანსპორტირებისა და

მოწვეული სპეციალისტების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები. სულ ჩართული იყო 20 ახალგაზრდა. კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 270.

სამოქალაქო განათლების კლუბში - ჩატარდა 7 ტრენინგი, მათ შორის, შემდეგ თემებზე:

1. „მოქალაქე, მისი როლი სახელმწიფოში, მოვალეობები და პასუხისმგებლობები“;
2. „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“;
3. „პოლიტიკური რეჟიმები და იდეოლოგიები“;
4. „სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი აზროვნება“;
5. „თვითმმართველობა და თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა და მონაწილეობის ფორმები“;
6. „დემოკრატია“
7. „მონაწილეობის უფლება და ფორმები“.

კლუბის პროგრამის დასრულების შემდეგ, აქტიურ წევრებს ტრენინგპროგრამაში მონაწილეობის სერტიფიკატები გადაეცათ. სულ ჩართული იყო 25 ახალგაზრდა. კლუბში დასწრების მაჩვენებელი: 144.

"ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის მიმართულებით საინფორმაციო ტრენინგები - ახალგაზრდებში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT), ხელოვნური ინტელექტის, მეწარმეობისა და ტექნოლოგიური სტარტაპის მიმართულებით, ცნობადობის ამაღლების, ინტერესის გაღვივების, მოტივირების, შთაგონებისა და სამეწარმეო კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დეკემბრის თვეში, ჩატარდა 6 საგანმანათლებლო შეხვედრა, მათ შორის:

1. საინფორმაციო შეხვედრა თემებზე: „ციფრული ტრანსფორმაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიების ერა, STEAM, საერთაშორისო ტენდენციები - თანამედროვე ტექნოლოგიების უახლესი მიღწევები, ხელოვნური ინტელექტი, ციფრული მარკეტინგი, მომავლის ტექნოლოგიები და პროფესიები", სპიკერი: ნინო კაჭაშვილი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი;
2. საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: „კიბერუსაფრთხოება", სპიკერი: ნინო კაჭაშვილი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი;
3. სამდღიანი ტრენინგი „მეწარმეობის შესახებ", ტრენერი: ინგა გეგეშიძე
4. შეხვედრა წარმატებულ სტარტაპერ ლოლიტა კეპულაძესთან (ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ 150 000 ლარიანი თანადაფინანსების

გრანტის პროგრამის გამარჯვებული, სტარტაპი “MedAdvisor.pro” ემსახურება მომხმარებლებს უცხო ქვეყნებიდან, რომლებსაც სურთ საქართველოში სამედიცინო მომსახურების მიღება. დასწრების მაჩვენებელი: 109.

„მულტიკულტურალიზის სეზონური სკოლა - ახალგაზრდებში მრავალფეროვან კულტურებში მშვიდობიანად ცხოვრების კომპეტენციის განვითარების მიზნით, 2024 წლის 08-დან 11 ნოემბრის ჩათვლით, განხორციელდა მულტიკულტურალიზმის სეზონური სკოლა.

სკოლის ფარგლებში ჩატარდა:

1. ორდღიანი ტრენინგი მულტიკულტურალიზმის შესახებ, რომელსაც გაუძღვა მოწვეული ტრენერი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინტერკულტურული განათლების" ლექტორი ნინო ჭიბრიშვილი;

2. ერდლიანი საჯარო ლექციები შემდეგ თემებზე: „კულტურული მრავალფეროვნება, დისკრიმინაცია და ტოლერანტობა“, მომხსენებელი: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ლექტორი, ანთროპოლოგიის დოქტორი: ბორის კომახიძე; „რელიგიური მრავალფეროვნება, დისკრიმინაცია და ტოლერანტობა“, მომხსენებელი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის ლექტორი აბესალომ ასლანიძე.

3. სკოლის პროგრამა ქალაქის ტურიტ დასრულდა, მონაწილე ახალგაზრდებმა ბათუმი სხვა რაკურსით, როგორც მრავალფეროვანი კულტურის ქალაქი“ გაიცნეს, ყველა იმ მნიშვნელოვანი ადგილის მონახულებით, სადაც შესამჩნევია კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, ტურს უძღვებოდა მაღალკვალიფიციური გიდი თამარ ორაგველიძე. ახალგაზრდების დასწრების მაჩვენებელი: 96.

"მედია წიგნიერების კურსი - ახალგაზრდებში, სოციალური მედით მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასების, დეზინფორმაციის, ყალბი ინფორმაციისა და მანიპულაცია/პროპაგანდის ამოცნობის უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 27 - 28 - 30 ნოემბერს ჩატარდა სამდღიანი კურსი მედიაწიგნიერებაში, რომელსაც გაუძღვა მოწვეული მედიაწიგნიერების ტრენერი ირმა გაბინაშვილი. ახალგაზრდების დასწრების მაჩვენებელი: 72.

"ჯანსაღი ცხოვრების წესის კომპეტენციის განვითარება - „ჯანსაღი ცხოვრების წესის კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში, 12-დან 15 ნოემბრის ჩათვლით, ჩატარდა 4 საინფორმაციო შეხვედრა, ქვემოთ მოცემულ საკითხებზე:

1. „ჯანსაღი ცხოვრების წესი: კვება, ძილი, ვარჯიში“, რომელსაც გაუძღვა მოწვეული ექიმი, ენდოკრინოლოგიის დოქტორი: თამარ პეშკოვა;

2. „სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა“, რომელსაც გაუძღვა მოწვეული ექიმი, გინეკოლოგი: მზია ხალვაში;

3. „მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება“, რომელსაც გაუძღვა მოწვეული ექიმი, ნარკოლოგი: მაია კონცელიძე;

4. „მენტალური ჯანმრთელობა“, რომელსაც გაუძღვა მოწვეული ექიმი, ფსიქიატრი: სალომე ვაშალომიძე;

ახალგაზრდების დასწრების მაჩვენებელი: 96.

„პროფორიენტაციის ხელშეწყობა“ - ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობებისა და ინტერესების იდენტიფიცირებაში დახმარების გაწევისა და პროფესიული არჩევანის გამარტივების ხელშეწყობის მიზნით, 13-14 დეკემბერს ჩატარდა პროფორიენტაციის ტრენინგი, რომელსაც გაუძღვა პროფორიენტაციის ტრენერი ელისაბედ სოფრომაძე.

ახალგაზრდების დასწრების მაჩვენებელი: 38 ახალგაზრდა.

"დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა - ახალგაზრდებში სამუშაოს მოძიების უნარის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 16 დეკემბერს ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების შესახებ, ხოლო, 17-18 დეკემბერს, ჩატარდა ტრენინგი „კარიერული განვითარების" შესახებ. ტრენინგებს უძღვებოდა მოწვეული კარიერული განვითარების სპეციალისტი დავით გუნაშვილი.

ახალგაზრდების დასწრების მაჩვენებელი: 58"

ახალგაზრდებთან ურთიერთობის კოორდინატორი (ახალგაზრდული მუშაკები) - კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ ახალგაზრდების მოზიდვის, დაინტერესების, ჩართულობის, ინფორმირებულობისა და საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფის პროცესში. გაიცა 10 თვის შრომის ანაზღაურება ორ კოორდინატორზე.

"სურდო თარჯიმანის მომსახურების უზრუნველყოფა - წლის მანძილზე „არაფორმალური განათლების ხელშეწყობის“ ღონისძიებაზე სმენადაქვეითებული ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის მიზნით, გაწეული იქნა სურდო თარჯიმანის ჰონორარის ხარჯი. "

ახალგაზრდების „არაფორმალური განათლების ხელშეწყობი“ ღონისძიების შესახებ ინფორმირებულობის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს დაწესებულებებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, რომლისთვისაც გაწეული იქნა ტრანსპორტირების ხარჯი.

ღონისძიებაში აქტიურად ჩართულ 14 ახალგაზრდას, წლის ბოლოს გადაეცათ ტექნიკის მაღაზიის 200 ლარიანი ვაუჩერები. შერჩევის კრიტერიუმების შესახებ მონაწილეები წინასწარ, ღონისძიებების დაწყებამდე იყვნენ ინფორმირებულები, მათ შორის ამა თუ იმ ქვეღონისძიების შესახებ გამოქვეყნებულის ანონსის სარეგისტრაციო ფორმებში მოცემული ინფორმაციით - წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ. კრიტერიუმებს წარმოადგენდა ღონისძიებებზე დასწრების მაჩვენებელი და სპიკერების/ტრენერების მიერ კანდიდატურების დასახელება - ყველაზე აქტიურად ჩართული.

ღონისძიება - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა და საინფორმაციო აქტივობები“ - საანგარიშო პერიოდში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, გამოცხადდა ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობისა და საინფორმაციო აქტივობების ორგანიზების თაობაზე. ღონისძიების ფარგლებში:

ა) 21 მარტს ჩატარდა დაუნის სინდრომის ცნობადობის ამაღლებასთან დაკავშირებით საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა. შეხვედრას უძღვებოდა ფსიქოლოგი ხატია ბერიძე. შეხვედრაზე განხილული იქნა შემდეგი თემები: „დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე“ და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ დამხმარე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები და მნიშვნელობა“. ღონისძიებას ესწრებოდნენ დაუნის სინდრომის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მშობლები, ჯამში 45 პირი. ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო ხატვის აქტივობებს, რომელსაც უძღვებოდა მხატვარი ანნა ჭყონია.

ბ) 2 აპრილს ჩატარდა აუტიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიების პირველი ნაწილი დაეთმო ფლემშობის დადგმას და გასართობ აქტივობებს. ხოლო შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრას.

გ) 3 დეკემბერს აღინიშნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე.

დ) ამოქმედდა ხელსაქმის (კრაფტ) ინკლუზიური კლუბი. კლუბის ფარგლებში პირველი შეხვედრა ჩატარდა 21 მარტს, რომელზეც დაიგეგმა გაკვეთილების გრაფიკი და განისაზღვრა თუ რა ნაკეთობები უნდა დამზადდეს აღნიშნული კლუბის ფარგლებში. მონაწილეებმა სპეციალისტის დახმარებით, დაიწყეს კრეატიული ხელნაკეთობების შექმნა. საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 24 შეხვედრა.

ლონისძიება „ბავშვთა სივრცე“ - ღონისძიების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ფუნქციონირებდა ბავშვთა კლუბი და მშობელთა სკოლა. ბავშვთა კლუბის ფარგლებში სულ ჩატარდა 18 შეხვედრა, ხოლო მშობელთა სკოლის ფარგლებში - 5 შეხვედრა. ჯამში, ბავშვთა კლუბის ფარგლებში დასწრების საერთო მაჩვენებელმა შეადგინა: 249 ბავშვი, ინდივიდუალურად ჩართული იყო 25 ბავშვი, ხოლო მშობელთა სკოლის ფარგლებში - 49 მშობელი. ინდივიდუალურად ჩართული იყო 10 მშობელი. ჩატარებული შეხვედრების კმაყოფილებისა და ხარისხის შეფასების მიზნით, მშობელთა სკოლის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების დასასრულს მონაწილეებმა შეავსეს უკუკავშირის კითხვარი. ჩატარებული შეხვედრების ხარისხს მონაწილე მშობლები 100%-ით დადებითად აფასებენ, ხოლო, გამოკითხული მშობლების კმაყოფილების მაჩვენებელიც 100%-ია.

ბავშვთა კლუბის ფარგლებში შეირჩა კლუბის ლიდერ-ფასილიტატორი - ფსიქოლოგი/ფსიქოთერაპევტი დავით ქათამაძე. 3 ივლისიდან 9 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა 10-დან 13 წლის ბავშვთა რეგისტრაცია, რეგისტრაციის დასრულების შემდგომ კი კლუბის ლიდერ-ფასილიტატორის ხელმძღვანელობით კლუბის წევრები ჩაერთნენ მრავალფეროვან კულტურულ-საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობებში, კერძოდ: კონკრეტული ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით, კითხულობდნენ და მსჯელობდნენ სხვა და სხვა წიგნების ირგვლივ; ნახულობდნენ და განიხილავდნენ ფილმებს; თამაშობდნენ კომპიუტერულ და სამაგიდე თამაშებს; ხატავდნენ; ჩატარდა მცირე საგანმანათლებლო აქტივობები თვითშეფასების, პასუხისმგებლობის, ემპათიის, კომუნიკაციის, ადაპტაციისა და თავდაჯერებულობის უნარების გამომუშავებისათვის;

12 ივლისს ჩატარდა პირველი შეხვედრა თემაზე: კომუნიკაციის უნარების გამომუშავება;

15 ივლისს „ბავშვთა კლუბის“ ფარგლებში ჩატარდა მეორე შეხვედრა. კლუბის წევრებმა ლიდერ-ფასილიტატორთან ერთად განიხილეს თავიანთი საყვარელი წიგნები, პერსონაჟები და გმირები, იმუშავეს ჯგუფებში და მუშაობის შედეგად შეძლეს თავიანთი საყვარელი წიგნებიდან გარკვეული ეპიზოდები გადმოეცათ ჟესტების საშუალებით;

17 და 19 ივლისს მესამე და მეოთხე შეხვედრის ფარგლებში, ხატვის უნარების გამომუშავება-განვითარების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა;

22 ივლისს მეხუთე შეხვედრა დაეთმო საგანმანათლებლო აქტივობას - პასუხისმგებლობის გამომუშავებისა და მნიშვნელობის თაობაზე;

26 ივლისს მეექვსე შეხვედრის ფარგლებში განხორციელდა ბავშვების ასაკობრივი თავისებურებისა და ინტერესების გათვალისწინებით შერჩეული მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების ჩვენება და განხილვა. ანიმაციური ფილმების ნახვის შემდეგ ბავშვებმა იმუშავეს ნანახი ანიმაციური ფილმების ახალი სიუჟეტებისა და განსხვავებული დასასრულის შექმნაზე;

29 ივლისს ჩატარდა მეშვიდე შეხვედრა, კლუბის წევრებმა ლიდერ-ფასილიტატორთან ერთად განიხილეს თავიანთი საყვარელი წიგნები, პერსონაჟები და გმირები, იმუშავეს ჯგუფებში და მუშაობის შედეგად შეძლეს თავიანთი საყვარელი წიგნებიდან გარკვეული ეპიზოდები გადმოეცათ ჟესტების საშუალებით;

4 სექტემბერს ჩატარებული მერვე შეხვედრა დაეთმო საგანმანათლებლო აქტივობას - კომუნიკაციის უნარების განვითარება; ხოლო 5 და 6 სექტემბერს ჩატარებული მეცხრე და მეათე შეხვედრა დაეთმო კითხვის, შემოქმედებითი აზროვნებისა და ხატვის უნარების გამომუშავება-განვითარებას;

9 სექტემბერს მეთერთმეტე შეხვედრის ფარგლებში განხორციელდა ბავშვების ასაკობრივი თავისებურებისა და ინტერესების გათვალისწინებით შერჩეული მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების ჩვენება და განხილვა;

10 სექტემბერს ჩატარებული მეთორმეტე შეხვედრა დაეთმო საგანმანათლებლო აქტივობას - ემპათიის უნარის გამომუშავება- განვითარება."

11 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით ჩატარებული შეხვედრები დაეთმო კითხვის, შემოქმედებითი აზროვნებისა და ხატვის უნარების გამომუშავება-განვითარებას (ბავშვებმა მხატვრულად აღწერეს მათი საყვარელი წიგნის პერსონაჟები და მათ მიერ შექმნილი ნახატები) და საგანმანათლებლო აქტივობებს - კომუნიკაციის უნარების გამომუშავება-განვითარებას, თვითდაჯერებულობასა და საკუთარი თავის წარმოჩენის უნარების განვითარებას.

კლუბის საქმიანობაში გარდა ლიდერ- ფასილიტატორისა აქტიურად არიან ჩართულნი ახალგაზრდული ცენტრის მოხალისეები.

ქველონისძიების - მშობელთა სკოლის ფარგლებში, შეირჩა კლუბის ლიდერ-ფასილიტატორი - პროფესიით ფსიქოლოგი ქეთი დევამე. მონაწილეობის მიღების მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო დარეგისტრირებული მშობლებისთვის 17, 18, 19 და 20 სექტემბერს ჩატარდა 4 ტრენინგი, ხოლო 27 სექტემბერს შედგა შეხვედრა მოწვეულ სტუმართან. აღნიშნულ შეხვედრებს ესწრებოდნენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მშობლები.

საინფორმაციო ხასიათის ტრენინგები და შეხვედრები ემსახურებოდა მშობელთა მიერ ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მხარდამჭერი და მზრუნველი, პოზიტიური მშობლის კომპეტენციების შეძენა-განვითარებას, კერძოდ როგორიცაა: მშობლის როლი; მშობელისა და შვილის ურთიერთობა; როგორ შეუძლია მშობლებს ხელი შეუწყოს შვილების ემოციურ უსაფრთხოებას მიმდებლობისა და მხარდაჭერის გზით; ემოციების რეგულაცია და ასაკობრივი გამოწვევები, სტრატეგიები, რომლებიც ეხმარება ბავშვებს ემოციების მართვაში, განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე; ადრეული გამოცდილებები და უგულვებელყოფა, ემოციური უგულვებელყოფისა და ბავშვობის ტრავმების გრძელვადიანი გავლენის გაგება და განხილვა. რაც შეეხება მოწვეულ სტუმარს, იგი იყო ორგანიზაცია - „მშობელი“ დამფუძნებელი - ნარგიზ გედენიძე, რომელმაც მონაწილეებს გაუზიარა პოზიტიური მშობლობის პირადი გამოცდილება. "

ლონისძიება – „შემეცნებითი ტურები“ - სამსახურის მიერ მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, შედგა ტენდერი და 2024 წლის 25 ივლისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ა(ა)იპ ქ. ბათუმის საკალათბურთო კლუბი „ლომისს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N110 ხელშეკრულება „ შემეცნებითი ტურების“ ორგანიზების თაობაზე. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა 14-29 წლის 210 - მა ახალგაზრდამ.

შემეცნებითი ტურები ჩატარდა ორ ეტაპად: აგვისტოსა და სექტემბრის თვეში.

აგვისტოს თვეში განხორციელდა 5 ტურის ორგანიზება მაჭახელას ხეობაში და 2 ტურის ორგანიზება სხალთის ხეობაში.

მაჭახელას ხეობაში ახალგაზრდებმა მოინახულეს შემდეგი ღირსშესანიშნაობები: მაჭახელას თოფის მონუმენტი; მაჭახელას ეროვნული პარკი; მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; ცხემლარას თაღოვანი ხიდი; გვარის ციხე; თამარ მეფის თაღოვანი ხიდი.

სხალთის ხეობაში ახალგაზრდებმა მოინახულეს შემდეგი ღირსშესანიშნაობები:

სხალთის ეკლესია და შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი."

სექტემბრის თვეში განხორციელდა 4 ტურის ორგანიზება სამეგრელოს რეგიონში და 4 ტურის ორგანიზება იმერეთის რეგიონებში

სამეგრელოს ტურის ფარგლებში ახალგაზრდებმა მოინახულეს შემდეგი ლოკაციები: ზუგდიდის დადიანების სასახლე; მარტვილის კანიონი; ნოქალაქევი.

იმერეთის ტურის ფარგლებში ახალგაზრდებმა მოინახულეს შემდეგი ლოკაციები: ვანის არქეოლოგიური მუზეუმი; ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი და მოწამეთა.

შემეცნებით ტურების ორგანიზების ფარგლებში სხვა მომსახურებებთან ერთად უზრუნველყოფილი იყო ისტორიკოსის, გიდისა და ფოტო-ვიდეო-გადამღების მომსახურება.

ლონისძიება – „ინკლუზიური სპექტაკლების დადგმა“ - ლონისძიების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ახალგაზრდების მონაწილეობით დაიდგა სამი სპექტაკლი - ლაშა ბუღაძის პიესა „ლისისტრატე“, ანე ფრანკის „ანე ფრანკის დღიური“ და ანტუან დე სენტ ეგზიუპერის - „პატარა უფლისწული“.

სპექტაკლებში მონაწილეობა მიიღო 42 ახალგაზრდამ, ამათგან 20 მონაწილე იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. სპექტაკლის დადგმისათვის მოსამზადებელი სამუშაოები ითვალისწინებდა აგრეთვე რეჟისორების მიერ, შემეცნებითი მასტერკლასის ჩატარებას სახელოვნებო მიმართულებით. სპექტაკლების პრემიერა შედგა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში. სპექტაკლებმა დაიმსახურა საზოგადოების მხრიდან დიდი მოწონება და კმაყოფილება.

ლონისძიება – „მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები“: ქველონისძიება – „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 9 განაცხადი. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დაფინანსდა 8 პროექტი.

ქველონისძიება – „მოხალისეთა კლუბი“-სამსახურის მიერ მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, შედგა ტენდერი და 2024 წლის 24 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს" შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №103 ხელშეკრულება. ქ. ბათუმში, მოხალისეობის კულტურის გაძლიერებისა და მოხალისეთა კლუბში გაწევრიანების მსურველი ახალგაზრდების გამოვლენის მიზნით, შეიქმნა სარეგისტრაციო აპლიკაცია. მ.წ. 2 ივლისიდან - 6 ივლისი ჩათვლით გამოცხადდა რეგისტრაცია, სამიზნე ჯგუფი იყო ქ. ბათუმში მცხოვრები 14- 24 წლის ახალგაზრდები; დარეგისტრირებული ახალგაზრდებიდან შეირჩა 10 აპლიკანტი, რომელთა გადამზადებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოწვეულმა ტრენერმა მ.წ. 8-9 და 10 ივლისს ჩაატარა სამ დღიანი ტრენინგი თემაზე - „აქტიური მოქალაქეობა და მოხალისეობა“.

ტრენინგის ფარგლებში მოხალისეთა კლუბის წევრებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია და გაიღრმავეს ცოდნა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: აქტიური მოქალაქეობის კონცეფცია, ძირითადი პრინციპები, მეთოდები და ხერხები; კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები;

საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება; მიიღეს პრაქტიკული რეკომენდაცია და რჩევები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გახდეს აქტიური მოხალისე; გაეცნენ საერთაშორისო გამოცდილების მაგალითებს; მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონს; მოხალისის უფლებებსა და მოვალეობებს, მოხალისეობის სახეებს; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებს ახალგაზრდული მიმართულებით; საერთაშორისო მოხალისეობრივ პროექტებსა და აქტივობებს; გაიზიარეს მოხალისეობის საერთაშორისო პრაქტიკა. ტრენინგ-კურსის დასასრულს კი თავად შეადგინეს სამოქმედო გეგმა. მოხალისეთა კლუბის წევრებისთვის დამზადდა და გადაეცათ ბრენდირებული ჩანთები, მაისურები და კეპები.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ახალგაზრდული სივრცე; შექმნილია არაფორმალური განათლების შესაძლებლობები; მხარდაჭერილია ახალგაზრდების იდეების განხორციელება; ხელშეწყობილია ახალგაზრდების მონაწილეობა.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 24,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 23,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

საანგარიში პერიოდში გაიმართა:

1. ღონისძიება „ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ - ღონისძიების ფარგლებში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაციები; გაფორმდა ხელშეკრულებები ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ მონაწილეებისათვის სასაჩუქრე თასებისა და სასაჩუქრე წიგნების შესყიდვებსა და ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ ორგანიზებაზე;

მიმწოდებლების მიერ მოწოდებული იქნა 12 თასი და 55 სასაჩუქრე წიგნი;

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ინტელექტუალური თამაშის რა? სად? როდის? პირველი და მეორე ეტაპები. საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდა წიგნებით და თასებით. სულ პირველ და მეორე ეტაპში მონაწილეობა მიიღო 271-მა ახალგაზრდამ.

18 მაისს ჩატარებულ სასკოლო ჩემპიონატში (პირველი ეტაპი) მონაწილეობა მიიღო 13-მა გუნდმა. რა? სად? როდის? თამაშებში საპრიზო ადგილებზე გასული გუნდებია: პირველი ადგილი - „ბრაჟილია“, მეორე ადგილი - „მარაზმი“, მესამე ადგილი - „კავკასიური ჟუაჩა“.

25 მაისს ჩატარებულ სტუდენტურ - ახალგაზრდულ ჩემპიონატში (მეორე ეტაპი) მონაწილეობა მიიღო 29 გუნდმა. რა? სად? როდის? თამაშებში საპრიზო ადგილზე გასული გუნდებია: პირველი ადგილი - „თამადა“, მეორე ადგილი - „ბოროტება“, მესამე ადგილი - „ბაკიბაკო“.

28 ივლისს ჩატარდა ინტელექტუალური „თამაშების რა?სად?როდის?“ მესამე ეტაპი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 26-მა გუნდმა, ჯამში 156-მა ახალგაზრდამ (თითოეული გუნდი შედგებოდა 6 წევრისაგან). წარმოდგენილნი იყვნენ თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, თელავის, სამტრედიისა და ბათუმის ს გუნდები. საპრიზო ადგილები გადაინაწილეს შემდეგმა გუნდებმა: პირველი ადგილი: - გუნდი „სწრაფმჭერი“; მეორე ადგილი - გუნდი „ბეთჰოვენი და ნაპოლეონ“; მესამე ადგილი გუნდი - „26-ე საათი“. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ წიგნებით, თასებითა და მედლებით.

2) ღონისძიება „ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“- პროექტის ფარგლებში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია; გაფორმდა ხელშეკრულება მედიაპროექტის ორგანიზებაზე;

23 აპრილს გაიმართა ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობდა 27 გუნდი და 136 მოსწავლე (თითო გუნდში - 5 მოსწავლე). „ბათუმის ეტალონი გუნდის“ წოდება და პირველობა მოიპოვა კერძო სკოლა „ევრო-2000-ის“ გუნდმა 72 ქულით. გუნდის კაპიტანი იყო VII კლასელი გვანცა ცეცხლაძე, მეორე ადგილზე ასევე 72 ქულით გავიდა ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის VII კლასელებისგან დაკომპლექტებული გუნდი ანასტასია შანთაძის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ კერძო სკოლა „ევრო-200-ის“ და ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის გუნდებმა თანაბარი 72-72 ქულა დააგროვეს, თუმცა „ევრო-200-ის“ გუნდმა ეს უფრო მცირე დროში მოახერხა (268 წამი), ვიდრე ბათუმის N10 საჯარო სკოლის გუნდმა (287 წამი). მესამე ადგილი კი მოიპოვა ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის გუნდმა 70 ქულით. გუნდს ხელმძღვანელობდა VII კლასელი სანდრო კაკაბაძე. აქვე აღსანიშნავია, რომ მეოთხე ადგილზე გასულმა ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლის გუნდმა მესამე ადგილოსანი გუნდის მსგავსად 70 ქულა დააგროვა, თუმცა ამისთვის უფრო მეტი დრო დასჭირდა 361 წამი, ვიდრე ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის გუნდს (268 წამი).

მიღწეული შედეგები:

ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა

პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 991,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 729,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბრონქული ასთმით და ქოლის მქონე დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფარგლებში მომსახურეობით ისარგებლა 100-მა ბენეფიციარმა, აქედან - 44 მამაკაცი, ხოლო - 56 ქალი.

სამი და მეტი შშმ პირთა (ოჯახში) დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის ღონისძიების ფარგლებში გაცემულია 39 ვაუჩერი, აქედან - 17 მამაკაცი, ხოლო - 22 ქალი.

დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაცემულია 6772 ვაუჩერი, აქედან, 3209 ბენეფიციარი მამაკაცი, ხოლო - 3563 ბენეფიციარი ქალი.

18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება ღონისძიების ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწია 13 ბენეფიციარს, აქედან - 5 მამაკაცი, ხოლო - 8 ქალი.

18 წლამდე ასაკის ჰომოცისტეინურიით, ცელიაკიით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება ღონისძიების ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწია 25 ბენეფიციარს, აქედან - 9 მამაკაცი, ხოლო - 16 ქალი.

18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება ღონისძიების ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწია 8 ბენეფიციარს, აქედან - 3 ბენეფიციარი მამაკაცი, ხოლო - 5 ბენეფიციარი ქალი.

დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით ღონისძიების ფარგლებში გაცემულია 1828 ვაუჩერი, აქედან - 570 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო - 1258 ბენეფიციარი ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 126,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 69,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 54,5%. ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ მიუხედავად მრავალჯონის გაფრთხილებისა ვერ შეასრულდა ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება და მომწოდებელი ორგანიზაცია დაჯარიმებული იქნა ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის კონტრაქტის 5%-ით. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული თანხის ათვისება.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში რეგისტრირებული 30-დან 40 წლამდე ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია - საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ღონისძიებით ისარგებლა 141-მა ბენეფიციარმა.

25-დან 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია - საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ღონისძიებით ისარგებლა 17-მა ბენეფიციარმა.

ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიების ონკო-მარკერებით კვლევა - საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ღონისძიებით ისარგებლა 900-მა ბენეფიციარმა (3500 ონკომარკერი).

ფილტვის კიბოს სკრინინგი - საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ღონისძიებით ისარგებლა 38-მა ბენეფიციარმა, მათგან 29 ბენეფიციარი მამაკაცია და 9 ბენეფიციარი ქალი.

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 172,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 152,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 88,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია - გათვალისწინებული ღონისძიება გათვლილია 40 ბენეფიციარზე, ამოქმედებულია და მომსახურეობით სარგებლობს 38 ბენეფიციარი, რომელთაც გაეწიათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, აქედან - 20 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო - 18 ბენეფიციარი ქალი.

მიღწეული შედეგები:

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარდა სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა (პროგრამული კოდი 06 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 279,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 266,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

სტომატოლოგიურ და ორთოპედიულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი - გათვალისწინებულია 1300 ბენეფიციარის სტომატოლოგიური მომსახურება, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 1192-მა ბენეფიციარმა, აქედან - 656 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო - 536 ბენეფიციარი ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება.

შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 111,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 071,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შშმ პირებისა და შეძენილი შშმ სტატუსის მქონე (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანების, შშმ სტატუსის ბავშვების, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების საკურორტო რეაბილიტაცია - საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა -1752-მა ბენეფიციარმა, აქედან - 963 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო - 789 ბენეფიციარი ქალი.

მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის 12 დღიანი კურსი.

ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4 025,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 974,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა - ღონისძიების ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 445-მა ბენეფიციარმა, ამათგან 267 ბენეფიციარი ბიჭია, ხოლო

178 ბენეფიციარი გოგონა.

ქ. ბათუმში რეგისტრირებული 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია ღონისძიების ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება 15 ბავშვს ყოველთვიურად, მათ შორის 7 - გოგო, 8-ბიჭი.

ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება - მომსახურეობით სარგებლობს ყოველთვიურად საშუალოდ 673 ბენეფიციარი, აქედან 487 ბიჭი, ხოლო - 186 გოგონა. ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა - მომსახურეობით ისარგებლა 167-მა ბავშვმა, აქედან -91 ბიჭი, ხოლო - 76 გოგონა.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - მომსახურეობით სარგებლობს ყოველთვიურად საშუალოდ - 699 ბენეფიციარი. აქედან - 550 ბიჭი, ხოლო - 149 გოგონა.

➤ მიღწეული შედეგები:

ახალშობილებში ჩატარებულია აუდიოლოგიური სკრინინგი. განხორციელებულია შესაბამისი ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. ორთოპედიული პათოლოგიის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებულია ამბულატორიული მკურნალობის ერთი კურსი

ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 201,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 183,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად სარგებლობს საშუალოდ 118 ბენეფიციარი, აქედან - 75 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 43 ბენეფიციარი ქალი.

ლეიკემიით დაავადებული 18 წლის ჩათვლით პირებისათვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაცემა - ღონისძიების ფარგლებში ისარგებლა 29-მა ბენეფიციარმა, აქედან 16 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო - 13 ბენეფიციარი ქალი.

➤ მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 08)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 200,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 858,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 71,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ანგიოგრაფიის დაფინანსება ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მომსახურეობით ისარგებლა 14-მა ბენეფიციარმა, აქედან 6 ბენეფიციარი მამაკაცი, ხოლო 8 ბენეფიციარი ქალი.

გეგმიური გულის ან/და კორონარული არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსება ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მომსახურეობით ისარგებლა 49 ბენეფიციარმა, აქედან 38 ბენეფიციარი მამაკაცი, ხოლო 11 ბენეფიციარი ქალი.

მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მომსახურეობით ისარგებლა 424 ბენეფიციარმა. აქედან 253 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 171 ბენეფიციარი ქალი.

ზოგიერთი ნოზოლოგიის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის მიერ ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 19 ბენეფიციარმა. აქედან 3 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 16 ბენეფიციარი ქალი.

ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მომსახურეობით ისარგებლა 1394-მა ბენეფიციარმა, აქედან 627 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 767 ბენეფიციარი ქალი.

გულის კტ კორონაროგრაფია ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში პერიოდში ისარგებლა 19 ბენეფიციარმა, აქედან 11 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 8 ბენეფიციარი ქალი.

ონკოპაციენტებისათვის იმუნო და თარგეტ თერაპიის სერვისის (ინფუზიის) დაფინანსება - ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მომსახურეობით ისარგებლა - 59 ბენეფიციარმა, აქედან 12 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 47 ბენეფიციარი ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება. მატერიალური დახმარება გაწეულია ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 09)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 187,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 187,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მობილური გუნდის მიერ ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება ღონისძიების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური ბინაზე მომსახურება. მოხდა დაავადების რეციდივებისა და რეჰოსპიტალიზაციის შემცირება. ბენეფიციარებს მიეწოდათ მედიკამენტები. ქვეპროგრამა გათვლილი იყო 100 ბენეფიციარზე, რომლის ფარგლებში სრულად მოხდა ბენეფიციართა რაოდენობის შევსება. აქედან 62 ბენეფიციარი მამაკაცია, ხოლო 38 ბენეფიციარი ქალი.

მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ბინაზე მომსახურება. შემცირებულია რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა.

სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 947,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 625,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 66,0%. ქვეპროგრამის დაბალი შესრულება გამოიწვია რამდენიმე მიზეზმა: წყლისა და კანალიზაციის სუბსიდირებას მუნიციპალიტეტი ახორციელებს მხოლოდ იდენტიფიცირებული მომხმარებლებისათვის, რომლებიც ბენეფიციარების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსების ღონისძიებაში ჩართულობის მიზნით მოგვმართა ბენეფიციართა მცირე რაოდენობამ, რამაც გამოიწვია დაბალი შესრულება.

➤ **პროგრამის აღწერა:**

წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვის ღონისძიების ფარგლებში დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა განხორციელდა 11383 პირზე, აქედან - 6260 მამაკაცი, ხოლო - 5123 ქალი.

დასუფთავებისთვის მოსაკრებლის საფასურის დაფარვის ღონისძიების ფარგლებში წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა განხორციელდა საშუალოდ - 16252 ბენეფიციარზე, აქედან - 8938 მამაკაცი, ხოლო - 7314 ქალი.

სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვის ღონისძიების ფარგლებში მომსახურეობით სარგებლობს ყოველთვიურად საშუალოდ 397 ბენეფიციარი.

გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება გაუქურამდე ერთი წერტილის გათვალისწინებით ფარგლებში 20 ბენეფიციარზე გაიცა ვაუჩერი, აქედან - 8 მამაკაცი, ხოლო - 12 ქალი.

ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირის ტალონი გადაეცემა 112 პირს, აქედან - 99 მამაკაცი, ხოლო - 13 ქალი.

მიღწეული შედეგები:

მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 3 588,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 163,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 88,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარება გაეწია 15 თებერვალს სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ 3 ვეტერანს (მამაკაცი). 9 მაისი - II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 7 ქალ ვეტერანს. 27 სექტემბერი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები და დაღუპულთა ოჯახის წევრები - ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 70 ოჯახს, აქედან - 14 ქალი, 56 მამაკაცი. ახალ წელთან დაკავშირებით - მატერიალური დახმარებით ისარგებლა - 80-მა ვეტერანმა, 17 ქალი, 63 მამაკაცი.

შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის ღონისძიების ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწია 69 ბენეფიარს, აქედან - 37 ქალი, 32 კაცი.

ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემდეგ მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით - ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 100 ოჯახს, აქედან - 47 ქალი, 53 მამაკაცი.

ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მოთხოვნა არ დაფიქსირებულა.

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, ბათუმში რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარების, რეინტეგრირებული ოჯახების, უდემამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება ღონისძიების ფარგლებში - საშუალოდ ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწია 3161 ბენეფიციარს, მათ შორის: 0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 შვილიან, 4 შვილიან, 5 და მეტი შვილიან ოჯახებს, ასევე 5 და მეტი

შვილიან ოჯახებს, უდემამო ბავშვებს, მარტოხელა მშობლებს (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა), 30 წლის ასაკის ჩათვლით შშ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველი ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვებს, 18 წლამდე შშმ პირებს ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით. აქედან - 1897 მამაკაცი ბენეფიციარია, ხოლო 1264 - ქალი.

სსიპ ქ. ბათუმის №13 და №17 საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის სუბსიდირების ფარგლებში მომსახურეობით სარგებლობს საშუალოდ ყოველთვიურად 20 ბენეფიციარი - აქედან 7 ბიჭი, 13 გოგო.

0-30001-მდე ქ. ბათუმის სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება (თვიურად 30 ლარი (იანვარი-მარტი) - სუბსიდირება გაეწია 930 ოჯახს. აქედან 538 მამაკაცი, 392 ქალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 231,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 828,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირების ფარგლებში მომსახურეობით ისარგებლა 39 000-მა ბენეფიციარმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება.

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 424,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 351,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მოხუცებულთა სავანეში სერვისის მიმღებ პირთა დახმარება ღონისძიების ფარგლებში მომსახურებით სარგებლობს 127 ბენეფიციარი, აქედან - 61 ქალი, 66 მამაკაცი.

ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების ღონისძიების ფარგლებში მომსახურებით სარგებლობს - 108 ბენეფიციარი, აქედან - 44 ქალი, 64 მამაკაცი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები .

მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 6 841,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6 159,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

არსებული პროგრამა მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მომსახურების გაწევა ხორციელდება 6 მუნიციპალური სასადილოს საშუალებით. საანგარიშო პერიოდში (2024 წლის IV კვარტალი) სააგენტომ მომსახურება გაუწია 7650 ბენეფიციარს. მომსახურებით ისარგებლეს იმ მოქალაქეებმა, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მინიჭებული აქვთ 0-დან 65000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა და წარმოადგინეს განცხადება. ასევე განხორციელდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული იმ მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას.

საახალწლოდ, სააგენტოს ყველა ბენეფიციარს დაურიგდა სხვადასხვა სასურსათო პროდუქტებისა და ტკბილეულისაგან შემდგარი საახალწლო ნობათი.

საანგარიშო პერიოდში უფასო მუნიციპალური სასადილოების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, განხორციელდა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა-განახლება. (მიმდინარე რემონტი N2 და N5 სასადილოებში) და ქვეპროგრამით განსაზღვრული სხვა სამეურნეო სახის ღონისძიებები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

7650 ბენეფიციარზე ყოველთვიურად გაიცა სასურსათო კალათა.

დროებითი ღამის თავშესაფარი (პროგრამული კოდი 06 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 944,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 767,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 81,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მამია ვარშანიძის ქ. N71-ში მდებარე დროებითი მუნიციპალური თავშესაფრის შენობა გათვლილია 70 ბენეფიციარზე, თუმცა საანგარიშო პერიოდში, მომართვიანობიდან გამომდინარე, მომსახურება გაეწია საშუალოდ 36 ბენეფიციარს. შენობა თავისი ინფრასტრუქტურით და აღჭურვილობით აკმაყოფილებს დღეისათვის არსებულ უმაღლეს სტანდარტებს. საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართათვის უზრუნველყოფილი იყო: ღამის გათევა, ორჯერადი კვება (საუზმე, ვახშამი) და სუფთა ტანსაცმელი, პირველადი და სტაციონარული (გადაყვანით) სამედიცინო დახმარება, სოციოლოგ-ფსიქოლოგის მომსახურება, ინტერნეტი, ტელევიზია და ა.შ. ყოველდღიურად მიმდინარეობდა რეგულაციებით გათვალისწინებული სადებიზინფექციო, სადებიზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 131,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 130,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის დაფინანსება ღონისძიების ფარგლებში ცენტრს უფინანსდება იჯარის, საკანცელარიო და კომუნალური ხარჯები.

განხორციელდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა, კერძოდ: ჩატარდა სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია, შემოქმედებითი სადამოეპი, თარიღების აღნიშვნა და სხვა). გაცვლითი ვიზიტები ბენეფიციარების, თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის-2, ტრენინგები სკოლებში

სამოქალაქო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების კუთხით 35. სისხლის უფასო დონაციები და მონაწილეობა სისხლის ბანკის შექმნაში -3. ვოლონტიერების გადამზადება და მათი ჩართვა საგანგებო სიტუაციების დროს მოქალაქეთა დახმარების მიზნით -25. გამწვანებისა და დასუფთავები აქციები 5, პირველადი დახმარების სწავლებისათვის სიმულაციური ვარჯიშები სასწავლო დაწესებულებებში-26. ინფექციური დაავადებების პრევენციის კუთხით სალექციო კურსის ჩატარება 15."

ა(ა)იპ იალქანის მხარდაჭერის ღონისძიების ფარგლებში კომუნალური, მიმდინარე აქტივობების და საოფისე ხარჯები დაფინანსდება მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერის ღონისძიება ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერის ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯები. ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის„ ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა - მოხდა საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯების დაფინანსება.

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა - განხორციელდა საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯების დაფინანსება.

შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირების ღონისძიების ფარგლებში (5 პირისათვის) - „ხელი ხელს“ ცენტრის ბენეფიციარებს 24 საათიან რეჟიმში მიეწოდებოდათ სხვადასხვა სერვისი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო აქტივობებს, ფსიქოლოგიის მომსახურებას, კვებას, პირადი ჰიგიენის დაცვას და სხვა.

ა(ა)იპ „თანას“ დაფინანსება, რომელიც ახორციელებს შშმ პირთა მხარდაჭერის პროგრამებს, მხარდაჭერის ღონისძიების ფარგლებში კომუნალური, მიმდინარე აქტივობების და საოფისე ხარჯები დაფინანსდა მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა, უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება

ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 4 178,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4 012,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი 96,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

აღნიშნულ პროგრამაში კლასიფიცირდებოდა სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებზე გამოყოფილი ერთჯერადი მატერიალური დახმარებები.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 09)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 120,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 89,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74,7%.

პროგრამის აღწერა:

სამშენებლო ვაუჩერის გაცემა ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა ვაუჩერის ფორმა და ამ ეტაპზე 2000 ლარიანი სამშენებლო ვაუჩერი, რომელიც გულისხმობს სახლის რეაბილიტაციისათვის სამშენებლო მასალების შეძენას, გაცემულია 44 ბენეფიციარზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 10)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 256,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 221,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად სარგებლობს 19 პირი. აქედან - 8 ქალი, 11 მამაკაცი.

მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების ასისტენტით მომსახურებით ისარგებლა 36 პირმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირები უზრუნველყოფილი არიან გამცილებლის სერვისით

მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 11)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 286,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 212,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

დღის ცენტრის მიერ გაწეული სერვისის ფარგლებში მომსახურებით სარგებლობს 56 ბენეფიციარი, აქედან - 24 გოგო, 32 ბიჭი. შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიების ფარგლებში მომსახურებით სარგებლობს - 20 ქალბატონი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოზარდებში განხორციელდა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების, ფსიქო-სოციალური ფუნქციების, საგანმანათლებლო აქტივობების და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობა.

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა (პროგრამული კოდი 06 03)

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი (პროგრამული კოდი 06 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 90,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 90,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია ჩამონაბანის აღება (6500 ერთეული), კალორაჟის განსაზღვრა ბაღებსა და უფასო მუნიციპალურ სასადილოებში (210 ერთეული), განათების კოეფიციენტის განსაზღვრა სკოლებში (120 ერთეული), სტომატოლოგიური კაბინეტების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე (180 ერთეული), აუზის წყლის ქიმიურ ბაქტერიოლოგიური კვლევა (26 ნიმუში), სადებიზნეფციო საშუალებების ქიმიური კვლევა (35 ნიმუში), კვების პროდუქტების მონიტორინგი მუნიციპალურ სასადილოებში (96 ნიმუში).

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის ღონისძიებები.

დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 451,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 445,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში სამუშაოები ჩატარდა შემდეგი მიმართულებებით: 1. მრავალსართულიანი 890 საცხოვრებელი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია (140,3 ჰა); 2. ქალაქის ტერიტორიის (მრავალბინიანი და იტალიური საცხოვრებელი სახლების) დერატიზაცია ყოველთვიურად 1140 ობ. (877800კვ.მ); 3. ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია 355 ობიექტი (319500 კვ.მ); 4. ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია (3000); 5. ქალაქის ტერიტორიის (ღია არხები, დაჭაობებული ტერიტორიები) დეზინსექცია (24 ჰა) ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასახურების მეთოდით, პრეპარატის შესხურებას დასაცავი ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსოების გარშემო შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში (სულ-70000კვ.მ), კრაზანების (ბუდეს) საწინააღმდეგოდ ღონისძიებების გატარება (სულ-90).

მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები.

უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 478,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 478,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა უპატრონო ცხოველების (მალი, კატა) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: 2000 ცხოველის დაჭერა და ტრანსპორტირება, ევთანაზია (ჰუმანური დაძინება ნარკოზით), სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ჭიაზე დამუშავება, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, კომპლექსური ვაქცინაცია და დაბირკვა, ასევე ბუნებრივ არიალში გაშვებული დაბირკული გასტერილებული ცხოველების ეტაპობრივი გამოყვანა ქალაქის ტერიტორიიდან და ტრანსპორტირება

ვეტერინალურ კლინიკაში, ზრდასრული ცხოველების ჭიაზე დამუშავება ცოფის საწინააღმდეგო რევაქცინაცია, კომპლექსური ვაქცინაცია და მასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ცხოველების ლეშის (სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სიკვდილით) დროული გამოყვანა სპეციალური ტრანსპორტით და კრემაცია (კრემატორიუმში) მოზარდი ცხოველების (ლეკვი კნუტი) დაჭერა ქალაქის ტერიტორიაზე და ტრანსპორტირება თავშესაფარში (ვეტერინალური კლინიკა) მოვლა პატრონობის მიზნით.

➤ მიღწეული შედეგები:

მაწანწალა ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები განხორციელებულია.

პრიორიტეტი: ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

ქალაქის ურბანული განვითარება (პროგრამული კოდი 07 01)

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 698,9 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება არ განხორციელებულა; აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მიმდინარეობს წარმოდგენილი დოკუმენტაციების, გეგმების მონახაზების შეჯერებული ვერსიის მიღება-ჩაბარების პროცესი, რაც მოითხოვს, სხვადასხვა უწყებების დასკვნებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ვერ მოხდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

პროგრამის აღწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2021 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დაევალა მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დაგეგმვა და სათანადო შედეგების, შუალედური და საბოლოო დოკუმენტების სახით მიწოდება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეტაპების ნაწილი შესრულდა 2021-2022- 2023 წლებში.

2024 წელს „მიმწოდებელი კომპანიის“ ანუ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ მოწოდებული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4.2 ეტაპი - გეგმების მონახაზების შეჯერებული ვერსია, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს კონცეფციას, რის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმენტის საბოლოო გეგმა.

წარმოებაში არსებული 4.2 ეტაპი - გეგმების მონახაზების ეტაპის შეჯერებული ვერსია კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს „სხვა ადმინისტრაციული ორგანოების“ ჩართულობას და მათ მოსაზრება/დასკვნას ამ ეტაპის მიღების პროცესში. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მიერ 4.2 ეტაპის დოკუმენტაცია გადაიგზავნა კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო უწყებებში, საიდანაც ელოდება რეკომენდაციებს.

გამომდინარე იქედან, რომ წარმოდგენილი ეტაპი წარმოადგენს მთავარ დავალებას, კონცეფციას, რასაც უნდა დაეყრდნოს ძირითადი გეგმა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური უნდა დაელოდოს კანონით გათვალისწინებულ „სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს“ შესაბამისი პასუხებისათვის.

სამსახურსა და ა(ა)იპ „სიტი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია (გამოიხატება ოფიციალური წერილებით და საჯარო შეხვედრებით) ქალაქის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტის გამართულად, ეფექტურად და სრულყოფილად მიღების მიზნით.

მუნიციპალური კვლევების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 27,0 ათასი ლარი; ფაქტიური ხარჯი არ განხორციელებულა. შესყიდვის პროცედურების და ტექნიკური პირობების შეთანხმება პროექტის წამყვან პარტნიორთან არ იყო დასრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, შესყიდვების პროცესი დაიწყება 2025 წლის I კვარტალში

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მოიპოვა გრანტი 119 073.02 ევროს ოდენობით, რომლის ფარგლებშიც იგეგმება საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით კვლევების ჩატარება ქალაქის ტერიტორიაზე სათბური აირების გაფრქვევების კერების გამოსავლენად და მათი ზეგავლენების გაზომვა/დოკუმენტირება, მომზადდება შესაბამისი (დიგიტალური) რუკა და ანგარიში კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია-შერბილების ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებით.

ბათუმის მუნიციპალიტეტი პროექტს განახორციელებს წამყვან პარტნიორთან - უზუნვოპრუს მუნიციპალიტეტი (თურქეთის რესპუბლიკა) და სხვა პარტნიორებთან - სტამბულის უნივერსიტეტი, სოფოპოლის (ბულგარეთი) და კავალას (საბერძნეთი) მუნიციპალიტეტები - ერთად.

2024 წლის პერიოდში: პარტნიორებმა დაიწყეს 4 სამიზნე ქვეყანაში კლიმატის ადაპტაციის ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ სტრატეგიულ გეგმებში არსებული საკანონმდებლო და პოლიტიკის ღონისძიებების ანალიზი. ანალიზის მთავარი მიზანი სინერგიის ხარისხის და მწვანე დაგეგმარების ამ არსებულ სტრატეგიებში ინტეგრაციის დადგენა იყო, რასთან დაკავშირებითაც სამი ონლაინ შეხვედრა გაიმართა, ასევე პროექტის შიდა და გარე სამიზნე ჯგუფებში განხორციელდა კითხვარის გავრცელება, რათა მოხდეს ქალაქის ურბანული სივრცის, თერმული სტრესისა და სითბოს

შემამცირებელი მახასიათებლის გავლენის შესწავლა. შესაბამისად დაიგეგმება განსახორციელებლად შემდგომი ნაბიჯები.

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 02)

მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება (პროგრამული კოდი 07 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 449,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 401,9 ათასი ლარი; პროცენტული მაჩვენებელი - 89,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბათუმი ახალი სტარტაპ ეკო-სისტემა საქართველოში პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები ხორციელდება ევროკავშირის რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში მოპოვებული გრანტით (200000 ევრო) და მუნიციპალური თანადაფინანსებით, ბათუმში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში: ბათუმის ტექ. პაკთან თანამშრომლობით ჩატარდა პრეაქსელერაციის პროგრამა (Hardware Startup Incubator 2.0); GITA-სთან თანამშრომლობით, სტარტაპებისთვის გაიმართა ორ დღიანი ვორქშოპი „იდეიდან პროდუქტამდე“, ჩატარდა VC ინვესტორის და ტექნოლოგიური ანტრეპრენერის დავით ჩეჩელაშვილის საჯარო ლექცია, ბათუმში უკვე მესამედ გაიმართა სტარტაპ სამიტი და სტარტაპების მსოფლიო თასის რეგიონულ და ეროვნულ კონკურსი, გაიმართა სამი შეხვედრა წარმატებულ ქართველ და უცხოელ სტარტაპის დამფუძნებლებთან, განხორციელდა ინტერაქციული სივრცის სარემონტო სამუშაოები და განხორციელდა სივრცის აღჭურვის სამუშაოები, შეიქმნა პროექტის საინფორმაციო და სოც. მედია გვერდები. ინვესტორთა გაერთიანება Axel-თან და Gita-სთან თანამშრომლობით ბათუმში მეორედ ჩატარდა სტარტაპ საინვესტიციო ფორუმი.

დაგეგმილია ინტერაქციული სივრცის გახსნა და ამოქმედება.

მიღწეული შედეგები:

ბათუმმა უმასპინძლა სტარტაპ სამიტს, რომელშიც სილიკონ ველის წამყვან ვენჩურული კაპიტალის ინვესტორებმა და საერთაშორისო ტექ-ლიდერებმა განიხილეს თემები ხელოვნურ ინტელექტზე, ინვესტიციებსა და სტარტაპების განვითარებაზე. 9 ივნისს ბათუმში მყოფი ევროკავშირის ელჩთან მოხდა განხილვა ბათუმში ახალი სტარტაპ ეკოსისტემის შექმნის მნიშვნელობისა და „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ინიციატივის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებისა. ოქტომბერში ბათუმში გამართულ ფორუმში რეგიონული ურბანული ფორუმი მომავლის ქალაქები/Future-Fit Cities მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 200-

მდე წარმომადგენელმა, ხოლო მუნიციპალიტეტებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა, ევროკავშირის ელჩის ჩართულობით და განხორციელდა პორტფელის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

პრიორიტეტი: მუნიციპალური სერვისების განვითარება 08 00

მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 08 01)

ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება (პროგრამული კოდი 08 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 81,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 65,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 80,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

თვითმმართველობის განხორციელებისას ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სისტემის შექმნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ელექტრონული სერვისები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მომსახურების ყველაზე უფრო იაფ, მოსახერხებელ და სწრაფ საშუალებას. მუნიციპალიტეტის სისტემის მოქნილი და ოპერატიული მუშაობისათვის აუცილებელია ელექტრონული ფაილების დაცული შენახვისა და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

მუნიციპალური სერვისების სამსახურის IT მიმართულების სპეციალისტები ემსახურებიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამ ძირითად შენობას - ლ. ასათიანის ქ. N25, მ. ლერმონტოვის ქ. N90ა და სულხან-საბა ორბელიანის ქ. N1; მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ცენტრალურ ოფისსა და 14 ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრებს, ასევე სხვა მუნიციპალურ ორგანიზაციებს.

მუნიციპალური სერვისების სამსახური მუშაობს შემდეგი მიმართულებით: 1) ქ. ბათუმის მერიაში არსებული ბიზნესპროცესების ანალიზი; 2) პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა; 3) ერთიანი ელექტრონული სერვისებისა და გეო-სერვისების პორტალის შექმნა. სამივე მიმართულებით გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები და შეიქმნა კონკრეტული პროდუქტები. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ჩართულობით ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდების თვითმმართველობას ჩართულობისა და სერვისების შეფასების მექანიზმებზე, სადაც მუნიციპალური სერვისების სამსახურის წამომადგენლებმა ახალგაზრდებთან ერთად განიხილეს უკუკავშირის მექანიზმები. მუნიციპალური სერვისების სამსახური დაესწრო ქალაქ ზუგდიდში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის USAID -ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების მიზნით, ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ფარგლებში სამუშაო ფორმატის ფარგლებში შეხვედრას, სადაც ზუგდიდის, ბათუმისა და ჩოხატაურის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გაუზიარეს ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკები მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით.

მუნიციპალური სერვისების სამსახურის IT მიმართულების სპეციალისტების მიერ უზრუნველყოფილი იქნა ქ. ბათუმში, იუსტიციის სახლის მოპირდაპირედ განთავსებული ყინულის ამორტიზირებული შადრევნის ჩანაცვლებული ახალი თანამედროვე დიზაინის კონსტრუქციაზე არსებული IT ინფრასტრუქტურის და ინსტალაციების გამართვა, ასევე ელექტრო-ენერგიით, ინტერნეტით და სხვა საჭირო სერვისებით მომარაგება.

საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა სერვერი ღირებულებით 20972 (ოცი ათას ცხრაასსამოცდათორმეტი) ლარი, სადაც მოხდა არსებული ელექტრონული პორტალების გადატანა, რაც საშუალებას გვაძლევს ინფორმაციის მოცულობის გაზრდასა და უსაფრთხო შენახვაზე.

აქტიურად მიმდინარეობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პორტალზე მუშაობა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა (ბმა) წარმოადგენს მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებული ფართების მესაკუთრეთა გაერთიანებას. ამხანაგობის ფუნქციაა საერთო ქონების, საკუთრების მოვლა პატრონობა და განვითარება. 2019 წელს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით იქნა მიღებული გადაწყვეტილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ელექტრონული პორტალის შექმნის და აღრიცხვაზე დაყენების თაობაზე. 2022 წელს მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ელექტრონული პორტალი (Bma.batumi.gov.ge), რომლის ძირითადი მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებმა ინდივიდუალური ვებ-გვერდიდან შეძლონ ბათუმის მუნიციპალური მერიის პროგრამებში ჩართვა და მიიღონ წვდომა სააღრიცხვო ბარათთან. 2024 წლის მონაცემებით პორტალზე დასარეგისტრირებლად შემოსულია 287 განაცხადი. აქტიურად მიმდინარეობს არსებულ აპლიკაციაზე (fix.batumi.ge) მუშაობა, ყოველდღიურად კეთდება პრობლემების ანალიზი და ეგზავნება შესაბამის სამსახურებს. Fix.baTumi.ge აპლიკაციით შესაძლებელია ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემების შეტყობინების (ინფორმაციის) მობილური გაცვლა, სტატისტიკის წარმოება და სამუშაო პროცესების ეფექტური კონტროლი. დღეის მონაცემებით აპლიკაციაზე დარეგისტრირებულია 22 531 პრობლემური საკითხი, საიდანაც აღმოფხვრილი იქნა 18655 საკითხი, 837 საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის ვებ-გვერდის www.inspection.batumi.gov.ge განახლებაზე, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს ვებ გვერდიდან მარტივად გადაიხადონ ჯარიმები და მიიღონ საჭირო ინფორმაცია. მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ იქნა შემუშავებული ახალი სერვისი ბათუმის ავტოტრანსპორტისთვის, რომელიც მოიცავს მომხმარებლის მიერ ავტომობილების პარკირების საშვის შეძენას. ასევე შეიქმნა ახალი ვებ გვერდი www.batumitransport.ge, საიდანაც მომხმარებლებს შეეძლებათ ავტომობილის პარკირების საშვების შეძენა ვებ-გვერდიდან, ნებისმიერი ბანკის როგორც სწრაფი ჩარიცხვის აპარატებიდან, ასევე ოპერატორებიდან.

➤ მიღწეული შედეგები:

ელექტრონული მომსახურების სისტემა გაუმჯობესებულია.

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო (პროგრამული კოდი 08 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4 558,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4 006,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მუნიციპალური სერვისების მიღების მიზნით, 14 ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრების მიერ მომსახურეობით ისარგებლა სულ 9337 მოქალაქემ. მათ შორის: ჯანდაცვის კუთხით შემოვიდა - 4658, სოციალური უზრუნველყოფის კუთხით - 2524 და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის კუთხით - 2155 განხცადება. ქალაქის მიმდინარე მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მცირე პრობლემა -1287 ერთეული დაფიქსირდა, რომელთაგან უკვე მოგვარებულია - 937. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის“ დებულების, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ და სააგენტოს, წესდების მოთხოვნათა შესაბამისად, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ“: 2024 წლის 01 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით იმუშავა : 126 ახალ შემთხვევაზე მათ შორის:- 98 ახალი; 26 მიმდინარე; 3 შემთხვევაში გაეწია ბავშვთა ფსიქოლოგის მომსახურება. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ცხრილის საფუძველზე - გრძელდება მუშაობა 318 ბავშვთან დაკავშირებულ ინფორმაციის მოპოვებაზე. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შუალედური მონაცემები მიაწოდეს 255 ბავშვზე და დაასრულეს მუშაობა აღნიშნულ ცხრილზე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისათვის საჭირო 2 ერთეული დანადგარი - შედუღების აპარატი და კუთხსახეხი (ელემენტზე). განხორციელდა მუნიციპალიტეტის სასაწყობო შენობის სახურავის პროექტის შეძენა. სახურავის შეკეთების სამუშაოების შეფერხება განაპირობა ტენდერის მონაწილის მიერ დიკვალიფიკაციის გამო გასაჩივრებამ, რაც გაჭიანურდა ვადებში. ტენდერში გამარჯვებული სამუშაოს შესრულებას ვერ დაასრულებდა საანგარიშო პერიოდში, შესაბამისად ირღვეოდა ერთწლიანი შესყიდვის პირობები. შესაბამისად შეწყდა ხელშეკრულება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისების მიწოდება „ერთი ფანჯრის პრინციპით“.

მუნიციპალური სერვის-ცენტრების მშენებლობა (პროგრამული კოდი 08 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 215,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 982,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 80,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სერვისცენტრების მშენებლობა:

1. აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის მშენებლობა - დასრულდა ერთ სართულიანი, ოთხ კაბინეტიანი, 80 კვ.მ. ფართის სერვისცენტრის მშენებლობის სამუშაოების წარმოება.
2. კახაბრის ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის მშენებლობა - დასრულდა ერთ სართულიანი, ოთხ კაბინეტიანი, 80 კვ.მ. ფართის სერვისცენტრის მშენებლობის სამუშაოების წარმოება.
3. ბაგრატიონი 2-ის ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის მშენებლობა - დასრულდა ერთ სართულიანი, ოთხ კაბინეტიანი, 80 კვ.მ. ფართის სერვისცენტრის მშენებლობის სამუშაოების წარმოება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მიმდინარეობს მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება.

თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა (პროგრამული კოდი 08 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 228,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 162,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 70,8%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წლის I, მე-II, მე-III და მე-IV კვარტალში განხორციელებულია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების პასპორტიზაცია, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შეძენას, მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების შეძენას, არსებული ნახაზების დაყოფას, არსებული ნახაზების კორექტირებას, არსებული ნახაზების გაერთიანებას, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაკვალვას, ხაზობრივი ნაგებობების მიწისქვეშა და მიწისზედა აზომვითი ნახაზების შეძენას. კერძოდ, განხორციელდა 33319,26 კვ.მ. შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების დამზადება, მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების (პირველადი რეგისტრაცია, გაყოფა, გაერთიანება, კორექტირება) ჩატარება განხორციელდა 263 (ცალი) ერთეულის და შესრულდა 23 (ცალი) ერთეული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაკვალვითი სამუშაოები.

2024 წლის I, მე-II, მე-III და მე-IV კვარტალში განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონების, მათ შორის აქციებისა და წილის აუდიტორიული შეფასების დასკვნების მომზადება (ქონების საბაზრო და საიჯარო ღირებულების დადგენა), კერძოდ, 214 ერთეული ქონების აუდიტორული შეფასების დასკვნის მომზადება;

- 2024 წლის I, მე-II, მე-III და მე-IV კვარტალში განხორციელდა ელექტრონული აუქციონის განცხადების განთავსება და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურების კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებულია ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურება. "

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა.

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია (პროგრამული კოდი 08 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 6 433,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 827,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,6%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2024 წლის მონაცემებით ადმინისტრაციული ზედამხედველობის ყველა მიმართულებით გამოწერილია სულ 138 საჯარიმო ოქმი და საჯარიმო ქვითარი, აქედან, გადახდილი ოქმებისა და ქვითრების რაოდენობამ შეადგინა 62 ერთეული, 18 ოქმის აღსრულება შეწყდა სასამართლოს მიერ, 7 ოქმზე გაიცა სიტყვიერი შეინშვნა, ხოლო აღსრულების მიერ ამოღებულია წინა წლის 27 ერთეული ოქმის თანხა, დანარჩენ ოქმებზე და ქვითრებზე მიმდინარეობს სასამართლო განხილვები, გაგზავნილია სააღსრულებო ბიუროში თანხების ამოღების მიზნით. სამშენებლო ზედამხედველობისა და უსაფრთხოების კუთხით სულ გამოიწერა 545 დადგენილება დაჯარიმებაზე, ბიუჯეტში 2024 წელს ჩარიცხულია და იძულების წესით ამოღებულია 2024 წლის 69 დადგენილების თანხა, ხოლო 2023 წლის 62 დადგენილების თანხა, გარდა ამისა მიმდინარეობს სასამართლო განხილვები თანხების ამოღების მიზნით; პარკირებისა და ტრანსპორტის ზედამხედველობის კუთხით გამოწერილია სულ 85382 ერთეული ჯარიმა, აქედან საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო დაჯარიმდა 82 ორგანიზაცია, აქედან 62 ოქმი გადახდილია, უბილეთო მგზავრობის გამო 8766 ოქმი, გადახდილია 5274 ოქმი, პარკირების წესების დარღვევაზე გამოწერილია 76534 ჯარიმა, საიდანაც გადახდილია 60937 ერთეული ჯარიმა, ევაკუაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 373634 ლარი (საჯარიმო სადგომზე გადმოყვანილია 3428 ავტომანქანა), გადაუხდელობაზე იგზავნება სააღსრულებო ფურცლები, რათა მოხდეს თანხების ამოღება იძულების წესით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო პარკირებისათვის საჭირო აპარატების (პადები) შესყიდვა 60 000 ლარის ღირებულებით, 2 ცალი ხმაურმზომის შესყიდვა 10 000 ლარის ღირებულებით და ასევე საპარკინგე საჯარიმო სივრცის მოწყობა და აღჭურვა 88 325 ლარის ღირებულებით. პადებისა და ხმაურმზომის შესყიდვა ვერ განხორციელდა.

რაც შეეხება საპარკინგე საჯარიმო სადგომის მოწყობას და აღჭურვას ხელშეკრულება გაფორმდა მომწოდებელთან 2024 წლის 28 ოქტომბერს, მაგრამ მომწოდებელმა ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, რის გამოც დაჯარიმებულ

იქნა და დაეკისრა პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების გამო. აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 2025 წლის 31 მარტამდე.

მიღწეული შედეგები:

გამოვლენილია სამართალდარღვევები ადმინისტრაციული ზედამხედველობის კუთხით, სამშენებლო და უსაფრთხოების ზედამხედველობის კუთხით, სანიტარული ზედამხედველობის კუთხით, ასევე პარკირების ზედამხედველობის კუთხით.

2.3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა (3 თვე)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	442 276,9	86 074,2	84 591,1
გადასახადები	115 911,9	15 970,0	17 098,5
გრანტები	232 479,0	46 819,2	41 230,1
სხვა შემოსავლები	93 886,0	23 285,0	26 262,5
ხარჯები	268 137,5	72 407,7	58 348,9
შრომის ანაზღაურება	55 447,8	13 281,2	12 457,9
საქონელი და მომსახურება	88 684,1	20 359,8	13 707,5
პროცენტი	6 082,5	149,3	145,0
სუბსიდიები	28 238,5	7 788,7	5 966,5
გრანტები	15,0	5,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	20 952,0	4 799,4	3 453,9
სხვა ხარჯები	68 717,6	26 024,3	22 618,1
საოპერაციო სალდო	174 139,4	13 666,5	26 242,2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	178 288,8	28 439,5	21 897,5
ზრდა	191 288,8	29 439,5	24 754,5
კლება	13 000,0	1 000,0	2 857,0
მთლიანი სალდო	-4 149,4	-14 773,0	4 344,7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-45 000,0	-16 011,0	3 140,1
ზრდა	0,0	0,0	3 140,1
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	3 140,1
კლება	45 000,0	16 011,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	45 000,0	16 011,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-40 850,6	-1 238,0	-1 204,7
კლება	40 850,6	1 238,0	1 204,7
საშინაო	40 850,6	1 238,0	1 204,7
ბალანსი	0	0	0

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება


დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	455 276,9	87 074,2	87 448,1
შემოსავლები	442 276,9	86 074,2	84 591,1
არაფინანსური აქტივების კლება	13 000,0	1 000,0	2 857,0
გადასახდელები	500 276,9	103 085,2	84 308,1
ხარჯები	268 137,5	72 407,7	58 348,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	191 288,8	29 439,5	24 754,5
ვალდებულებების კლება	40 850,6	1 238,0	1 204,7
ნაშთის ცვლილება	-45 000,0	-16 011,0	3 140,0

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 87 448,1 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2025 წლის მთლიანი გეგმიური მაჩვენებლის 19,2%, ხოლო კვარტალთან მიმართებაში 100,4%. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 17 098,5 ათასი ლარი (შემოსულობების - 19,6%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 41 230,1 ათასი ლარი (შემოსულობების - 47,1%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 26 262,5 ათასი ლარი (შემოსულობების - 30,0%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 2 857,0 ათასი ლარი (შემოსულობების - 3,3%).

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის
3 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები**



#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის ბეგმა	2025 წლის 3 თვე			
			ბეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	442 276,9	86 074,2	84 591,1	-1 483,1	98,3%
1,1	გადასახადები	115 911,9	15 970,0	17 098,5	-2 773,0	107,1%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	232 479,0	46 819,2	41 230,1	-3 035,4	88,1%
1,3	სხვა შემოსავლები	93 886,0	23 285,0	26 262,5	7 031,6	112,8%
2	არაფინანსური აქტივების კლება	13 000,0	1 000,0	2 857,0	345,3	285,7%
ჯამი		455 276,9	87 074,2	87 448,1	-1 137,8	100,4%

შემოსავლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 86 074,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მოხილზებული იქნა 84 591,1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98,3%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ-მარტის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 17 098,5 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 15 970,0 ათასი ლარის 107,1%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 19,6%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ-მარტის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, ქონების გადასახადის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა – 740,7 ათასი ლარი, კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 502,6 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 0,05 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 149,3 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 20,3

ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 68,5 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 15,700.0 ათას ლარს, საკასო - 16 357,8 ათას ლარს, შესრულდა 104.2%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 6 946,4 ათასი ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 9 411,4 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარება და გრანტები

2025 წლის 3 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 41 230,1 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 46 819,2 ათას ლარს, გეგმა შესრულდა 88,1%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 41 230,1 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის:

კაპიტალური ტრანსფერის სახით - 20 790,0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 20 301,2 ათასი ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 55,1 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 21 თებერვლის №639 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 55 072 (ორმოცდათხუთმეტი ათას სამოცდათორმეტი) ლარი, ქ. ბათუმში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (6 ოჯახი) დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 55 072 ლარი (100%).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტის ფარგლებში აქტივობების განხორციელებას, პროგრამის სპეციფიკური მიზნის - RSO2.4 მისაღწევად, რაც ეხება კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის პრევენციის ხელშეწყობას მდგრადობას ეკოსისტემაზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით. ბათუმის შემთხვევაში, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ჩატარდება კვლევები ქალაქის ტერიტორიაზე სათბური აირების გაფრქვევების კერების გამოსავლენად და მოხდება მათი ზეგავლენების გაზომვა და დოკუმენტირება, მომზადდება შესაბამისი (დიგიტალური) რუკა და ანგარიში კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია-შერბილების ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებით - 2025 წელს დაგეგმილია 202.1 ათასი ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ იქნა - 31 800 ლარი (სხვა ტრანსფერი) „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა“ (V ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), მაინის ფრანკფურტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის თანხის 50%-ის გადახდის მიზნით. ასევე მიღებულ იქნა მიზნობრივი ტრანსფერი - 190 000 ლარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი - 06 02 10) შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სპეციალიზებული და რეგულარული ასისტირების სერვისის მიწოდების მიზნით (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში).

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 47,1%-ია.

№	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	232 276,9	46 819,2	41 231,6	5 587,6
1,1	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	221,8	79,3	85,3	-6,0
	მიაზნობრივი ტრანსფერი	190,0	47,5	53,5	-6,0
	სხვა ტრანსფერი	31,8	31,8	31,8	
1,2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	232 055,1	46 739,9	41 146,3	5 593,6
	კაპიტალური ტრანსფერი	132 341,0	22 700,0	20 790,0	1 910,0
	სპეციალური ტრანსფერი	99 659,0	23 984,8	20 301,2	3 683,6
	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	55,1	55,1	55,1	
2	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	202,1		-1,5	1,5
2,1	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	202,1		-1,5	1,5
3	უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები			0,01	
3,1	მიმდინარე დანიშნულების გრანტები			0,01	
ჯამი		232 479,0	46 819,2	41 230,1	5 589,1

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2025 წლის 3 თვის საპროგნოზო მოცულობა 23 285,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26 262,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 112,8%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 30,0%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 3 898,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 580,0 ათასი ლარი) 151,1%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 3 471,8 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმის - 2 100,0 ათასი ლარის 165,3%-ს შეადგენს.

- **რენტის** სახით მიღებულია 426,8 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმის (480,0 ათასი ლარი) 88,9%-ია. აქედან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 84,9 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე - 341,9 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 18 878,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18 005,0 ათასი ლარი) 104,9%-ია. აქედან,

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით _ 18 710,6 ათასი ლარი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** _ 357,5 ათასი ლარი;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** _ 0.1 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** _ 16 806,6 ათასი ლარი (კვარტალური გეგმის 105,0%), მათ შორის: *სათამაშო აპარატებიდან* _ 8 129,8 ათასი ლარი; *წამახალისებელი გათამაშებიდან* - 118,8 ათასი ლარი; *სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (კლუბის მაგიდიდან და სამორინეს მაგიდიდან)* - 8 558,0 ათასი ლარი;


- **მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** _ 1 174,3 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმის (1 500,0 ათასი ლარის) 78,3%-ია;

- **სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი** _ 372,1 ათასი ლარი;

- **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** _ 167,7 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 2 946,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 400,0 ათასი ლარის) 122,8%-ია.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული სახით მობილიზებულია 539,6 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმის (300,0 ათასი ლარის) 179,9%-ია.



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავლები	93 886,0	23 285,0	26 281,7
შემოსავლები საკუთრებიდან	6 336,0	2 580,0	3 898,6
პროცენტები	3 900,0	2 100,0	3 471,8
რენტა	2 436,0	480,0	426,8
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	180,0	30,0	84,9
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2 256,0	450,0	341,9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	76 050,0	18 005,0	18 897,4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	76 050,0	18 005,0	18 710,6
სანებართვო მოსაკრებელი	1 500,0	375,0	357,5
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი			0,1
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	68 000,0	16 000,0	16 806,6
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6 000,0	1 500,0	1 174,3
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	550,0	130,0	372,1
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	186,8
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0,0	0,0	186,8
ჯარიმები, სანქციები და საურავები	10 000,0	2 400,0	2 946,1
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1 500,0	300,0	539,6

არაფინანსური აქტივების კლება

2025 წლის 3 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობა 2 857,0 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 1 000,0 ათასი ლარის 285,7%-ია. საიდანაც შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან მიღებულია - 2 847,7 ათასი ლარი, ხოლო შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან 9.3 ათას ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლება) გეგმიური მაჩვენებელი - 16 011.0 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, ფაქტიურმა მაჩვენებელმა (დაგროვება) შეადგინა 3,140.1 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდის ბოლოს (2025 წლის 01 აპრილის მდგომარეობით) ნაშთმა შეადგინა 96,115.4 ათასი ლარი, წლის დასაწყისისათვის (თავისუფალი ნაშთი) არსებული ნაშთის გათვალისწინებით.


დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2025		92 975,3
ნაშთის ცვლილება	-45 000,0	3 140,1
ზრდა	0,0	3 140,1
ვალუტა და დეპოზიტები		3 140,1
კლება	45 000,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	45 000,0	
ნაშთი 01.04.2025		96 115,4

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში


#	გადასახდელების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	37 333,9	7 643,9	5 287,0	69,2%	6,4%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	16 169,6	3 242,6	2 721,0	83,9%	3,3%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	14 814,1	3 984,3	2 421,0	60,8%	2,9%

1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	6 082,5	149,3	145,0	97,1%	0,2%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	267,7	267,7	0,0	0,0%	0,0%
2	თავდაცვა	0,0	0,0	0,0	#DIV/0!	0,00%
3	ეკონომიკური საქმიანობა	145 544,3	39 572,3	35 683,0	90,2%	42,9%
3.2	ტრანსპორტი	144 252,8	39 265,2	35 402,4	90,2%	42,6%
3.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1 291,5	307,1	280,6	91,4%	0,3%
4	გარემოს დაცვა	42 968,7	12 033,7	10 314,4	85,7%	12,4%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	23 430,0	5 850,0	4 194,8	71,7%	5,0%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	19 538,7	6 183,7	6 119,6	99,0%	7,4%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	102 292,4	15 174,3	10 327,2	68,1%	12,4%
5.1	ბინათმშენებლობა	24 341,1	3 096,1	1 223,9	39,5%	1,5%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	21 872,3	3 999,2	3 578,9	89,5%	4,3%
5.3	წყალმომარაგება	37 595,1	3 661,9	2 213,1	60,4%	2,7%
5.4	გარე განათება	7 397,0	1 839,6	1 774,8	96,5%	2,1%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	11 086,9	2 577,5	1 536,5	59,6%	1,8%
6	ჯანმრთელობის დაცვა	9 777,2	1 792,2	1 264,6	70,6%	1,5%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	51 196,1	9 726,6	7 763,2	79,8%	9,3%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	33 904,2	6 840,6	5 491,1	80,3%	6,6%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	17 037,9	2 863,0	2 269,5	79,3%	2,7%

7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	254,0	23,0	2,6	11,3%	0,0%
9	განათლება	50 584,1	10 936,5	8 971,0	82,0%	10,8%
10	სოციალური დაცვა	19 729,6	4 967,7	3 492,8	70,3%	4,2%
გადასახდელის ჯამი		459 426,3	101 847,2	83 103,2	81,6%	100%

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის კრილში

(გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 7 643,9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 5 287,0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 69,2%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), მუნიციპალური საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების, ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის, საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 6,4%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 39 572,3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 35 683,0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 90,2%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 42,9%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების და მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 12 033,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 10 314,4 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 85,7%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის, კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 12,4%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების,

დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებების და ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ხარჯები, პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 15 174,3 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 10 327,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 68,1%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12,4%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 1 792,2 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 1 264,6 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 70,6%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 1,5%-ს. მასში გაერთიანებულია მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის, მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების, ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობის, შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაციის, ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენციისა და რეაბილიტაციის, ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარების, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 9 726,6 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 7 763,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 79,8%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 9,3%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის, ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"-ს, ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბის, კულტურული ღონისძიებების მართვის, ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის, საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის, კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის, ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის, ფოლკლორის ხელშეწყობის, თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობის, ხელოვანთა ხელშეწყობის, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის, შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერის, ახალგაზრდული ცენტრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ხარჯები. **განათლების სფეროზე** გათვალისწინებული იყო 10 936,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 8 971,0 ათას ლარს, ანუ გეგმის 82,0%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის ხარჯები, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10,8%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 4 967,7 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 3 492,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 70,3%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 4,2%-ს. იგი მოიცავს კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების, მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის, მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფის, მუნიციპალური უფასო სასადილოს, მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობისა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირების, დროებითი ღამის თავშესაფარის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურების, მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერის და ერთჯერადი მატერიალური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

#	გადასახდელების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრუ- ლების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	55 447,8	13 281,2	12 457,9	93,8%	14,8%
2	საქონელი და მომსახურება	88 684,1	20 359,8	13 707,5	67,3%	16,3%
3	პროცენტი	6 082,5	149,3	145,0	97,1%	0,2%
4	სუბსიდიები	28 238,5	7 788,7	5 966,5	76,6%	7,1%
5	გრანტები	15,0	5,0	0,0	-	0,0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	20 952,0	4 799,4	3 453,9	72,0%	4,1%
7	სხვა ხარჯები	68 717,6	26 024,3	22 618,1	86,9%	26,8%
8	არაფინანსური აქტივები	191 288,8	29 439,5	24 754,5	84,1%	29,4%
9	ვალდებულებები	40 850,6	1 238,0	1 204,7	97,3%	1,4%
გადასახდელების ჯამი		500 276,9	103 085,2	84 308,1	81,8%	100,0%

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 12 457,9 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 14,8%-ია.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 13 707,5 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 16,3%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 145,0 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 0,2%-ია.

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 5 966,5 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 7,1%.


გრანტების სახით გაწეული ხარჯი საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3 453,9 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 4,1%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 22 618,1 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 26,8%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 24 754,5 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების – 29,4%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 1 204,7 ათასი ლარი, ხვედრითი წილი – 1,4%-ია.



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 3 თვე		
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	63 415,3	4 897,5	4 070,7	83,1%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	3 696,3	862,0	740,8	85,9%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	9 845,1	2 324,3	1 980,2	85,2%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	46 933,1	1 387,3	1 349,7	97,3%
01 04	სარეზერვო ფონდი	2 548,1	56,2	0,0	0,0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	267,7	267,7	0,0	0,0%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	0,0	0,0	0,0	0,0%
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	45,0	0,0	0,0	0,0%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	80,0	0,0	0,0	0,0%
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	266 068,4	60 775,5	52 051,9	85,6%

02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	115 678,1	20 504,9	18 088,3	88,2%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	35 971,7	20 599,9	19 089,0	92,7%
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	57 133,8	9 845,6	8 332,7	84,6%
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი	35 197,3	6 358,1	4 375,5	68,8%
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	1 246,5	300,8	280,3	93,2%
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	14 214,2	1 567,6	1 089,2	69,5%
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	6 626,8	1 598,6	796,9	49,8%
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	42 462,4	9 283,1	7 004,8	75,5%
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	23 430,0	5 850,0	4 194,8	71,7%
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	19 032,4	3 433,1	2 810,0	0,0%
04 00	განათლება	50 584,1	10 936,5	8 971,0	82,0%
04 01	სკოლამდელი აღზრდა განათლება	50 369,1	10 921,5	8 968,0	82,1%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	215,0	15,0	3,0	0,0%

04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0,0	0,0	0,0	0,0%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	32 163,7	6 293,5	4 953,2	78,7%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	8 157,3	2 453,5	2 012,6	82,0%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	6 714,5	954,0	668,5	70,1%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	4 282,4	1 327,6	1 238,4	93,3%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	4 931,9	1 235,4	1 031,1	0,0%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	7 823,6	300,0	0,0	0,0%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	254,0	23,0	2,6	0,0%
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	30 556,7	6 889,1	4 835,0	70,2%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	9 672,3	1 766,0	1 264,6	71,6%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	19 729,6	4 967,7	3 492,7	70,3%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	1 154,8	155,4	77,7	50,0%
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	818,6	587,1	0,2	0,0%
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	773,6	580,8	0,0	0,0%

07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	45,0	6,3	0,2	-
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	14 207,6	3 422,8	2 421,0	70,7%
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	13 207,6	3 422,8	2 421,0	70,7%
08 02	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	1 000,0	0,0	0,0	-
გადასახდელების ჯამი		500 276,8	103 085,1	84 307,8	81,8%

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 3,500,000 ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.7%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

ადგილობრივი ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში შეიქმნა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 300 000 ლარის ოდენობით, 2025 წლის 3 თვეში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილ იქნა 32 256 ლარი.

თავი III. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

დანართი 1

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების 2024-2029 წლების საშუალოვადიანი
ბიუჯეტი

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
	სულ ასიგნებები	412 598,0	554 000,0	645 768,0	653 767,6	671 341,2	681 363,5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	51 506,4	64 619,5	65 064,1	60 223,8	65 686,2	58 220,0
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2 795,2	3 696,3	4 065,9	4 269,2	4 269,2	4 482,7
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	7 482,5	9 955,1	10 950,6	11 498,1	11 498,1	12 073,0
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	41 143,5	46 933,1	46 217,6	40 626,4	46 088,8	37 834,3
01 04	სარეზერვო ფონდი		3 500,0	3 500,0	3 500,0	3 500,0	3 500,0
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი		410,0	200,0	200,0	200,0	200,0
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება						
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	10,0	45,0	50,0	50,0	50,0	50,0
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	75,2	80,0	80,0	80,0	80,0	80,0
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	214 942,4	294 845,3	346 538,7	340 965,5	344 892,6	349 263,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	85 268,0	122 137,9	114 494,1	135 055,4	141 706,8	148 310,4
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	31 663,5	38 728,6	37 185,1	33 225,5	35 959,3	38 264,1
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	28 511,6	63 399,6	90 738,6	84 872,4	75 607,6	63 460,6
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	48 059,7	45 583,4	79 435,5	63 039,5	65 741,7	71 455,6
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	990,8	1 258,0	1 248,5	1 500,0	1 500,0	2 100,0

02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	16 948,4	17 164,4	13 076,3	12 571,5	13 066,0	13 631,3
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	3 500,5	6 573,4	10 360,6	10 701,2	11 311,2	12 041,8
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	41 712,2	54 513,4	60 034,3	59 783,3	64 314,0	65 122,3
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	18 310,4	23 430,0	25 595,7	27 643,3	29 854,8	29 025,5
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	23 401,9	31 083,4	34 438,6	32 140,0	34 459,2	36 096,8
04 00	განათლება	40 069,9	54 591,3	61 760,8	69 672,2	75 581,4	81 869,4
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	39 894,9	54 376,3	61 434,8	69 346,2	75 220,4	81 493,4
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	175,0	215,0	326,0	326,0	361,0	376,0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	23 854,6	39 259,7	54 140,3	63 809,8	70 287,8	76 050,7
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	7 205,1	8 402,6	12 758,2	13 377,2	14 001,0	14 624,9
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	7 179,1	11 819,4	21 881,4	29 635,2	32 928,1	36 230,3
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	4 024,2	4 512,4	5 855,3	6 668,9	7 569,1	7 961,9
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	4 378,0	4 958,6	6 540,2	6 980,1	7 522,0	8 265,9
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	800,8	9 312,7	6 460,9	6 500,0	7 600,0	8 300,0
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	267,5	254,0	644,2	648,4	667,7	667,7
06 00	ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	29 067,2	29 674,5	31 616,1	32 783,6	32 999,2	32 998,7
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	8 492,4	9 720,9	9 958,6	10 164,6	10 370,9	10 370,4
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	19 560,7	18 798,8	20 452,6	21 459,1	21 468,4	21 468,4
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	1 014,1	1 154,8	1 204,9	1 159,9	1 159,9	1 159,9
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	401,9	1 267,9	565,2	184,0	195,5	235,0
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	0,0	1 222,9	495,2	109,0	115,5	150,0
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	401,9	45,0	70,0	75,0	80,0	85,0
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	11 043,4	15 228,4	26 048,4	26 345,3	17 384,4	17 603,8

08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	11 043,4	14 228,4	25 048,4	25 345,3	16 384,4	16 603,8
08 02	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	0,0	1 000,0	1 000,0	1 000,0	1 000,0	1 000,0

პრიორიტეტის დასახელება: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

პრიორიტეტის კავშირი შემდეგ მიმართულებებთან:

1. კომუნალური სერვისების გაუმჯობესება;
2. ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები და საბინაო პოლიტიკა;
3. მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება;

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
2. მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის;
3. მიზანი 6 - წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;
4. მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა;
5. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პრიორიტეტის დასაბუთება:

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ წინაპირობას მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი წარმოადგენს, რაც უშუალო კავშირშია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებასთან. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად ქალაქის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია მისი პირდაპირი კავშირი ქალაქში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებთან. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში უკავშირდება ქალაქში ტურიზმის განვითარებას. ასევე, გარდა ეკონომიკური განვითარებისა, თავის მხრივ, გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურის არსებობა ხელს უწყობს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

- მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა;
- ეფექტური კომუნალური მომსახურების დანერგვა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე;
- ეფექტური და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისების განვითარება;

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა;
- ქალაქის კეთილმოწყობა.

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის დასაბუთება:

ქალაქისათვის მნიშვნელოვანია საგზაო - სატრანსპორტო სისტემების მდგრადი განვითარება და ქალაქის საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის გაუმჯობესება.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობა მდგომარეობს, რათა მოხდეს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადაადგილება, მგზავრობის დროის დაზოგვა, ქალაქში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნა, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირება, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვა,

მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება და საჭიროების მქონე ყველა პირზე მორგებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, გარე განათების ქსელის განვითარება. ზემოთ ხსენებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად უნდა მოხდეს ცენტრალური გზების განტვირთვა, შესაბამისად ქუჩები გახდება მეტად გამტარუნარიანი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ქალაქში არსებულ საცობებს.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 01

პროგრამის მიზანი:

ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამა: სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება

პროგრამის დასაბუთება:

ქალაქ ბათუმისთვის მდგრადი სატრანსპორტო სისტემის განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, რაც შეესაბამება როგორც ეროვნულ დონეზე დასახულ მიზნებს და ამოცანებს, ასევე 2030-ის დღის წესრიგს. აღნიშნული მიზანი ქალაქმა ჯერ კიდევ 2014 წლის მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმით დაისახა, რომელიც დაედო კიდევ საფუძვლად არაერთი დოკუმენტის შემუშავებას, საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობასა თუ პროექტის განხორციელებას. პოლიტიკის დოკუმენტების სისტემაში მნიშვნელოვანია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შემუშავებული ქ. ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების ინტეგრირებული გეგმა, რომელიც არის კომპლექსური დოკუმენტი, მასში წარმოდგენილია მდგრადი სატრანსპორტო სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები და შემოთავაზებულია შესაბამისი ღონისძიებები.

აღსანიშნავია, ასევე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით შემუშავებული ბათუმის ველო-გადაადგილების გენერალური გეგმა.

ბათუმის ავტობუსების პარკი სრულად განახლებულია, ქალაქს ემსახურება 174 ერთეული ავტობუსი (EURO 5 და EURO 6 სტანდარტის დიზელის და ელექტრო ავტობუსები) და 98 M2 კატეგორიის ავტობუსი. გორგილადის, ჭავჭავაძის და ბარათაშვილის ქუჩებზე მოქმედებს ავტობუსების სპეციალური სავალი ზოლი (BUS LANE). 7 ლოკაციაზე მოქმედებს საათობრივი (ფასიანი) პარკირების ადგილები, მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში მოწყობილია ველო-გაჩერებები 12 ლოკაციაზე, ველოსიპედების სარემონტო პუნქტები (თვითმომსახურება) 5 ლოკაციაზე, მოქმედებს ავტობუსებში გაჩერებების გამოცხადების ხმოვანი სისტემა. ავტობუსები სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში 2024 წლის 25 ივნისს მთავრობებს შორის ხელი მოეწერა სასესხო (შეღავათიანი სესხი) და საგრანტო შეთანხმებებს (რატიფიკაციის თარიღი: 17.09.2024წ) პროექტის „მდგრადი ურბანული მობილობა ბათუმში“ განსახორციელებლად, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების (ITS) განვითარება, მათ შორის მართვის ცენტრის შექმნა და არსებული შუქნიშნების განახლება/შეცვლა (ახალი წერტების მოწყობა). პროექტის მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება უშუალოდ მდგრადი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა - პრიორიტეტი მიენიჭა ველოგადაადგილების გენერალური გეგმით დასახული ველოქსელის მოწყობისა და შერჩეულ ორ დერეფანზე ავტობუსების სპეციალური სავალი ხაზების გაფართოება-მოწყობის საკითხს. პროექტის განხორციელებით შეიქმნება ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, რომლის მეშვეობით მოხდება მგზავრთა და სატრანსპორტო ნაკადების მართვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მისთვის (ასევე სასწრაფო და სახანძრო მანქანებისთვის) პრიორიტეტის მინიჭება, შედეგი მნიშვნელოვნად აისახებ საცობების, ჰაერის და ხმაურით დაბინძურების, სათბური აირების ემისიების შემცირებაზე. უკვე ჩატარდა დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში, რომლის საფუძველზეც უახლოეს პერიოდში შეთანხმდება პროექტის კონკრეტული ღონისძიებები, შედგება საინვესტიციო და სამოქმედო გეგმები და ხელი მოეწერება განსაკუთრებულ შეთანხმებას მუნიციპალიტეტსა და KfW ბანკს შორის.

2024 წლიდან ბათუმი ჩართულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (GIZ) პროექტში, რომელიც ითვალისწინებს ურბანული ლაბორატორიის გზით, Mobility4Cities ფარგლებში მომზადებული „მკვლი ბათუმის ფეხით გადაადგილების კონცეფციის“ დატესტვის მიზნით, საპილოტე პროექტის განხორციელებას, რაც ფინანსდება დონორის მიერ (მუნიციპალიტეტის დაფინანსება 10%). GIZ-თან თანამშრომლობა მიმდინარეობს კიდევ ერთი პროექტის Conect Georgia-ს ფარგლებში, რომელიც

ითვალისწინებს ტრანსპორტის სფეროში გამოცდილი ექსპერტების მხარდაჭერას ტექნიკურ საკითხებში და რამდენიმე მცირე საპილოტე პროექტების შემუშავებას სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 02

პროგრამის მიზანი:

სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;
- სატრანსპორტო სისტემის განვითარების თანადაფინანსება

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის დასაბუთება:

მუნიციპალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მოქალაქეთა საბაზისო, ღირსეული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემები.

ბათუმში 2008-2021 წლებში, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (KfW) თანამშრომლობით (შელავათიანი სესხი/გრანტი), წარმატებით განხორციელდა საქართველოში ერთ-ერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი - ბათუმის წყალმომარაგების, წყალარინების და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია-განვითარება - მოეწყო წყალარინებისა და წყლის სისტემების მაგისტრალური და სამომხმარებლო ქსელები, სანიაღვრე სისტემები (მათ შორის რეაბილიტირებულ იქნა სანიაღვრე კოლექტორები, მოეწყო სანიაღვრე სატუმბი სადგურები) ადგილის წყალგამწმენდი ნაგებობა, წყლის რეზერვუარები და სათავე ნაგებობები, პროექტმა მოიცვა ქალაქის ძველი ადმინისტრაციული საზღვრები და ახალსოფელი-გონიო-კვარიათის ნაწილი. პროექტის პარალელურად განხორციელდა სახლების ქსელზე დაერთება მუნიციპალური ბიუჯეტიდან. ყოველივე აღნიშნულმა

გამოიწვია წყლის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება წყლის ციკლის მასშტაბით, შპს „ბათუმის წყალი“ აღიჭურვა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, იგი საქართველოში პირველი კომპანიაა, რომელმაც წყალმომარაგების სექტორში საერთაშორისო სტანდარტებისა და ახალი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზაცია გაიარა, შედეგად რეაბილიტირებულ ტერიტორიაზე სრულად გაიმართა სასმელი წყლის ქსელი და გაუმჯობესდა წყლის ხარისხი.

ქალაქის მიზანია წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების განვითარება უზრუნველყოფილ იქნას შემოერთებულ ტერიტორიებზეც, აღნიშნულისათვის გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროექტის გაგრძელებაზე (მეხუთე ფაზა), KfW ბანკმა გამოყო 53 მლნ შეღავათიანი სესხი და 2 მლნ გრანტი, სახელმწიფოებს შორის შეთანხმებას ხელი მოეწერა 2022 წლის დეკემბერში, ხოლო 2023 წელს გაფორმდა განსაკუთრებული შეთანხმება ბანკსა და ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის, ასევე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას პროექტის აღმასრულებელ კონსულტანტთან, რომელმაც უკვე დაიწყო მუშაობა პროექტის გეგმა-გრაფიკის განახლებაზე. დაგეგმილია პროექტის თანადაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტიდან 25 მლნ. ევროს ოდენობით. ამ დროისთვის მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება შემოერთებულ ტერიტორიებზე (კახაბერი, აეროპორტის დასახლება და სამრეწველო ზონა) წყალარინების სატუმბი სადგურებისა და ქსელის მოწყობის ტენდერისთვის.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 03

პროგრამის მიზანი:

ქალაქში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;
- კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის

პროექტის თანადაფინანსება (KfW);

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება

პროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი

პროგრამის დასაბუთება:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით გაიუმჯობესოს ან/და შეიქმნას უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი პირობები.

პრიორიტეტის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია; მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა; მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი; მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი; მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება; მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების მოწყობა; ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;

ბათუმისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქალაქის მასშტაბით არსებული ამორტიზირებული, საცხოვრებლად გამოუსადეგარი, ავარიული საცხოვრებელი შენობები, აღნიშნულის საპასუხოდ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ძველი და არასტაბილური საცხოვრისის პრობლემების დროულად მოგვარება, ქალაქის მოსახლეობის ღირსეული საცხოვრებელი პირობები და ჯანმრთელობის ყოველმხრივი დაცვა, საქართველოს მთავრობამ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტთან ერთად დაიწყო ერთობლივი პროექტი „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“, რომლის ფარგლებშიც 288 მისამართზე შენობას ჩაუტარდა ექსპერტიზა და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე კვლავ მიმდინარებს ეს პროცესი, დაახლოებით 152 ოჯახი, მერიის დაფინანსებით (ქირის გადახდა) გადაყვანილია უსაფრთხო ადგილას, ავარიული შენობებიდან 18-ს უკვე ჩაუტარდა და 4 შენობას უტარდება გამაგრებითი სამუშაოები, განხორციელებულია ზოგიერთი შენობის დემონტაჟი და მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. ეს პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება მომდევნო წლებში.

„ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ („იაფი სახლის“) პროგრამის შემდგომი ეტაპის დაწყება მიმდინარე ეტაპზე არ არის გადაწყვეტილი.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ხელს უწყობს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 04

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქში გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი გარემო.

პროგრამა: მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის დასაბუთება:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს მოვლა-პატრონობაში აქვს 44.3 ჰა მუნიციპალური სასაფლაოებისათვის განკუთვნილი ტერიტორია, სადაც ხორციელდება, როგორც მოვლა-პატრონობის, აგრეთვე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებები. საჭიროა მუდმივი მუშაობა სასაფლაოების ინფრასტრუქტურის განახლება-გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომი მომსახურების სერვისით უზრუნველყოფისათვის. სასაფლაოების პასპორტიზაციის დასრულებით მუნიციპალიტეტს ექნება ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია თავისუფალი, უპატრონო და სამემკვიდრო სასაფლაოების შესახებ. შექმნილი სრული ბაზითა და საფლაავების ნუმერაციით გაადვილდება საფლაავების ძებნისა და მემკვიდრის დადგენის პროცესი. პასპორტიზაციით უკვე მიღებულია პირველი შედეგები, უსახელო საფლაავების მოძიებასა და მეპატრონის დაზუსტების საქმეში, აგრეთვე მნიშვნელოვანია ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა, სასაფლაოზე საფლაავების დასუფთავების, მუშამესაფლაავების სპეციალური უნიფორმითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა, საფლაავებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების გამოყოფა და დაკრძალვის პროცესზე ყოველდღიური მონიტორინგის განხორციელება.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 05

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოკლევადიან პერიოდში უზრუნველყოს მუნიციპალური სასაფლაოების სერვისის ხარისხიანი და შეუფერხებელი მიწოდება და გრძელვადიან პერიოდში გადაჭრას ქალაქის სასაფლაოსთან დაკავშირებული პრობლემები.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაუმჯობესებულია მუნიციპალური სასაფლაოების სერვისის მიწოდება.

პროგრამა: ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის დასაბუთება:

მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია საქალაქო ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანი დაგეგმვა, მართვა და რიგი ფუნქციების გატარება, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის საქალაქო მეურნეობის ინფრასტრუქტურის სტაბილური და შეუფერხებელი მუშაობისა და მომსახურების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური საკითხების კოორდინაცია;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული დარგობრივი სტრატეგიებისა და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებაში, ასევე მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ტროტუარების, პარკების, სკვერების, შადრევნების, გარე განათების ობიექტების, სანიაღვრე არხების, წყალსაცავების, ხიდების და სხვა საქალაქო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, მშენებლობა-აღჭურვა და სხვა;

დ) მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის სფეროს პრობლემატიკისა და პროცესების კვლევა, დარგის განვითარებისათვის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა;

ე) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სექტორის განვითარება და რეაბილიტაციის პროექტების უზრუნველყოფა, დამტკიცებული მუნიციპალური პროგრამების რეალიზაცია; ასევე მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი და დეტალური პროექტების შედგენის შედეგადად; საპროექტო სამუშაოების მაღალი ხარისხით და დროულად განხორციელების შესრულება; პროექტის განხორციელებისას მოსალოდნელ და დამდგარ რისკებზე დროული რეაგირება.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 06

პროგრამის მიზანი:

საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ -საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა;
- საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის, რეაბილიტაციის და განვითარების პროგრამები ხორციელდება შეუფერხებლად.

პროგრამა: ქალაქის კეთილმოწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის დასაბუთება:

ქალაქ ბათუმში სათანადო ყურადღება ეთმობა ქალაქის სადღესასწაულო გაფორმებებს, რადგან აუცილებელია შეიქმნას ბათუმელებისათვის და ქალაქის სტუმრებისათვის სადღესასწაულო განწყობა. უკანასკნელ წლებში ქალაქში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შემოქმედებითი პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების წყალობით გაჩნდა გაფორმების ახალი, უფრო სრულყოფილი საშუალებები. მათი მაქსიმალური დატვირთვით შესაძლებელი გახდება ქალაქის სივრცის ოპტიმალური და ეფექტური გამოყენება სადღესასწაულო და საინფორმაციო თვალსაზრისით.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 02 07

პროგრამის მიზანი:

ქალაქის სადღესასწაულო გარემოს შექმნა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;
- ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, გაუმჯობესებულია ქალაქის იერსახე და შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

პრიორიტეტის დასახელება - ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (03 00)

პრიორიტეტის კავშირი შემდეგ მიმართულებებთან:

1. ქალაქის კომუნალური სერვისების გაუმჯობესება;
2. ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. განახლებადი ენერგიის გამოყენების ზრდა;
3. ქალაქის გამწვანებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქალაქში საცხოვრებელი გარემოს მდგრადი განვითარების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება - ღია/სარეკრეაციო სივრცეების შექმნა, მწვანე საფარის გაზრდა და შესაბამისი მართვის სისტემების დანერგვა, ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტური სისტემის დანერგვა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე.

ბათუმი ჯერ კიდევ 2011 წელს მიუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერების შეთანხმება აღმოსავლეთით“, აიღო ვალდებულება სათბური აირების ემისიების შემცირებაზე და 2014 წელს დაამტკიცა მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედო არაერთი დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებასა თუ პროექტის განხორციელებას გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების მავნე ზეგავლენის შემცირების მიმართულებით.

EBRD-ისა და SIDA-ს მხარდაჭერით ბათუმის მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს ბათუმის მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა (GCAP), რომლითაც განსაზღვრულია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების პრიორიტეტული მიმართულებები და იდენტიფიცირებულია ყველაზე აქტუალური გარემოსდაცვითი გამოწვევები, შემოთავაზებულია შესაბამისი ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი 2019 წლის 24 მაისს შეუერთდა მერების შეთანხმების ოფისის ახალ ინიციატივას „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“ და აიღო ვალდებულება, კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებებთან ერთად ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების გზით, 2030 წლისათვის, მინიმუმ 30%-ით შეამციროს სათბური აირების ემისია საკუთარი ტერიტორიაზე საჯარო სექტორებიდან. ამ ინიციატივის ფარგლებში REC Caucasus დახმარებით მუნიციპალიტეტმა მოამზადა მდგრადი ენერგეტიკისა

და კლიმატის სამოქმედო გეგმის პროექტი. მასში შერბილების ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულია ადაპტაციის ღონისძიებებიც.

პროექტის - „ენერგოეფექტური ღონისძიები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება“ ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობით და რომელსაც გრანტის (გრანტი - 7522000 ევრო; ბათუმის მერიის თანადაფინანსება - 10% (გადასახადები, ეზოს კეთილმოწყობა)) სახით დახმარებას უწევს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), განხორციელდება პროექტის ფარგლებში შერჩეული ბათუმის საბავშვო ბაღების ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით მოდერნიზება (რეაბილიტაცია), რაც ასევე მოიცავს შენობების კაპიტალურ რეაბილიტაციას. 2020 წელს შერჩეულ იქნა პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი, რომელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში კონსულტანტმა მოამზადა 20 საბავშვო ბაღის კონსტრუქციული და ენერგოაუდიტის ანგარიშები. პროექტისთვის შერჩეული ბაღებიდან, მათი მდგომარეობის გათვალისწინებით, გადაწყდა 12 ბაღის ოთხ კლასტერში გადანაწილება და წინასაკვალიფიკაციო ეტაპისა და საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება. პირველ ლოტში შემავალი სამი საბავშვო ბაღის (ბაღები No: 6, 10, 16) სარემონტო სამუშაოები დასრულდება 2025 წლის მე-3 კვარტალში.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

პრიორიტეტის მიზანია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ადამიანსა და გარემოზე დაბინძურების მავნე ზეგავლენის შემცირება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

გარდა საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებისა, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების ზრდის მიმართულებით.

პროგრამა: ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება

პროგრამის დასაბუთება:

სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, გარემოს დაბინძურებისგან დაცვისა და ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა. ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის ბათუმისთვისაც აქტუალურია ნარჩენების სწორად მართვა, დახარისხება და მათი შემდგომში გამოყენება. 2017 წელს ქ.

ბათუმის მუნიციპალიტეტმა ოფიციალურად დაამტკიცა ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა, რომელიც მიმართული იყო 2018-2022 წლებში ნარჩენების მართვის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაზე, ხოლო UNDP-ს მხარდაჭერით შემუშავდა ახალი 2023-2027 წლების ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმა. საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობით დასრულდა საპილოტე პროექტები ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების მიზნით. აგრეთვე საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით შესყიდულია ნარჩენების სეპარირების ხაზი და საპრესი აპარატი (ორი ერთეული), დაწყებულია ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური ურნების განთავსების პროცესი ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში ჩვეულებრივ განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქუჩების, სანაპირო ზოლის და სხვა საჯარო სივრცეების დაგვადასუფთავების, მორწყვა-მორეცხვის, თოვლის საფარისაგან გაწმენდვის სამუშაოები, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება, ასევე გაგრძელდება ნარჩენების მართვის გეგმით დასახული მიზნების, მათ შორის ბათუმის მუნიციპალიტეტში ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების (სეპარირება) და რეციკლირების სისტემების ეტაპობრივი დანერგვის მიღწევისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 03 01

პროგრამის მიზანი:

ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო, უზრუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.

პროგრამა: ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

პროგრამის დასაბუთება:

მწვანე სივრცეებს დიდი წვლილი შეაქვთ გარემოს შენარჩუნებაში. ისინი ფილტრავენ დამაბინძურებლებსა და მტვერს, ასევე უზრუნველყოფენ დაბალი ტემპერატურის შენარჩუნებას ურბანულ ტერიტორიებზე. მწვანე სივრცეები არეგულირებს ჰაერის ხარისხსა და კლიმატს, ამცირებს გლობალური დათბობის უარყოფით ზეგავლენას. ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს გამწვანების გეგმის მომზადებას, დამტკიცებასა და განხორციელებას. სტრატეგიის დოკუმენტი დაეყრდნობა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტს და შესაბამისი მიმართულებების საფუძველზე შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს ქალაქის მწვანე სივრცეების მოწყობის, არსებულის მოვლა-შენახვისა და განვითარების მიმართულებით. მუნიციპალიტეტი ეკოლოგიური მდგომარეობის მდგრადობის მიზნით მიერთებულია სხვადასხვა საერთაშორისო ინიციატივებსა და პროგრამებზე, რომელთა თანახმადაც იღებს გარკვეული სახის ვალდებულებებს. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის მწვანე სივრცეებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის, არსებულის რეაბილიტაციისა და ახალი სივრცეების მოწყობის სამუშაოები.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 03 02

პროგრამის მიზანი:

ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის და გამწვანებული ტერიტორიის გაფართოება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;

- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;

- ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი;

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პრიორიტეტის დასახელება - განათლება (04 00)

პრიორიტეტის კავშირი შემდეგ მიმართულებებთან:

1. ინკლუზიური და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დანერგვა;
2. ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა;
3. ადამიანური კაპიტალის განვითარება.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;

მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა.

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა როგორც ადრეული, ასევე სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. პროგრამის ფარგლებში იგეგმება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება. სააღმზრდელო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა.

მართალია უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი უცხოეთში სტაჟირებისა და დეფიციტურ და მოთხოვნად სპეციალობებზე მომზადება - გადამზადების ხელშეწყობა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ასევე, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადგილობრივი კადრების განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელდება, როგორც განათლების სფეროში მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან

გამომდინარე პროგრამების ასევე, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობი პროგრამების განხორციელება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სისტემის რეფორმის შესაბამისად, უზრუნველყოს თანამედროვე და სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნა და ფუნქციონირება.

ქალაქში ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა კონკურენტუნარიანი თანამედროვე, ცვალებად შრომის ბაზარზე ადაპტირებული სამუშაო ძალის განვითარება, რომლებიც შეძლებენ მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციების სრულ და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ რეალიზებას.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელება, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა - გაზიარება, ქართულ და უცხოურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, ასევე, აღმზრდელთა დაფასება და სტიმულირება.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 04 01

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მხარდაჭერა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო

პროგრამა: პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა და უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარება.

უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი უცხოეთში სტაჟირებისა და დეფიციტურ და მოთხოვნად სპეციალობებზე მომზადება - გადამზადების ხელშეწყობა, ბათუმელი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების სტიმულირების გზით მათი აკადემიური მოსწრების ამაღლება.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 04 02

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული განვითარება და წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00)**პრიორიტეტის დასაბუთება:**

ქალაქის კულტურულ მრავალფეროვნებას აქვს უდიდესი ტრადიცია, ტოლერანტული თანაცხოვრებისა და განვითარების პოზიტიური გამოცდილება. კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ქალაქის სიმდიდრეს და დემოკრატიული და სტაბილური განვითარების რესურსს. სწორედ ამიტომ, ბათუმისათვის პრიორიტეტულია თვითგამოხატვის, მრავალფეროვნებისა და საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვა და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად მოიაზრება და ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღების გზაზე გადადგმული ნაბიჯია. ბათუმის მერია ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის განვითარების ღონისძიებების განხორციელებას, მნიშვნელოვანია ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და თანაბარი ხემისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ქალაქის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. ამ მიზნით 2022 წლის მარტში ბათუმის მერიაში შეიქმნა ახალგაზრდული საბჭო, რომელიც 14 დან 29 წლამდე 15 ახალგაზრდისაგან შედგება.

პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება სამოქალაქო განათლებისა და ცნობიერების ამაღლების, შემეცნებითი და სხვა გასართობი ღონისძიებები.

პრიორიტეტის კავშირი შემდეგ მიმართულებებთან

1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა;
2. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაციის მხარდაჭერა;
3. კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა;
4. შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;
5. მრავალეთნიკური კულტურის განვითარების მხარდაჭერა;
6. მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
7. განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ბათუმელი ახალგაზრდებისათვის.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი: კულტურასა და სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა, ქალაქ ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე, ის აძლიერებს იმუნიტეტს და აწვითარებს ტვინის უჯრედებს. სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით:

- ჯანდაცვის სტასტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სქოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები);
- დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, რასაც ადასტურებს „სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრის“ მიერ 2013 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევების მონაცემები. სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდობში სხვადასხვა არაჯანსაღ გასართობთა მზარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი, კაზინო და სხვა).

აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 01

პროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;
- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;
- ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“;
- ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები.

პროგრამა: მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მასობრივი სპორტის განვითარება და სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა. სპორტულ ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა წარმოუდგენელია მოწესრიგებული და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობილი ინფრასტრუქტურისა და სპორტული ბაზების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ წლებია ქალაქის მასშტაბით მოეწყო ათეულობით მინი სპორტული მოედანი, მაინც არასაკმარისია მათი რაოდენობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, უზრუნველყოფს მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას, ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობას, შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა ჩართვას სპორტულ აქტივობებში და მათთვის შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას. იგეგმება არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-ადაპტირება და ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 02

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი;
- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გამართული და განახლებულია მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურა და ხელშეწყობილია ცენტრთან ასრებული სპორტული სექციების მუშაობა.

პროგრამა: კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქალაქში რეგულარულად იმართება საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები, რაც ქალაქის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ბათუმის, როგორც შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის განვითარება.

ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვის უზრუნველყოფა, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირებისა და ეთნიკური ჯგუფების ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა, კულტურის საყოველთაო ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის, რაც თავად კულტურის განვითარებისთვისაც ერთობ მნიშვნელოვანია.

მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია, ყველას მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს მუნიციპალური სერვისებით, მონაწილეობა მიიღოს მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსებსა და მერიის მიერ ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებში.

პროგრამის მეშვეობით განხორციელდება კულტურის პოპულარიზაცია და გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა, დაცული იქნება თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, ადგილობრივ ხელოვნებს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, უზრუნველყოფილი იქნება კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა, საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვა და სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვისა და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 03

პროგრამის მიზანი:

ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- კულტურული ღონისძიებების მართვა;
- ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები;
- კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა;
- ფესტივალების მხარდაჭერა;
- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია ქალაქში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება.

პროგრამა: კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორი ღირსეულ ადგილს იკავებს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაში. მასში ასახულია ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება, ქართველი ერის თვითმყოფადობა და ეთნოკულტურა.

თანამედროვე და კლასიკური მუსიკის ხელშეწყობით, ხელმისაწვდომია კულტურისა და შემოქმედების ტრადიციული და თანამედროვე ფორმების, ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების თანაარსებობის, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მონაწილეობის თანაბარი ხელშეწყობა.

ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ სრულფასოვანი ფუნქციონირებით, ხელი შეეწყობა ეროვნული ლიტერატურის, ლიტერატურის მემკვიდრეობის დაცვის, კოლექციებისა და საარქივო მასალების გაციფრულებას, ინტერნეტ - ბიბლიოთეკების მრავალფუნქციურ დაწესებულებად

ჩამოყალიბებას, მოსახლეობის საგანმანათლებლო საქმიანობას, სოციალიზაციისა და საჯარო მომსახურებათა ხელმისაწვდომობას.

ხელოვანთა პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია მათი სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კულტურულ პროექტებში მონაწილეობა, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება.

შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა შეუძლია სხვადასხვა სფეროს და ზოგადად, ჩვენი ქალაქის წინსვლაში. შემოქმედებითი ინდუსტრიები გაზრდიან ქალაქის საერთაშორისო იმიჯს და კულტურული ტურიზმის ხელშეწყობის გზით გააძლიერებენ ეკონომიკას. განვითარებული შემოქმედებითი სექტორი უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქტების და მომსახურებების წარმოებას, როგორც კულტურის, ისე სხვა სექტორებში. შესაბამისად, შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა წარმოადგენს ჩვენი ქალაქის პრიორიტეტს

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 04

პროგრამის მიზანი:

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა და ბათუმში მოღვაწე ხელოვანთა მხარდაჭერა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ფოლკლორის ხელშეწყობა;
- თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა;
- კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა;
- ხელოვანთა ხელშეწყობა;
- ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა და მხარდაჭერილია ბათუმში მოღვაწე ხელოვანები.

პროგრამა: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პატარა ქალაქებისთვის. ბათუმისათვის, როგორც ტურისტული ქალაქისათვის კულტურულ

სანახაობათა, ტრადიციული არქიტექტურისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ბათუმის ძირითადი ღირსშესანიშნავი ადგილები, რომლებიც ტურისტების ინტერესის სფეროს წარმოადგენენ სწორედ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია. ბათუმს ტურისტული და მატერიალური კულტურის პოტენციალი აძლევს იმის შესაძლებლობებს, რომ ტურიზმის ბაზარზე ადგილი დაიკავოს, შექმნას ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციების განხორციელების და კონკურენციისთვის ხელსაყრელი გარემო პირობები, დამატებითი სამუშაო ადგილები და შემოსავალი, ხელი შეუწყოს ადგილობრივი შესაძლებლობების წარმოჩენას, რაც საბოლოო ჯამში ქალაქის განვითარებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბათუმში 277 მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მათგან 269 - ურბანული და 8 - საკულტო. ძეგლების უმეტესობა ავარიულ მდგომარეობაშია და ესაჭიროება რეაბილიტაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. აღნიშნული უფლებამოსილების აღსრულების მიზნით, 2017 წელს, სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მზადყოფნას გამოხატავს დააფინანსოს და რეაბილიტაცია ჩაუტაროს სააგენტოსთან ერთად შერჩეულ, ქ. ბათუმში არსებულ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2018 წლიდან დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქში ავარიულ მდგომარეობაში/განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფი კიდევ არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, პროგრამა ითვალისწინებს სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან მჭიდრო კოორდინაციით, სარეაბილიტაციო ძეგლების შერჩევას და სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და პოპულარიზაციის მიზნით, პროგრამის ფარგლებში, ასევე, განხორციელდება კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, კონფერენციების, კვლევების მხარდაჭერა, გამოიცემა კატალოგები, რომლებშიც ასახული იქნება ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაფინანსდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით განსახორციელებელი პროექტები.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 05

პროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა. კულტურულ-საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

დაცული და შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

პროგრამა: ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა. რაც ქმნის იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების პიროვნული, სოციალური, ინტელექტუალური და ღირებულებითი განვითარება, მხარდაჭერილი იქნას ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოვლენა და პოტენციალის რეალიზება და ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის თანახმად, საქართველოში ახალგაზრდის ასაკად განსაზღვრულია 14-29 წელი. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფი, თავის მხრივ იყოფა შემდეგ ასაკობრივ კატეგორიებად: 14 - 17, 18 - 21, 24 - 25, 26-29, ყოველი ასაკობრივი კატეგორია ხასიათდება განსხვავებული ინტერესებითა და საჭიროებებით.

ადამიანის ასაკობრივი განვითარების თეორიების თანახმად, სხვადასხვა ასაკში, ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები და ინტერესები გააჩნიათ, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო პროგრამების დაგეგმვის დროს, არსებული გამოწვევებისა და ინტერესთა კვლევებით დადასტურებული მტკიცებულებების გარდა, გათვალისწინებული იქნას ასაკობრივი განვითარებისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც და ინტერესებიც. მაგალითად,

14-დან 18 წლამდე ასაკის განვითარების ასაკობრივი განვითარების მახასიათებლებია ინტერესის გამოვლენა იმ ცოდნის მიმართ, რაც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, ახალგაზრდებს ამ ასაკში აქვთ შემოქმედებითობის მოთხოვნილება, ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი და თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. უყალიბდებათ თვითშეფასება, მსოფლმხედველობა, ლოგიკური აზროვნება და წარმოსახვის უნარი.

2024 წლის მონაცემებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში 14 - 29 წლის ასაკის 38 835 ახალგაზრდაა რეგისტრირებული. ხოლო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 14 დან 18 წლის ჩათვლით 13 005 მოსწავლეა, მათ განვითარებაზე ზრუნვა კი, პირდაპირ აისახება ქალაქისა და ქვეყნის მომავალ კულტურულ, სოციალურ, დემოკრატიულ, ეკონომიკურ და მდგრად განვითარებაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად კი, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას. კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად კონცეფცია განსაზღვრავს 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს და 22 მოსალოდნელ შედეგს, მათ შორისაა: საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა, ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება, ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები.

2021 წლის 13 აპრილს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2023 წლის 28 აპრილის გ-15. 152311813 განკარგულებით, დაამტკიცა ახალგაზრდობის განვითარების მუნიციპალური სტრატეგიის დოკუმენტი, რომლიც ძირითადად დაეფუძნა „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“, ლოკალურ დონეზე ჩატარებული კვლევის მტკიცებულებებს და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგებს.

"ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023–2026 წწ) ხედვაა: ბათუმი არის მუნიციპალიტეტი, სადაც შექმნილია ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზებაზე, ეკონომიკურ გაძლიერებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული გარემო, აღიარებულია ახალგაზრდების პოტენციალი და ხელშეწყობილია ახალგაზრდების განვითარება, მონაწილეობა და კეთილდღეობა. სტრატეგია შედგება 4 სტრატეგიული, პრიორიტეტული მიზნისა და 21 ამოცანისგან. ეს სტრატეგიული მიზნებია:

სტრატეგიული მიზანი 1 ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

სტრატეგიული მიზანი 2 არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი 3 ახალგაზრდების დასაქმების, კარიერული განვითარებისა და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის/სტარტაპის მიმართულებით კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი 4 ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმში მცხოვრები მოზარდებისა ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით, „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, 2026-2029 წლებში ბათუმში მცხოვრები და რეგისტრირებული მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის იმოქმედებს ახალგაზრდული და საბავშვო სივრცეები და არაფორმალური განათლების სერვისები (მასში გაერთიანებული იქნება ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში საჭირო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები), რომლის ფარგლებშიც, იმოქმედებს თემატური კლუბები, ჩატარდება ტრენინგები, ვორკშოპები და სხვა აქტივობები. მხარდაჭერილი იქნება ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების ჩატარება და ხელშეწყობილი იქნება ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის, იფუნქციონირებს ახალგაზრდული საბჭო, ახალგაზრდებში მოხალისეობრივი კულტურის განვითარების მიზნით იმუშავებს მოხალისეთა კლუბი, ჩატარდება ახალგაზრდული ფორუმი და დაფინანსდება ახალგაზრდების ინიციატივები, ხელშეწყობილი იქნება პროფორიენტაცია, კარიერული და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარება. გარდა აღნიშნულისა, ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა შეიკრიბონ უსაფრთხო, თავისუფალ და საგანმანათლებლო საბავშვო და ახალგაზრდულ სივრცეებში კერძოდ, ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ განხორციელებისთვის გამოყოფილ ფართში, იმსჯელონ აქტუალურ და მათთვის საინტერესო თემებზე, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, კულტურული მისწრაფებები და გაუზიარონ თანატოლებს თავიანთი ინტერესები და თავისუფალი დრო საინტერესოდ და პროდუქტიულად დახარჯონ.

არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული სივრცეების სერვისებზე რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის ხელმისაწვდომობის მიზნით, ქალაქის ცენტრისგან დაშორებულ უბნებშიც მოეწყობა ახალგაზრდული სივრცეები, რომლებშიც ასევე ხელმისაწვდომი იქნება არაფორმალური განათლების სერვისიც, რაც საშუალებას მისცემს ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მცხოვრებ ახალგაზრდებს ადგილზე მიიღონ ის სერვისები, რასაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდების განვითარების მხარდაჭერის,

კერძოდ კი ახალგაზრდული სივრცის ხელმისაწვდომობისა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში ახორციელებს.

დაგეგმილი ახალგაზრდული საქმიანობა ხელს შეუწყობს, ახალგაზრდების პიროვნულ, გონებრივ, ფიზიკურ, სოციალურ, კულტურულ, პროფესიულ თუ ეკონომიკურ განვითარებას და მნიშველოვნად უზრუნველყოფს დანაშაულის, დისკრიმინაციის, ძალადობის, არაჯანსაღი ცხოვრების წესისა და მავნე ნივთიერებების მოხმარების პრევენციას ახალგაზრდებში.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 05 06

პროგრამის მიზანი:

ქალაქ ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ახალგაზრდული ცენტრი;
- ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;
- ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდული მუშაკების მუნიციპალური სერვისი;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია ახალგაზრდების განვითარება და მონაწილეობა

პრიორიტეტის დასახელება - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

პრიორიტეტის კავშირი შემდეგ მიმართულებებთან:

1. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა და უსაფრთხო გარემოს შექმნა მოქალაქეებისათვის;
2. სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
3. სოციალური (საზოგადოებრივი) რისკების მართვის მექანიზმებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ცხოვრების გარანტირებული მინიმუმის შექმნა.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის შემცირება;
2. მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;
3. მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

პრიორიტეტის დასაბუთება:

მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ასევე სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით - „საქართველო- 2030“. ამ სფეროში პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება მიმდინარეობს ასევე, რეგიონული ხელისფლების დონეზე, თუმცა, სახელმწიფო და რეგიონალური დაფინანსების პროგრამების არსებობის მიუხედავად, მოსახლეობის ნაწილს, დაბალი შემოსავლებისა და სამედიცინო მომსახურების შედარებით მაღალი ფასების გამო, არ აქვს საშუალება დაფაროს ის ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება ამ პროგრამებით, შესაბამისად, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პროგრამების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წელს შეიმუშავა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლიც ეფუძნება იმ ძირითად საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებულ პრინციპებსა და ფასეულობებს, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვას და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წამოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მკურნალობასთან და რეაბილიტაციასთან არსებული ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალურ რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნისა და მინიმალური სტანდარტების დანერგვის მიზნით.

პრიორიტეტულია ასევე ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეპიდემიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის

გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. პრიორიტეტში აქცენტი ასევე გადატანილია სამედიცინო დაწესებულებების სერვისის ხარისხის ამაღლებასთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მომდევნო წლებში მუნიციპალიტეტი გააგრძელებს ამ მიმართულებით პროგრამების განხორციელებას.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ავადობის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება; ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა; მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკების შემცირება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- ჯანმრთელობის დაცვა;
- სოციალური უზრუნველყოფა;
- სანიტარული ზედამხედველობისა და ეპიდსიტუაციის მართვა.

პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა

მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქ. ბათუმის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების პროგრამები) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინანსება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წამოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მაღალტექნოლოგიური კვლევების, მკურნალობისა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით ასევე წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების ნაწილობრივი პრევენცია, მედიკამენტების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების

ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულის მიღწევა სრულიად შესაძლებელია აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი ქვეპროგრამების მეშვეობით.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 06 01

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ავადობის პრევენცია და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;

- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;

- ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;

- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა;

- ზოგიერთი მოწყვლადი კატეგორიის პირებისთვის კლიმატოთერაპიის კურსის ჩატარება;

- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;

- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;

- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;

- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ნაწილობრივ უზრუნველყოფილია დაავადებათა ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია

სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით, მინიმალური სტანდარტებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ. ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც ძირითადად უზრუნველყოფილია სოციალური დაცვის მიზნობრივი ქვეპროგრამებით. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიებისათვის (მკვეთრად გამოხატულ შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები, ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები და სხვები) სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებას და მატერიალური დახმარებების გაწევას.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 06 02

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების სოციალური პირობების გაუმჯობესება. მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;
- მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების

მქონე პირთა დახმარება;

- მუნიციპალური უფასო სასადილო;
- დროებითი მუნიციპალური თავშესაფარი;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება;

- მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა;

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ოჯახების მხარდაჭერა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და შედარებით გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები. შემცირებულია მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკები.

პროგრამა: სანიტარული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა

სანიტარიულ - ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და გადამდები დაავადებების პრევენცია პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს ცხოვრებისათვის უსაფრთხო გარე-მოს უზრუნველყოფისათვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბი-ნი-ანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია და ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება; ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების სანი-ტარულ-ჰიგიენური მონიტორინგი, უპატრონო ცხოველების (ძაღლების, კატების) პოპულა-ციის რეგულირების ღონისძიებები და მათი რაოდენობის დადგენა ელექტრონული ადრიცხვის მეშვეობით, მავნე მწერებისა და მღრღნელების მექსიმალური შემცირების ღონისძიებები.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 06 03

პროგრამის მიზანი:

სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადამდები დაავადებების პრევენცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი;
- დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები;
- უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შემცირებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო.

პრიორიტეტის დასახელება: ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება (07 00)

პრიორიტეტის კავშირი შემდეგ მიმართულებებთან:

1. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
2. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
3. საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური კავშირები;
4. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარება;
5. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა;
6. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება;
7. ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და რეაბილიტაცია.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
2. მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;
3. მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;
4. მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
5. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;
6. მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;
7. მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;
8. მიზანი 17 - პარტნიორობა მიზნების მისაღწევად;

პრიორიტეტის დასაბუთება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბათუმი საქართველოს მუნიციპალტეტებს შორის მაღალი ეკონომიკური ზრდით გამოირჩევა, რაც განპირობებულია ტურიზმის სექტორის სწრაფი განვითარებით, უძრავ ქონებაში ინვესტირების ზრდით და სამშენებლო სექტორის გააქტიურებით. ქვეყანაში სიდიდით და მნიშვნელობით მეორე ქალაქის სტატუსის მიღწევის შემდეგ, ბათუმი დადგა განვითარებადი სექტორების ზრდის ტემპის შენელების საფრთხის, ეკონომი-

კის დივერსიფიკაციის, ქალაქის სივრცით განვითარების, ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების საზოგადოების განვითარებასა და ქალაქის კონკურენტუნარიანობასთან სინქრონიზაციის აუცილებლობის წინაშე.

2018 წელს ბათუმი მიუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდის“ (M4EG), რომლის ფარგლებშიც 2019 წელს მომზადდა და საკრებულოს მიერ დამტკიცდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ბათუმში მზარდი ტენდენციით გამოირჩევა მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ქ. ბათუმში. მთლიანი დამატებული ღირებულებისა და დასაქმების მიხედვით, ადგილობრივი ეკონომიკის წამყვან სექტორებს წარმოადგენს მშენებლობა, ვაჭრობა, ტურიზმი (HoReCa), მრეწველობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ადგილობრივი ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი პირდაპირპროპორციულადაა მიბმული ტურიზმის სექტორზე. ამ დოკუმენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ასახვა მოხდება მუნიციპალიტეტის შემდგომის წლების ბიუჯეტში.

ბათუმი, თბილისის შემდეგ ყველაზე მიმზიდველი მუნიციპალიტეტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვისაც. თუმცა საინვესტიციო პოტენციალის მაქსიმალურ და მდგრად გამოყენებას ხელს უშლის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, სივრცითი მოწყობის გეგმისა და შესაბამისი დარგობრივი კვლევების არარსებობა.

ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცების, აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს, რომ ქალაქი ბათუმი გახდეს ცხოვრების დონითა და ბიზნესის კეთების შესაძლებლობებით მიმზიდველი ქალაქი არამარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბით.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

- ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების სტიმულირება;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის დივერსიფიკაცია და გაძლიერება;
- ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა;

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- ქალაქის ურბანული განვითარება;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამა: ქალაქის ურბანული განვითარება ქალაქის დასახლებული ტერიტორიების გეგმაზომიერი განაშენიანებისა და რაციონალური გამოყენების, ქალაქის მდგრადი

განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქალაქს გააჩნდეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს ერთი მხრივ ქალაქის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის სივრცით არქიტექტურულ გარემოს, განაშენიანების ფორმებისა და იერსახის შენარჩუნებასა და განვითარებას, ასევე, მეორე მხრივ, მისი ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, რაც განპირობებული იქნება ქალაქის ფუნქციონალური პროფილის კვლევისა და შესაბამისი პოტენციალის მქონე დარგების განვითარებით, რაც ასევე თავის მხრივ შეამცირებს რისკს ბათუმი გახდეს მონოფუნქციური - ეკონომიკის ერთ სექტორზე, კერძოდ, ტურიზმზე დამოკიდებული ქალაქი.

მიმდინარეობს მუშაობა ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის მომზადებაზე.

პროგრამის ფარგლებში 2025-2026 წელს, საერთაშორიო და ადგილობრივი ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ჩატარდება კვლევები ქალაქის ტერიტორიაზე სათბური აირების გაფრქვევების კერების გამოსავლენად და მოხდება მათი ზეგავლენების გაზომვა/დოკუმენტირება, მომზადდება შესაბამისი (დიგიტალური) რუკა და ანგარიში კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია-შერბილების ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებით. აღნიშნული აქტივობები განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტით (119 073.02 ევრო). პროექტის პარტნიორები არიან სტამბულის უნივერსიტეტი, უზუნკოპრუს (თურქეთის რესპუბლიკა), სოზოპოლის (ბულგარეთი) და კავალას (საბერძნეთი) მუნიციპალიტეტები.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 07 01

პროგრამის მიზანი:

ქალაქის გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა;

- მუნიციპალური კვლევების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქის განვითარება ხორციელდება გეგმაზომიერად, დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად.

პროგრამა: ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, ხარისხიანი მუნიციპალური სერვისების მიწოდება ქალაქის მოსახლეობისა და ვიზიტორებისთვის და ა.შ. ამ პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა პროპორციულად აისახება ქალაქში საცხოვრებელ, გარემოსდაცვით და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე, ტურიზმზე, თუმცა დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში ქალაქის კონკურენტუნარიანობის გაზრდის, ეკონომიკის და შრომის ბაზრის დივერსიფიკაციის, ტურიზმის სხვა პერსპექტიული მიმართულებების განვითარების, ახალგაზრდების მიგრაციის და უმუშევრობის შემცირების, საზოგადოების მდგრადი და თანაბარი განვითარების (მათ შორის შემოერთებული ტერიტორიების) ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია ასევე ინოვაციური, კომპლექსური და სისტემური ეკონომიკური პროფილის პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება, პარტნიორული კავშირების დამყარება.

აღსანიშნავია, რომ ქ. ბათუმმა გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით ევროკავშირის რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მოიპოვა გრანტი (200,000.00 ევრო) და შეიმუშავა მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი. ქალაქში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების მიმართულებით, კომპლექსური გამოწვევების (მაგ. უმუშევრობა, არადივერსიფიცირებული შრომის ბაზარი, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნაკლები განცდა და ა.შ.) საპასუხოდ ინოვაციური, სისტემური მიდგომის და მეთოდების შემუშავებისა და განხორციელების გზით.

პორტფელის მიდგომა გულისხმობს აქტივობების ეტაპობრივად დაგეგმვა-განხორციელებას, კერძოდ პირველი ეტაპის პროცესსა და მიღწევებზე დაკვირვებას, შედეგების გაანალიზებას და შემდგომი ეტაპის მასზე დაყრდნობით დაგეგმვა-განხორციელებას. საწყის ეტაპზე შეირჩა ექვსი მიმართულება: მუნიციპალური კადრების გაძლიერება; სტარტაპ განათლების ხელშეწყობა; ახალგაზრდებში დამკვიდრებული ნარატივების (სტერეოტიპების) შეცვლა; საინფორმაციო ჰაბის შექმნა; ქსელური კავშირების შექმნა; ახალგაზრდული სივრცის შექმნა, რომელიც უკვე შეიქმნა და ამოქმედდა.

ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრებში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების მხარდაჭერა მოიცავს ქალაქის კონკრეტული უბნების განვითარების შესაძლებლობების კვლევისა (ქალაქის გენერალური გეგმის მომზადების ეტაპზე) და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერი პროექტების შემუშავება-განხორციელებას, თანადაფინანსების გზით.

ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება - ბათუმი უკვე სამი წელია რაც მასპინძლობს სტარტაპების მსოფლიო თასის ეროვნულ ჩემპიონატს და სტარტაპ სამიტს, რომელსაც ძირითადად სტუმრობენ სილიკონ ველის წამყვან ვენჩერული კაპიტალის ინვესტორები და საერთაშორისო ტექ-ლიდერები, ხდება გამოცდილების გაზიარება ხელოვნურ ინტელექტის, ინვესტიციების მოზიდვის და სტარტაპების განვითარების საკითხებზე, ჩემპიონატში გამარჯვებულ წარმატებულ ქართულ სტარტაპს ეძლევა შესაძლებლობა გაემგზავროს სილიკონის ველზე ფინალში მოხვედრისთვის საბრძოლველად. 2025 წელს ბათუმში გაიმართა ადგილობრივი სტარტაპის მხარდასაჭერად საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო პროგრამის „25000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდა 6 გამარჯვებული პროექტი. აღნიშნული ღონისძიება გაიმართა „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი - ბათუმი: ახალი სტარტაპ ეკოსისტემა საქართველოში“ ფარგლებში შექმნილ ინტერაქციულ სივრცეში. მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის ფარგლებში ბათუმის მერია GITA-სთან, Axel-თან და სხვა პარტნიორებთან ერთად ადგილობრივი სტარტაპებისთვის ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ყოველწლიურად გეგმავს ფორუმის ჩატარებას.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 07 02

პროგრამის მიზანი:

ქალაქის ეკონომიკური განვითარება, ბიზნესის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება;
- მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია სამეწარმეო და ბიზნეს აქტივობა.

პრიორიტეტის დასახელება: მუნიციპალური სერვისების განვითარება (08 00)

პრიორიტეტის კავშირი შემდეგ მიმართულებებთან:

1. მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა;
2. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება;
3. მუნიციპალური ქონების მართვა.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების და კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან საფუძველს ეფექტური მმართველობა და მუნიციპალური სამსახურების მიერ გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხი წარმოადგენს. მუნიციპალური მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ამაღლების პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი, ეფექტური და უსაფრთხო ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას და განვითარებას. მოქალაქეთათვის, ასევე ბიზნეს სუბიექტებისათვის, ელექტრონული სერვისების დანერგვა მნიშვნელოვნად გაამარტივებს მუნიციპალური მომსახურების მიღების პროცესს, შეამცირებს მომსახურების მიღების ვადებს, გააუმჯობესებს კონტროლს გაწეულ მომსახურებაზე, ასევე მინიმუმამდე დაიყვანს საოპერაციო და ადამიანურ ხარჯეზებს.

ამ მიმართულებით მომდევნო საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი გააგრძელებს წინა წლებში შემუშავებული ელექტრონული სერვისების დახვეწისა და ახალი ელექტრონული სერვისების დანერგვის პროცესს, ისე რომ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ყველა მომსახურების ელექტრონულად მიწოდება მოქალაქეებისათვის - „ერთი ფანჯრის“ პრინციპის ამოქმედება ყველა სახის მომსახურებაზე, ამ მიზნით გაგრძელდება ასევე, მოდერნიზებული სერვისცენტრების მშენებლობა.

მუნიციპალურ სერვისებთან ერთად მნიშვნელოვანია ინსპექტირების საკითხები, ინსპექციის მიზანია შესაბამისი წესდებითა და აქტებით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროებში დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება, დარღვევათა გამოვლენა და კანონმდებლობის შესაბამისად მათზე რეაგირება, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება. ინსპექცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ბათუმის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის იერსახის, რეკლამის, აბრის, გარე ვაჭრობის, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანების, აკუსტიკური ხმაურისა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებაზე ინსპექტირებას, კომპეტენციის ფარგლებში სანიტარიული კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას.

2026 წელს გაგრძელდება 2018 წლიდან ამოქმედებული თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი ("მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმა" -

www.idea.batumi.ge), რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართვა ბიუჯეტის ნაწილის დაგეგმვაში და ქალაქის განვითარებისთვის სასარგებლო იდეების მოზიდვა. ბიუჯეტში აისახება ხმის მიცემის გზით მოქალაქეთა მიერ შერჩეული საუკეთესო იდეები (ღონისძიებები).

პრიორიტეტის საშუალო ვადიანი მიზანი:

მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტური მუნიციპალური მომსახურების სისტემის დანერგვა და მუნიციპალური მომსახურების უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმა:

- მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება;
- მუნიციპალური სერვისების მართვა;
- თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

პროგრამა: მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება

თვითმმართველობის განხორციელებისას ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სისტემის შექმნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ელექტრონული სერვისები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მომსახურების ყველაზე უფრო იაფ, მოსახერხებელ და სწრაფ საშუალებას. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაციასა და მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“-ს ამოქმედება და ფუნქციონირება; ელექტრონული სერვისების დანერგვა, ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალის შექმნა და ფუნქციონირება; მუნიციპალიტეტის სისტემის მოქნილი და ოპერატიული მუშაობისათვის აუცილებელია ელექტრონული ფაილების დაცული შენახვისა და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რისთვისაც აუცილებელია არსებული ქსელის პერიოდული განახლება. მერიის სისტემაში კომპიუტერული ტექნიკის/ქსელის გამართული ფუნქციონირების, ოპერაციული სისტემებისა და საოფისე პროგრამების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; მერიის ვებ-გვერდის ტექნიკური უზრუნველყოფა.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 08 01

პროგრამის მიზანი:

ელექტრონული მომსახურების სისტემის გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება;
- ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო;
- მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება;
- თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა;
- ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

დანერგილია მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტური მუნიციპალური მომსახურების სისტემა.

პროგრამა: თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება

მონაწილეობითი ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმი, წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით მუშავდება და განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტები. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე პირდაპირი ხმის მიცემის გზით.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 08 02

პროგრამის მიზანი:

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამის განხორციელება:

- მონაწილეობითი ბიუჯეტით შერჩეული პროექტის დაფინანსება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

პრიორიტეტის დასახელება: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01 00)

პრიორიტეტის კავშირი შემდეგ მიმართულებებთან:

1. მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა;
2. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება;
3. მუნიციპალური ქონების მართვა.

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების და კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან საფუძველს ეფექტური მმართველობა და მუნიციპალური სამსახურების მიერ გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხი წარმოადგენს.

აღნიშნული სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორიცაა სარეზერვო ფონდი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, წვევამდელთა ტრანსპორტირება, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება.

პრიორიტეტის საშუალო ვადიანი მიზანი:

მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტური მუნიციპალური მომსახურების სისტემის დანერგვა და მუნიციპალური მომსახურების უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმა:

- მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესება;
- მუნიციპალური სერვისების მართვა;
- თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

პროგრამა: სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხის დაფარვა წელიწადში

ორჯერ, არაუგვიანეს 20-30 ივნისისა და 20-30 დეკემბრისა. სესხის მომსახურების პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებით. აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია, რომელიც მოიცავს ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის I-V ფაზებს.

ასევე დაგეგმილია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხის დაფარვა. სესხის ფარგლებში ხორციელდება ბათუმის ავტობუსების პროექტის დაფინანსება.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2026-2029 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. დანართი 1

პროგრამული კოდი: 01 03

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება;
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შემცირებულია არსებული სასესხო ვალდებულებები.